მ. კოლხიდელი.

გლეხების აჯანყება სამეგრელოში

1857 წ.

და

სახალხო ტრიბუნი

უტუ მიქავა.

(ისტორიული მონოგრაფია)

გამოცემლობა „თვით-შრომა“

ტფილისი—1926.

ნებადართულია ს. ს. რ. გან. კომ. ლიტ. და გამ. საქმ.
მთავარი სამმართველოს მიერ № 2070.

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3.

მთავლიტი № 2070 შეკ. № 3224. ტირაჟი 6000

წინასიტყვაობა.

მე-19 საუკუნის სიგრძეზე ქართველი ერის ისტორიის ფურცლები უხვად აჭრელებულია როგორც პოლიტიკური, ისე აგრარული ხასიათის აჯანყება-პროტესტებით. უკანასკნელი სახის მოძრაობა გაცხოველებული იყო ჩვენს ქვეყანაში მე-18 საუკ. დამდეგსვე, მაგრამ მე-19 საუკუნეში იგი უკვე ღებულობს ჩამოყალიბებულ ფორმას; პერსონალურ, ფირალური ბრძოლის პარალელურად განსაკუთრებით ბოროტ ბატონებთან (როგორც მაგ., არსენა), ადგილი აქვს მთელს რიგ ორგანიზაციულად შეკავშირებულ გამოსვლა-აღელვებებს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. ასეთი იყო კახეთის აჯანყება 1812 წ., გურიის ამბოხება 1842 წ., 1858 წ. კი იმერეთის მღელვარებანი.

წინამდებარე მონოგრაფია 'ემსახურება სწორედ ამ ამბოხებათა წყების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშის—სამეგრელოში 1857 წლ. გლეხების აჯანყების—ჯეროვან მიმოხილვას, რომელიც ამ ამბოხებათა კრებულში თავის სიფართოვე-მიღწევებით უნდა ჩაითვალოს მეტად მნიშვნელოვან და საგულისხმიერო ისტორიულ აქტად. მიუხედავად აუცილებელი დეფექტებისა, მაინც ვფიქრობ, რომ ეს ისტორიული მონოგრაფია უეჭველად სასარგებლო იქნება ჩვენი ისტორიის მე-19 საუკუნის სოციალ-პოლიტიკურ მოძრაობათა მთლიანი სურათის წარმოსადგენად.

ავტორი.

P. S. წყაროები, რომლითაც ამ მონოგრაფიისთვის ვსარგებლობდი, ბოლოშია აღნიშნული.

I. აჯანყების სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები.

გასული საუკუნის 50-ანი წლების სამეგრელო, მიუხედავად იმისა, რომ იგი XIX სკ. დასაწყისიდან (1 დეკემბერი 1803 წლ.) რუსეთის ქვეშევრდომი იყო, ისევ საშუალო საუკუნეების ფეოდალურ ჩარჩოებში იმყოფებოდა.

ბატონ-ყმობა და მასთან დაკავშირებით ძველ ფეოდალ დადიანთა განუსაზღვრელი თარეში გლეხს ისევ ძველებური სიმძიმით აწვა კისერზე; უკანასკნელს ამ მხრივ ცოტათი მნიშვნელოვანი ცვალებადობაც არ განუცდია თავის სოციალურ ყოფა-ცხოვრებაში. პოლიტიკურ ვითარებაში კი-1853 წ. ამტყდარ ყირიმის ომმა (ოჰერ ფაშის შემოსევა სამეგრელოში) თავის უარყოფითითა და დადებითი შედეგებით ახალი რამ შეიტანა სამეგრელოს მდგომარეობაში. ამრიგად, ძველი, ფეოდალური ყოფა-ცხოვრების სიმწვავემ ეოთის მხრივ, ყირიმის ომის შედეგებმა და თანდათანობით საქართველოში რუსეთის კულტურის შემოსვლა-განმტკიცებამ და პოლიტიკურად ძალა-უფლების, დაპყრობამ მეორეს მხრივ—შექმნა სამეგრელოსათვის ის სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები, რომელიც სარჩულად დაედვა გლეხების 1857 წ. აჯანყებას სამეგრელოში. ამ სოციალ-პოლიტიკური მიზეზების თანდათანობითი განხილვა საშვალებას მოგვცემს სათანადოდ ჩავსწვდეთ ამ აჯანყების ისტორიულ აუცილებლობაში.

ბატონ-ყმობა ერთი მნიშვნელოვანი აქტია ამ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში. როგორც საქართველოს დანარჩენ ნაწილებში, ისე სამეგრელოში, ბატონების თავდაუჭერელმა თვით-ნებობამ შემუსრა უკანასკნელი ადამიანური შეხედულებანი ყმის შესახებ, გაამეფა მხეცური დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის და შავი დღე დაუყენა უკანასკნელს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა არავითარი განსაზღვრული წესები განსაზღვრული გარემოებისათვის. დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის პირადი შეხედულებანზომვით იფარგლებოდა ხოლმე, რამაც დროთა მსვლელობაში მიიღო ერთგვარი ტრადიციული დასტური. თუ ჩვენ მოვიწადინებთ სამეგ-

რელოს ბატონ-ყმობის მკრთალი სურათის გადაშლას მაინც, ამ ტრადიციული დასტურის ქვეშ გატარებულს, რომელიც ნიშანდობლივად სამეგრელოს ახასიათებს (განხე ეტოვებთ იმ პირდაპირ გადასახადს ნატურით, რომელიც ვალად აწვა გლეხს ბეგარის სახით), უწინარეს ყოვლისა, საკითხის ასეთი მიდგომით, თვალთ გვეცემა მთავრის და საერთოდ მაღალი წოდების ხეტიალი მთელი წლის განმავლობაში, განუწყვეტელი დროის ტარება ყმებთა ოჯახებში. ჯერ კიდევ მე-XVII სკ. ცნობილი მოგზაური შარდენი აი რას გვეუბნება ამის შესახებ: „სამეგრელოს უმაღლეს კლასს უფლება ჰქონდა თავის ქვეშევრდომთა სიმდიდრესა და სიცოცხლეზე; ჩადიოდა ყველაფერს, რასაც მოისურვებდა; მიჰყავდა ქალები, ბავშები, ჰყიდდა მათ და მოიხმარდა ყველაფერს, რაც წამოელანდებოდა ხოლმე. თვით გლეხს თავის ბატონთან მიჰქონდა: პურის, პირუტყვის, ღვინის და სხვა ნაწარმოებთა განსაზღვრული ნაწილი; ბატონის სიმდიდრე განისაზღვრებოდა გლეხთა რაოდენობით. თითოეული გლეხი წლის განმავლობაში რამდენსამე დღეს ინახავდა ბატონს თავის სურსათ-სანოვაგით, რის გამოც უმაღლესი წოდება წლის განმავლობაში გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე და მით ღრღნიდა თავის გლეხობას, ზოგიერთ შემთხვევაში სხვებისას, რაც ერთნაირად ნიადაგს უმზადებდა იმ არევ-დარევას, რომელიც ხშირად ურთიერთ შორის სასისხლო შეტაკებებს იწვევდა ხოლმე. მთავარიც სწორედ ასეთ ცხოვრებას ატარებდა. ძნელი იყო ყოველთვის გაგება იმისა, თუ სად იმყოფებოდა ის[1], მას მთელი მისი ოჯახი, ქალები, ბავშები, მსახურნი, სტუმრები, დესპანნი და სხვა საპატივცემულო უცხო პირები თან დაჰყავდა: ყველა ესენი შეადგენდენ შინა ყმათა უშველებელ წრეს[2]“.

შეიძლება ეს ადგილი გადაჭარბებულად ჩაგვეთვალა შარდენის მხრივ, მაგრამ 150 წლის შემდეგ, მე-XIXსკ.-ს დასაწყისიათ, მსგავსი ვითარების გადმოცემას ვპოულობთ ჩვენ იმერეთის და გურიის 1804 წ. მმართველი რუსის მოხელე ლიტვინოვის აღწერილობაში: „თავადები, ამბობს ის, იყვნენ დესპოტები თავის ქვეშევრდომთა მიმართ და მცხოვრებთა ავლა-დიდება ხომ თავადებისა იყო. სამთავრო თავადები ატარებდენ განსაკუთრებულ ყოფა-ცხოვრებას: ქოხი და ფაცხა მათი სასახლეები იყო. იკვებებოდენ ისინი იმ მცხოვრებლების

---

[1]) ხალხური ანდაზა: „დადია მობრძანდება და ბაჩია გზაზე იყო დაჩოქილი“-ო („დადია“ მოზოჯუნცია დო ბაჩია შარას გილაჩოქუდუა“)—სწორედ მთავრის ასეთ უსაზღვრო ხეტიალში პოულობს თავის განმარტებას.

[2]) იხ. К. Бороздин, გვ. 126-7;

ხარჯზე, რომლებთანაც დახეტიალობდენ და რჩებოდენ იქ მანამდე, სანამ არ გამოაცლიდენ იმათ უკანასკნელ საზრდოს; მაშინ კი ერთის მხრივ სიმშილი და მეორეს მხრივ ძარცვა და ძალადობანი კარის-მსახურებს, რომელნიც სარჩოს ეძიებდენ, აიძულებდა მეზობელ სოფელში გადაბარგებას. ასე დაბოგავდენ ისინი მთელს სამთავროში „სოფლიდან სოფლამდე“ (ibidem, 128). მაღალი წოდების ასეთი ყოფაცხოვრების სახე, დაკავშირებული ვითომდა ისეთ ტრადიციულ მოვლენა-ჩვეულებასთან, როგორიცაა სტუმრობა, ძირიან-ფესვიანად ანიავებდა გლეხის სარჩო-საბადებელს. უმაღლესი წოდების ასეთი ხეტიალი[1] მის ქვეშევრდომთა ოჯახებში არ შეწყვეტილა უკანასკნელი მთავარ დავითის დროშიაც. ამას მოწმობს ამ საქმის გამო დღემდის ცოცხალი ტერმინი „სურია“ (სტუმრობა) ან „გოჭკომური“ (გაბოჭამა).

რაც შეეხება ბატონის პიროვნულ უფლებას, მის ნორმებს, აქ მდგომარეობა უფრო უნუკეშო იყო. აი როგორ აგვიწერს ბატონის უფლებას ყმაზე მე-XVII სკ. მისიონერი სამეგრელოში არქანჯელო ლამბერტი: „აქაური ბატონის უფლება ბევრად აღემატება ჩვენი იტალიელი თავადების უფლებას, რადგან აქაურ ბატონს შეუძლია გაასამართლოს თავისი ყმა და ყმას ნება არ აქვს მის განაჩენზე იჩივლოს თვით მთავრის წინაშეც. ბატონს შეუძლია არამცთუ დაატუსაღოს თავისი ყმა, არამედ აწვალოს და სასტიკად დასაჯოს ის, მაგალითად მოსპრას ყური, ფეხი, ამოსთხაროს თვალები, წაართვას ყოველივე ქონება და მოუსპოს თვით სიცოცხლეც. გარდა ამისა, თუ რომელიმე ყმა უშვილოდ გადავიდა, მისი ყოველივე ქონება რჩება ბატონს. ზოგჯერ, როცა ყმას მარტო ერთი მცირე წლოვანი შვილი რჩება, ბატონი ამ შვილს ჰყიდის ხოლმე ოსმალეთში და მისს მემკვიდრეობას თითონ დაიჩემებს. ამრიგად მეგრელების [sic!] სიმდიდრე ყმების სიმრავლეზეა დამოკიდებული.“ არსებით ცვლილებას არ ჰქონია ადგილი მე-XIX სკ.-ც: „სასჯელი, რომელიც აქ იხმარება შემდეგია: „ადამიანის სხვადასხვა ორგანოთა ჩამოშორება, თვალების ამოთხრა გახურებული რკინით, ცოცხლად მიწაში დამარხვა, მარხავენ განსაკუ-

---

[1]) ასეთმა ხეტიალმა პოვა შესაფერი გამოძახილი თვით ხალხურ შეძოკმედებაშიაც; ჩვენის აზრით ამისი გამომხატველია სახალხო ფრიად პოპულარული სამეგრელოში: „ვო ბურღა დო ბურღა ვოდა“-ს ლექსი, იხ. Хр. Гроздов, Мингрельския народныя песни, стр. 22-23.

„სურია“-ს ერთ-ერთ ტიპურ ილუსტრაციას იძლევა ბეკო საბატარის (1852 წლ.) სახით კ. ბოროზდინი თავის ერთ ბელეტრისტულ ფრაგმენტში: იხ. Из прошлаго Мингреліи К. А. Бороздина (Ежемесячныя лит. приложения Нивы, Май 1897 год).

თრებით კირში, რასაც შემდეგ წყალს გადაასხამდენ, რომ კაცი თანდათან გახრწნილიყო, წვავენ ცეცხლზე და სხვა“ [1]. აღნიშნულ სასჯელთა შორის ყველაზე უფრო სასტიკად მიაჩნდათ დაბრმავება ცეცხლის შემწეობით [2].

ხუნდები, ქანჩები [3], ხაჯალურები (დასაბამი ჯაჭვი) ყოველ დღიური ჩვეულებრივი დასასჯელი საშვალებები იყო და მათზე განსაკუთრებით ვერ შევჩერდებით; ვერ შევჩერდებით მით უფრო, რომ ასეთ შემთხვევებში თითოეულს სასჯელს ჰქონდა თავისებური სპეციფიკური სახე: თითოეული მებატონე თავის ნება-სურვილითა და შეხედულობით აწესებდა სასჯელის ნორმას გლეხობისათვის.

ქვემორე აღნიშნული საბუთი, რომელიც გადმომცა პატ. სარგის კაკაბაძემ, იძლევა ასეთ მოვლენების ერთ ფრიად საგულისხმიეოო ნიმუშს:

„გამოცხადება ჩუცნს მენგრელიის სამთავროშიდ № 133 იანვარს 31 დღესა 1840 წელს. ბრძანებითა მისის უგანათლებულესობისა მშობლისა ჩემისათა, მე ამითა განუცხადებ ყოველთა კნიაზთა და აზნაურთა, რომელ მშობლისა მიერ ჩემისა და ჩემ მიერ მრავალგზის არს შენიშნულ, რომელ რომელიმე უფლებიან კნიაზ და აზნაურნი ექცევიან თვისთა ყმათა სასტიკად და უწყალოდ; თუმცა მშობლისაგან ჩემის მრავალგზის დამტკიცებულ არს, რომელთამე და თითქოს მრავალთა და აზნაურთა ესრედ უწყალოდ, გარნა ყოვლითა მით არა დაუტევებენ მას, ვითაარცა ახლა ამ ჟამად შეუდგა რომელ კნიაზმან თემურყვა ანჩაბაძემ თვით დასჯა ქორის გაქცევისათვის მისის გლეხის ბახუტა აფშილავას მიერ, გააკეთა ზანდუკი მზგავსად კუბოსა და მას შინა ყავდა დამყვევებული იგი აუშილავა რამდენსამე დროშიდ და აპურებდა მას გამოჭრილ მას შინა თანჯრიდან. ესრეთი იმა ანჩაბაძისა ქცევა წინააღმდეგ არს საზოგადო ცხოვრებისა და არს არა კაცობრივობა, რომელიც მოყვა-

---

[1]) იხ. Рапорт Литвинова к Цицианову от 25 окт. 1804 г. №109. Суджуна: Ак. Кав. Арх. Ком., том II, гз. 410.

[2]) იხ. La Mingrelie (Ancienne Colchide) par S. Mourier, Odessa 1883, გვ. 301-302.

[3]) ქანჩი ხის ჯახრაკებიანი იარაღი იყო განსაკუთრებით დამნაშავის გამოსატეხად გამოყენებული, ჩაუდებდენ მასში თითებს, მოუჭერდენ და აკივლებდენ.

ნილ არს მმართველობის სმენამდე. მე ვასრულებ რა ნებასა მისის უგანათლებულესობისა მშობლისა ჩემისა ფიცხლად დაუმტკიცებ უფლებით კნიაზ დაკეთილშობილთა ამიერითგან ანუ კუალად არვინ გაბედოს ქმნა თვისთა გლეხთა ზედა სასტიკი და უწყალო დასჯა და უკეთუ შემდგომ ამა გამოცხადებისა ვინმე გაბედავს ქმნასა ესრეთის დასჯისასა თვით თავისი ნებით, მაშინ ისრეთი მოქცეული იქნების დაუხედველად ვითარცა პირი იქმნების ყოვლითა სიფიცხლითა. გარნა არა მიეცეს მიზეზი უსმენლობისა ანუ უმორჩილებისა გლეხთა თვისთა მებატონეებითადმი ძალუძთ დასაჯვად მცირეს დამნაშაობისათვის კაცობრიულად და არა სასტიკად. დიდსა დამნაშაობასა შინა ყოველნი თანამდებ არიან წარმოდგენად ისრეთისა მისის უგანათლებულესობისა მშობლისადმი ჩემისა ანუ ჩემდამი მოსაპყრობლად დადებულ კანონისამებრ.

მემკვიდრე მენგრელიისა დავით.

შემდეგ ხელს აწერენ განცხადების მოსმენაში თავად-აზნაურნი (15 ხელის მოწერა).

ამ სხარტული ექსკურსიიდანაც აშკარად ჩანს ყმის „რაობა“ ბატონის წინაშე; ყმის, როგორც ადამიანის, ხსენებაც ზედმეტია[1].

„მაღალი კ“ასის“ განუსაზღვრელი განაჩენი ყველაზე უფრო მძაფრად აწვა ყმების იმ კათეგორიას, რომელიც იწოდებოდა სამეგრელოში „მოჯალაბეებად“ (დოლმახორე).. „მოჯალაბე“ ეს ყველაზე უფრო დაბალი ყმა იყო. თამამად შეიძლებოდა მისი როგორც გაყიდვა, ისე მზითვის სახით ქალზე გადაცემა ნაწილობრივ ან მთელი ოჯახით: მას ევალებოდა ყოველგვარი სამუშაო და განსაკუთრებით კი ღომის ცეხვა, რაც ყველაზე სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა სამეგრელოში[2].

რაც შეეხება განსაკუთრებულად ყმებით ვაჭრობას, იგი ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. დიდიხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც დადიანი ოსმალეთის სულთანისაგან რეცეპტისებურ

[1]) „ვინ ადამიანი? სადაური ადამიანი“-ო? წამოხტა და წამოიძახა გაღიზიანებულმა მურხაყანმა (ალპასხანიმ); „ყმები თუ ადამიანებია, ჩვენი მურაც ადამიანი ყოფილა ბაბ“ (იხ. „მოჯალაბე“ კირილე წუთისოფლელისა 1914 წელი: „სახალხო ფურცლის“ სურათებიანი დამატება, № 12, გვ 1).

[2]) О крестьянском сословии Мингрелии Р. Эристова: Кавказская Старина за 1873 год, №№ 4-5,

მოწერილობებს ღებულობდა სამარცხვინო ხარკის წესიერად გარდახდის შესახებ...

ამ „რეცეპტში“ დაწვრილებით აღნიშნული იყო ის სავალდებულო ნორმა, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინა დადიანს ოდიშიდან გაგზავნილი ბავშვებისა და გოგოების სახით (მოყვანილობა, სიმაღლე, თვალები, პირი, თმა, ადამიანის სხეულის სხვა ნაწილების ფორმა, რასაკვირველია ოსმალეთის სულთანისა და ფადიშაჰის გემოვნებასთან შეფარდებით). თუმცა ოფიციალურად ეს ხარკი მოსპობილი იყო, მაგრამ არა ოფიციალურად, ვაჭრობის სახით, მას უკანასკნელი მთავარ დავითის დროსაც დიდი გასავალი ჰქონია [1] და ქალაქი ანაკლია ტყვეთა გასყიდვის მოედნად ქცეულა.

„ათასგვარი საშვალება იყო იმისათვის, რომ თავისუფლად გაესეირნათ გლეხის ხარჯზე და აქ საჭირო არ იყო არავითარი ოინები და მოხერხება, არამედ თამამად შეიძლებოდა ყველაფრის გამოსახვა სასურველ ფორმებში, მაგალითად, მიბრძანება და გაჩერება გლეხთან კვირის განმავლობაში, პირუტყვის წართმევა სამათლიანი ბეგრის სახით ანდა ბოლოს ვითომდა შემთხვევით ნაჭერი მიწის ჩამოჭრა მეზობლისათვის გადასაცემად და ათასი-ასეთები. **მიზეზთა საძებარი საშვალებანი ფრიად მრავალფეროვანნი იყვნენ; გლეხის თავზე განუწყვეტლივ ეკიდა დამოკლესის მახვილი და ამ სთვის სიამოვნებით ხტოვებდა ის თავის საშობლოს და მიდიოდა კახეთში სამუშაოდ** (კურსივი ჩვენია). აქ თვისი შრომა მას სავსებით აკმაყოფილებდა და არა იშვიათად პოულობდა იგი საშვალებას ფულის სახით, რომ საესებით გაყროდა თავის მებატონეს [2]“

ბოლოს, „დაბალი წოდების“ უფრო დაახლოებული მდგომარეობის გამოსარკვევად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ 1869 წლ. კამერალური აღწერილობიდან სტატისტიკური ცნობები, რომელშიაც აღნიშნულია „მაღალ“ და „დაბალ“ წოდებათა რიცხვობრივი შეფარდება. როგორც ამ აღწერილობიდან ჩანს, სამეგრელოს მთელი

---

[1]) გრიგოლ ბოკუჩავას სახლში ნაპოვნ ერთ-ერთ საბუთიდან როგორც ჩანს, უკანასკნელი მთავარი დავითი თავის ოფიციალურ მიმოწერაში სუჯუნის მაზრის მდივანბეგს ვამეხ დადიანისადმი 1848 წ. წერს უკანასკნელს, რათა მან:

„მიუცილებლად წარგზავნოს სამხედრო სასამართლო კომიტიაში ქუთაისს აზნაური უჩარდია გაბუნია, კითხვისათვის მის საქმესა გასყიდვისათვის სჯულის წინააღმდეგობის ორთა ყმათა ციბაძისა და ფირცხელაძისა.“.. (სამეგრელოს ნუზეუმი. საარქივო განყოფილება, № 480).

[2]) იხ. Крепостное состояние в Мингрелии К. А. Бороздина. Тифлис 1865 г., გვ. 66.

მოსახლეობა შედგებოდა 25,479 კომლისაგან; თუ თითოეულ კომლში ორივე სქესიდან დაუშვებთ 5 სულს, მივიღებთ სულ 127,395 სულს. ამ რიცხვიდან ნაწილდებოდა:

„მაღალი კლასი“:

1) ბატონიშვილები	215	სული
2) თავადები	1,309	„
3) აზნაურები	10,361	„
4) სამღვდელოება	2,340	„
სულ	14,225	სული

„დაბალი კლასი“:

1) აზატები	2,875	სული
2) მსახურნი	19,935	„
3) გლეხი ან მარგალი[1] . . .	85,520	„
4) მოჯალაბე	4,950	„
სულ	113,280	„

ასეთი იყო დაახლოებით „დაბალი წოდების“ მდგომარეობა ოდიშში გაბატონებული „მაღალი წოდების“ წყალობით.

უკანასკნელი მთავარი დავითი (1842—1853). სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანის შემდეგ მართვა-გამგეობა წილად ხვდა რუსეთში აღზრდილ დავითს. სწავლა-განათლებით აღჭურვილი დავითი შეუდგა თავის სამთავროს საქმეების მოწესრიგებას. ხოლო მოსაწესრიგებელი ბევრი რამ იყო. თავად-აზნაურობის აღვირახსნილობა და გაფუქსავატება, ხალხში გაბატონებული ძარცვა-გლეჯა და ყოველგვარ წესებს მოკლებული, ანარქიული მართვა-გამგეობა მოითხოვდა მტკიცე ნებისყოფის მმართველს, მრისხანესა და სასტიკ ადმინისტრატორს. ასეთი მოვალეობა იკისრა ახალგაზრდა მთავარმა. ზუგდიდში გაჩნდა სასახლე და მშვენიერი ტროპიკული ბაღი, სამზარეულოში chef le cuisine შვეიცარიელებისაგან, სასახლის კარზე მთელი გროვა „ლამაზი, ახოვანი და მარდი“ მეგრელი თავადების ახალგაზრდობისა იყო; იგი ძორიგეობდა სასახლეში, უკეთებდა მოხსენებებს მთავარს სტუმრებისა და მთხოვნელების შესახებ, ასრულებდა ბრძანებებს და „ბრწყინვალე“ შინაყმის სახით

[1]) „მეჯრელი“ (მარგალი) მეგრელთა თანამედროვე შემეცნებით აუცილებლად წოდებრივი, კლასობრივი ტერმინია, plebei-ს, დაბეჩავებული კლასის აღმნიშვნელი და არა ტომობრივი.

ყველგან აცილებდა მთავარს თავის მეუღლითურთ.[1] სამთავრო ჯწყუ-ბის ამ გარეგანი ფორმის მოგვარების შემდეგ, ის შეუდგა უწყების შინაგანი საქმის მოწესრიგებასაც და უპირველესად ყოვლისა განიხილა სამთავრო დებულება და შეიტანა მასში არსებითი ცვლილებები: შესცვალა წესდება, რომლითაც თანამდებობა მემკვიდრეობით გადა-დიოდა მამიდან შვილზე. სამთავრო დაყო [რამოდენსამე ოლქად და თითოეულ 4 ოლქში დააწესა სასამართლო და „პოლიციის“ საჭი-როებისათვის დააყენა მდივან-ბეგები მათი თანაშემწეებითა და ბო-ქაულებით.

უმაღლეს სააპელაციო სასამართლოს სახით დაარსა მართლ-მსა-ჯულების უზენაესი ორგანო პირველი რიგის მდივან-ბეგებისა და რჩეულ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი.

ბოლოს აღმასრულებელი ნაწილის უმაღლესი მმართველობის-თვის დააყენა ბოქაულთ.-უხუცესები. სამსახურიდან გადააყენა თავის მამის მარჯვენა ხელი, მთავარი ვეზირი, „დიდ-ნიკოდ“ წოდებული, კაცი მეტად მოქმედი და გონიერი. ამ გარემოებამ კი მას დიდ-ძალი მტრები შეჰქმნა, რომელთა რიცხვში განსაკუთრებით აღსანიშნავია „დიდი“ ნიკოს შვილები: გიორგი, პეტრე და ბესარიონი. ესენი მამის ასეთი შეურაცხყოფის გამო შურითა და გესლით იყვნენ აღსავსენი და ეძებდენ მოხერხებულ დროს, რომ აშკარად გაელაშქრათ მთავრის წინააღმდეგ, თუმცა ყველაფერი ეს ერთგვარ ფარისევლურ ჩადრში იყო გახვეული. საერთოდ თვით მაღალი წოდების ახალგაზრდობაც მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული დავითის პოლი-ტიკით: ჯერ ერთი, სწავლის მისაღებად ნებართვის მიცემა მთავრი-საგან განსაკუთრებული, იშვიათი წყალობა იყო. სწავლის მიღების შემდეგ, საშობლოში იძულებით დაბრუნებისას, არამცთუ მისი გამოყენება ხდებოდა, არამედ სრული უარყოფა, აბუჩად და სამასხროდ აგდება გარდაუვალი ზღუდე იყო თითოეულისათვის. აქ ადგილი ჰქონდა არა ერთსა და ორს წამებას, არა ერთსა და ორს საშინელებას[2]

---

[1]). იხ. Потто, Утверждение Русскаго Владычества на Кавказе, გვ 487.

[2]). სწორედ ამ ისტორიულ ეპოქას ეკუთვნის შალვა დადიანის ცნობილი ანდრი „გეგეჭკორიც“. ახალგაზრდა გეგეჭკორმა გაათავა-რა ტფილისში საშუალო სასწავლებელი, მოიწადინა სახელმწიფო სამსახურში შესვლა, მაგრამ დავითმა ნება არ დართო, გამოითხოვა ის სამეგრელოში და დააყენა თავის საქმისმწარ-მოებლად; გეგეჭკორი ვერ შეურიგდა ამ ძალადობას და კადნიერებით უპასუხა. უმწეო ვასალს თავს დაეცა მთავრის რისხვა, შეუბრალებელი დევნა, ფიზიკური ტანჯვა. „ფილეკებაა“ და ხუნდებზე ჯდომა, წყალში ჩაყენება; მისმა ნერვულმა აგე-ბულებამ ვერ აიტანა სასტიკი ტანჯვა-წამება და ბოლოს ის ძალაუნებურად უნდა გაეთავისუფლებიათ, როგორც ეპილეპსიით სავსებით დასახიჩრებული პიროვნება.

რაც უფრო ფართოვდებოდა ასეთი წრე, მით უფრო მწვავდებოდა დამოკიდებულება ურთიერთ შორის.

ამრიგად „მოაგვარა“ რა სამთავროს შინაური მართვა-გამგეობა, დავითმა მთელი თავისი ენერგია მოახმარა სამთავრო ქონებისა და შემოსავლის გადიდებას: დაადგა ამ გზას და გახდა თავისი ოჯახისათვის ქონებრივი ინტერესების გულმოდგინე თანამოსაგრე: ამით კი მან, რასაკვირველია, მცხოვრებლების ყველა წრეში გამოიწვია წინააღმდეგობა [1] და წარმოშვა ოპოზიციონერები. შემოსავლის ინტერესით გატაცებულმა დავითმა შემოიღო ახალი რეფორმები. ამ მიზნით მან უწინარეს ყოვლისა:

ა) სამთავრო ქონების გლეხებს, რომელთა მოვალეობას შეადგენდა თავადების სასახლეების აგება-შეკეთება უკანასკნელთა სურსათ სანოვაგით, იძულებით დააკისრა მათ საკუთარი სურსათით გაეწიათ მუშაობა, წინააღმდეგ ძველი ადათისა;

ბ) 6000 სააზნაურო გლეხი „საუდიერო“ს სახით დაბეგრა ფულით, ვითომც სამთავროს სხვადასხვა გვარ მოთხოვნილებათა დასაფარავად; რასაკვირველია, ამან მეტად ცუდად იმოქმედა აზნაურებზე, მაგრამ ჩიქოვანების ხელის შეწყობით მან შესძლო ამ ხარკის აკრეფა;

გ) 1842 წ. ჩამოართვა თავად-აზნაურებს ერთგვარი ყმებიც რომელნიც მღვდლებად იწოდებოდენ. დავითის გამთავრებამდე მღვდელი არაფრით განირჩეოდა უბრალო ყმისაგან. მხოლოდ მას ყმასთან შედარებით ზედმეტ ბარგად აწვა აგრეთვე თავის ხელობის მოხდაც საჭიროების დროს. ამითაც მან, რასაკვირველია, დაიმსახურა საკმაო გულისწყრომა მაღალი წოდებისაგან.

დ) აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ დროს დავითის ყურადღება მიიპყრო დიდშემოსავლიანმა საჭყონდიდო მამულმა თავის ყმებითურთ, რომელთა რიცხვი 3000 კომლს აღემატებოდა.

---

[1]) არა ერთსა და ორს საწინააღმდეგო მაგალითს ჰქონდა ადგილი თვით გლეხთა წრეშიც, მიმართულს დავითისადმი უშუალოდ თუ არა, ყოველ შემთხვევაში მის მდივანბეგებისადმი. საკმარისია გავიხსენოთ მკვლელობა სუჯუნის „მაზრის“ პირველი კლასის მდივანბეგ თავადი ვამეხ დადიანისა გადასახადის ნიადაგზე სოფ. ნატოჩაოს (ახალ-სენაკის რაიონშია) მცხოვრები ყმების — ივანიკა, სიკოია, პეტრია, უჩანია. ქაქუჩია, კოსტაია და გიორგი ქ ა ჩ ი ბ ა ი ე ბ ი ს მიერ, რომ, ოთაც ამის გამო მიეს ჯა თითოეულს 50 „როზგი“ და სტაეროპოლის სატუსაღოში 4 წლით გადასახლება (იხ. მოწერილობა მთავარი დ. დადიანისა სუჯუნის მეორე კლასის მდივან-ბეგის თანაშემწე ტარიელ დადიანისადმი. №1052 5 აგვისტო 1852 წელი. (ხაბუთი ნაპოვნია გრიგოლ ბ ო კ უ ჩ ა ვ ა ს სახლში. ახლა სამეგრელოს მუზეუმის ხაარქივო განყოფილებაშია დაცული).

ამაზე მან მოხერხებულად დაიყოლია მაშინდელი ჰყონდიდელი (თავისი ბიძა), რომელიც დაარწმუნა ნატურის გადასახადის ნაცვლად წლიურად ფულის სახით 12,000 მანეთის შემოსავლის უპირატესობაში. როდესაც ეს ჰყონდიდელი მიიცვალა. მან განგებ, დასახული მიზნის მისაღწევად, მის მოადგილედ დანიშნა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი თეოფანე (გ ა ბ უ ნ ი ა), მაგრამ, სანამ შეუდგებოდა ზემოაღნიშნულ ყმებზე ფულის გაწერის დაკანონებას, საჭირო იყო წინასწარ გადმოესვენა სუჯუნის ეკლესიიდან მარტვილში „წმ. გიორგის სასწაულთ-მოქმედი ხატი, როგორც საჰყონდიდო ყმებისა და მაჰულის ბატონ-პატრონი“. მაგრამ ვიდრე ის შესძლებდა ამ განხრახვის სისრულეში მოყვანას, თვით გარდაიცვალა (1853), და უანდერძა ამ საქმის განხორციელება თავის მეუღლე ეკატირინეს.

ამრიგად 11 წლის მართვა-გამგეობით (1842—1853) დავითმა ვერ შესძლო დაემსახურებინა სიმპატია და ავტორიტეტი ვერც ერთი წოდებისაგან: მას ყველა ემდურიოდა, მის წინააღმდეგ ფეოდალური წრეები აშკარად თუ ფარულად მოქმედებდენ განსაკუთრებით ქონებრივად გამდიდრების ტენდენციის გამო, რომელიც მისი მმართველობის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ თვისებად ჩაითვლება.

დედოფალი ეკატირინე, როგორც დავითის პოლიტიკის გამგრძელებელი მმართველი.

როდესაც ოდიშის უკანასკნელი მთავარი დავითი გარდაიცვალა (†1853), ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზი 7 წლისა იყო. კავკასის მეფისნაცვლის ვორონცოვის წინადადებით სამეგრელოს მმართველად დაინიშნა ქვრივი ეკატირინე, რომლის დამხმარედ მივლინებულ იყვნენ დავითის ძმები გრიგოლი და კონსტანტინე და სამეგრელოს ეპისკოპოსი თეოფანე. ამ გარემოებამ შექმნა ერთგვარი კრამოლა სამთავრო უწყებაში. საქმე იმაშია, რომ ძმის გარდაცვალების შემდეგ გრიგოლი თვით მოელოდა ოდიშის მმართველობას და როდესაც იმედი გაუცრუვდა, ის შურითა და მტრობით შესცქეროდა ეკატირინეს მართვა-გამგეობას და არავითარ კეთილ სინდისიერ მონაწილეობას არ ღებულობდა „მმართველის საქმეებში“, გარდა მხოლოდ ინტრიგანობისა. კონსტანტინე კი, „ბოქაულთ-უხუცესის“ სახელწოდებით შემოსილი, უფრო ნადირობაში ატარებდა დროს; ხოლო ეკატირინე, მოკლებული მართვა-გამგეობის საქმეთა შესაფერ ცოდნა-გამოცდილებას, აშკარაა, ვერ იჩენდა რამოდენ მედ მაინც შესაფერ ფხიანობას; მას არ ავიწყდებოდა მხოლოდ ის, რომ იგი დედაა მთავ-

·რის შვილებისა და ვალდებულია მტკიცედ უპატრონოს მათ სამკვიდრებელს.

ინტრიგა, რომელსაც ეწეოდა გრიგოლი ეკატირინეს მიმართ, საგრძნობი სახისა იყო, რადგანაც გრიგოლი ძლიერი იყო ჩამოჭავლობით: მას ერთის მხრივ დიდი კავშირი და გავლენა ჰქონდა იმ დროინდელ „ბატონიშვილებზე.“ იგი აღიზარდა ტაია ბატონიშვილის ოჯახში და ამიტომ ბატონიშვილები მას ისე შეჰყურებდენ, როგორც ახლობელ პირს, მოჰქონდათ თავი ძიძიშვილებად და ამ გარემოებით კი თამამად გრძნობდენ თავს, რადგანაც მაშინ სამეგრელოში დიდი იყო პრესტიჟი და წონა გაზრდილსა და გამზრდელთა შორის ურთიერთობისა. მეორეს მხრივ ფაღავებიც ერთობ მომხრენი იყვნენ გრიგოლისა და ეს გვარი კი ყველა ნათესავებით საგრძნობ ძალას წარმოადგენდა მაღალ წოდების კრებულშიაც... ამ პირობებში ვერც ეკატირინემ შესძლო რამოდენიმედ მაინც გული მოეგო „მაღალი წოდებისა“, პირიქით, ამანაც ცალი თვალით დაუწყო ცქერა უკანასკნელს და განსაკუთრებით იმ რჩეულებს, რომელთაც „ბედნიერება“ ჰქონდათ რუსეთის სამსახურში შესულიყვნენ; ასეთებს სასახლეში არ იღებდენ მომეტებულად, და თუ შემთხვევით ვინმე სასახლის კარებს ეღირსებოდა, მას დაცინვისა და დაბეზღების მეტი არა ერგებოდარა. „მაღალ წოდებისადმი“ ასეთი დამოკიდებულებით, მან აშკარა მტრად გადაიკიდა „დიდი ნიკოს“ შვილების გარდა ოდიშში სახელ მოხვეჭილი კაცი ელიზბარ ბატონიშვილი, რომელსაც რუსეთის სამსახურში ორი შვილი ჰყავდა. ამ ელიზბარს გარს ეხვია ხოლმე ყოველთვის ისეთი გავლენიანი გვარები მაღალი წოდებისა, როგორიც იყვნენ, მაგ.: მხეიძეები, ფაღავები, მიქაძეები, დგებუაძეები, წოდებულნი „რუსის პარტიად“, რადგანაც მათში დიდი ხნით მომწიფებული იყო უკვე აზრი რუსეთის მიკედლებისა. [1]

ეს ხალხი ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ თავისი წადილი სისრულეში მოეყვანა; მაგრამ რამდენადაც მტკიცე და მყარ ნიადაგზე იდგენ დედოფლის ოპოზიციონერები, იმდენად გაორკეცებულად მტკიცედ გრძნობდა თავს დედოფალი თავისი ერთგული და მარჯვენა ხელი ჩიქოვანებით.

1855 წელს მან განიზრახა ქმრის ანდერძის სისრულეში მოყვანა: ხატის გადმოტანა სუჯუნიდან მარტვილში, რაზედაც დაიყოლია თავის მხრივ თეოფანე ჭყონდიდელი. როდესაც ეს ახალი განკარგულება ხალხს განუცხადა დეკ. ნიკოლოზ ხოშტარიამ, ხალხი დარჩა ამით

[1]) იხ. Бороздин, გვ. 99.

შეტად უკმაყოფილო. სუჯუნის საკათედრო ეკლესია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შეიცავდა უზარმაზარ საჭყონდიდო მამულს 30,000 სულით. ამ ხალხს უძველეს დროიდან მიაჩნდა სუჯუნის ეკლესია თავის დედა-ეკლესიად და უზენაეს მფარველად; ამ ეკლესიაზე საზოგადოდ გაწეული ღვაწლისა, შრომისა და ხარჯის გარდა იმ ახლო ხანებში მათ ააშენეს იქ ქვითკირის დიდი გუმბათიანი ეკლესია. სწორედ ამ ერთგვარ აღტაცებულ მდგომარეობაში, რომლითაც ხალხი გამსჭვალული იყო სუჯუნის ეკლესიის მომავლის დიადი ბრწყინვალეებით, როდესაც საუკუნოებით განმტკიცებული სუჯუნის საკათედრო ეკლესია [1] უცბად, ერთის ხელის განძრევით, უბრალო, რამდენისამე გვაროვნობის კერძო სამრევლოდ გადააქციეს, ხალხმა ვერ მოითმინა ეს, საშინლად აზვავდა და, როგორც ერთი თვითმხილველი გადმოგვცემს: „ატყდა აჯანყება, შეიქნა ზარის რეკა და ბუკისა ცემა დაუცხრომელი ხალხისაგან; არ იყო გაწყნარება, ისე მოასკდა ხალხი უმრავლესი და ერთხმად შეთქვეს პირი: ან გაწყვეტა და ან ხელახლა ჩვენი ჩვეულების მოშლა არ იქნესო“ [2].

როდესაც ამ ამბავმა მიაღწია ეკატერინეს ყურამდე, მან საკმაოდ შეიარაღებული მხლებლებით გაგზავნა აჯანყების ჩასაქრობად და ხალხის დასაწყნარებლად თავისი მაზლი კონსტანტინე, როგორც ბოქაულთ-უხუცესი. მაგრამ დაწყნარების ნაცვლად ხალხის სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა და აჯანყებულთ უწყალოდ სცემეს კონსტანტინეს მხლებლებს და თვით მასაც ეღირსებოდა მსგავსი განაჩენი, რომ თავის დროზე გაქცევით არ ეშველა თავისთვის. ამ აჯანყების ინფორმაციამ მიაღწია ტფილისში მეფისნაცვლის მურავიოვის ყურამდეც, რომელმაც ამის გამო გამართა დედოფალთან ვრცელი მიწერ-მოწერა, რის შემდეგ დედოფალი იძულებული შეიქნა ხელი აეღო ამ განზრახვაზე და გაგზავნა ხალხის დასაშოშმინებლად კონსტანტინეს უფროსი ძმა გრიგოლ მთავრის-ძე; უკანასკნელმა რამოდენიმედ დაამშვიდა საშინლად აზღვაებული ხალხი.

ამრიგად დედოფლის მიზანი მიუღწეველი დარჩა; სამაგიეროდ მისი განკარგულებით გრიგოლ დადიანისა და ეპისკოპოსი თეოფანესაგან შემდგარმა კომისიამ დამნაშავედ სცნო ზოგიერთი პირი, რომელთაც ბრალდებოდათ სუჯუნის აჯანყებაში ხელმძღვანელობის

---

[1] ჩვენის აზრით სუჯუნის ეკლესიის ამ უაღრეს ავტორიტეტში უნდა ვეძიოთ ახსნა-განმარტება შემდეგი ხალხური ანდაზისა: „სუჯუნა მის უტიბუნ, ლუშუ თის ანიკია“ („სუჯუნა ვისაც წყალობს, ღობეც მას მოუვა“-ო).

[2] იხ. დეკ. თეოდორე ხოშტარიას მოგონება, გვ. 49—50.

გაწევა; ყველა ისინი დაკავებულ იქნენ შესაფერი სასჯელის მიკუთვნით. მათგან დეკ. ხიკოლოზ ხოშტარია გაგზავნეს საირმის მონასტერში უვადოთ, მოურავები მეთო ხოშტარია, ალექსი გეგეჭკორი, ფილიპე იოსელიანი და გული თოფურია გადაგზავნილ იქნენ ლეჩხუმისა და სვანეთის ციხეებში, ხოლო უმთავრეს დამნაშავედ ჩათვალეს ცნობილი ივა-ბერი (იოანე ხოშტარია), რომელიც 1840 წლიდან 1855 წლამდე ასრულებდა საეგრელოს მთავრის „შინაგანი კანცელარიის თანამდებობას". ის დაუყოვნებლივ ეითარცა მთავარი დამნაშავე, გაუგზავნეს საქართველოს მაშინდელ ეგზარხ ისიდორეს საქართველოს ერთ-ერთ უდაბნოში გასაწესებლად, მაგრამ უკანასკნელმა ის გაჩერა ტფილისში დარიის მონასტერში, სადაც იგი მალე გარდაიცვალა (ibidem, 50—51).

როგორც ბევრმა სხვა გარემოებამ, ისე განსაკუთრებით დედოფლის ამ აშკარა ანგარების გამომჟღავნებამ ძლიერ შეარყია სამთავრო სახლის პრესტიჟი სუჯუნის რაიონის საეკლესიო გლეხების თვალწინაც...

ამრიგად ეკატერინეს არავითარი არსებითი ცვლილება არ შეუტანია სამთავროს შინაურ მართვა-გამგეობაში; როგორც ჩანს, ის ამ მხრივ სავსებით ჩისდევდა დავითის მიერ აღებულ გზას.

ომერ-ფაშის შემოსევა სამეგრელოში. საგარეო საქმეებში ეკატერინეს მმართველობის სიგრძეზე განსაკუთრებით საგულისხმიერია ყირიმის ომი სამეგრელოს ტერიტორიაზე ან ომერ-ფაშის შემოსევა სამეგრელოში. როგორც ვიცით, ამ ფრიად საპასუხისმგებლო მომენტში, მიუხედავად შესაფერი მოუმზადებლობისა, სახელმწიფო საქმეების მოგვარება წილად ხვდა ეკატერინეს. 1854 წლ. მაისის თვიდან მთელი სამეგრელო (სამურზაყანოითურთ) ხდება ამ ომის მთავარ თეატრად. რადგანაც მოწინააღმდეგეთა ჯარი რიცხობრივად გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ადგილობრივი სამხედრო ძალები, ამიტომ გენ. მუხრანსკის გეგმით, რომელიც დანიშნული იყო ქუთაისის საგუბერნიო და სამეგრელოში მყოფი ჯარების უფროსად, ომს სამეგრელოს ტერიტორიაზე უნდა მიეღო **ხალხური, პარტიზანული ხასიათი.**

ამ თვალსაზრისით მოშლილ იქნა ყველა ის არსებული გზები, რომლებიც სამხედრო მიზნისათვის გამოუსადეგარნი იყვნენ; სოფლები გაამაგრეს, ტყეებში თავშესაფრები მოაწყვეს და შავი ზღვის ახლო მდებარე ადგილებზე დაბანაკეს ადგილობრივ მკვიდრთაგან შემდგარი **სახალხო მილიცია.**

რედუტ-კალეს დაკავება ოსმალეთის გარნიზონის მიერ 1851 წელს, ამავე წლის ზაფხულის თვეებში თვალსაჩინო ძალით ომერ-ფაშის შტაბის უფროსის ფერჰად-ფაშის აფხაზეთის ნაპირებზე გადმოსვლა, და ბოლოს თვით ომერ-ფაშის კორპუსის მიერ 1855 წლის ოქტომბერში სოხუმის დაკავება, ეს ის შავი ღრუბლებია, რომლებიც განსაზღვრული დროის განმავლობაში არ მოშორებია სამეგრელოს, და უკანასკნელი აოხრებისა, აწიოკებისა და განადგურების მსხვერპლი შეიქნა. რამდენისამე დღის განძავლობაში უკვე მთელი სამეგრელო გახდა ომერ-ფაშის დროებითი სამფლობელო; მეხრანსკი იძულებული შეიქნა დაეხია თავის ჯარით დაბა ხონში, სადაც დანიშნული იყო შტაბის ბინა, ხოლო ეკატერინე თავად-აზნაურთა რჩევით გადავიდა ლეჩხუმში და თავი შეაფარა ციხე „მურს“.

თურქთა თარეშს სამეგრელოში საზღვარი არა ქონდა. ომით ისედაც მოქანცულ ხალხს[1] დაედგა მოწინააღმდეგე ძალის უხეში და უსამართლო ბატონობის მძიმე უღელი. არა ერთი და ორი ოჯახი ატირებულა და განადგურებულა ამ უბედურობის წყალობით. ხალხში დღემდეც მრავლადაა დარჩენილი მწარე მოგონებანი ამ დროისა. იმ ზომამდე გამძაფრდა ხალხის დაბეჩავებული სულისკვეთება, რომ მათ უფლება აყრილთ და გაპარტახებულ ყოფაცხოვრებაში მყოფთ ბუნებრივად დაებადათ ერთგვარი მისწრაფება ბორკილისაგან თავის დაღწევისა; ალბათ ამ ნიადაგზეა წარმოშობილი ის ტენდენციური სააკვნო სიმღერა[2], რომელიც დღესაც ხმარებაშია სამეგრელოს ზოგიერთ ადგილებში და რომელიც აკვნიდანვე ამზადებდა და წვრთნიდა ბავშს ამ ოკუპაციის საწინააღმდეგოდ. სამეგრელო შიშის ზარის ქვეშ ცახცახებდა. თვით ომერ-ფაშის სურვილი იყო რამენაირად თავის მხარეზე გადაეყვანა ეკატერინე და დაებრუნებია ის ზუგდიდში, ამიტომ მან შემოსვლისთანავე გაუგზავნა დედოფალს გორდში ზუგდიდის სასახლის მოურავი ხიკო დგებუაძის ხელით შემდეგი შინაარსის წერილი:

---

[1]) ამ ომით ჯამოწვეული, როგორც სამოვარო ქონებისა, ისე სამეგრელოს განადგურებული ნაწილების, ზარალი 50,000 მანეთს აღწევდა, რომელსაც ეკატერინე თხოულობდა რუსეთის მთავრობისაგან: იხ. Переписка владетелей Мингрелии с 1801 года.

[2]) იხ. И. Кипшидзе. Грамматика мингрельскаго языка. СПб. 1914 г. გვ. 138.

ზუგდიდი, 30-XII-1855 წლ.

თქვენო ბრწყინვალებავ!

„შემოველ რა იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენი შვილის სახელით თქვენი ბრწყინვალება ჰმართავს, ჩემს მოვალეობად ვრაცხ გაუწყოთ ზრახვანი ჩემის უაეგუსტოესის სულთნისა და დიდთა მის მოკავშირე სახელმწიფოთა.

„დღევანდელი ომი, როგორც ეს თქვენმა ბრწყინვალებამ უწყის, დაწყებულია იმ სამართლიანი განზრახვით, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ და ბოლო მოუღოთ დაპყრობით წადიერებას რუსეთის იმპერატორისას.

„აი სწორედ ამ მიზნით გახლავართ აქ; თან მყავს იმდენი ჯარი, რომელიც ღვთის შემწეობითა და მისი წყალობით, რომ სამართლიანი საქმისთვის ვიბრძვით, სრულიად საკმაო იქნება განვდევნოთ მტერი ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი ბრწყინვალება მეფობს; მაგრამ შემოველი რა სამეგრელოში, მე ჩემი უაეგუსტოესი ხელმწიფისა და მისი მოკავშირე დიდი სახელმწიფოების სახელით მონდობილი მაქვს დავუმტკიცო თქვენს ბრწყინვალებას, რომ მათ სრულებით არ სურთ შეეხონ სამეგრელოს მართვა-გამგეობას ან რაიმე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაზე.

„მათი ერთად-ერთი სურვილია, რომ სამეგრელო და მისი შეზობელი ქვეყნები იყვნენ დამოუკიდებელნი რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან და რომ საკუთარი მთავრობანი თავისუფლად მართავდენ მათ...

„როდესაც ჩემმა ჯარმა, სამეგრელოში შემოვიდა რა, დაინახა, რომ აქაურ მკვიდრთა ერთ ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები გაქცეულან და თავი მიუნებებიათ თავიანთ სახლთ-კარისა და ქონებისათვის, რაც საერთაშორისო უფლების თანახმად სამხედრო ნადავლად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ დავინახე, რომ ჯარს სხვა მეზობელი ქვეყნების მკვიდრნი გაჰყვნენ და ადგილობრივ მკვიდრთ რბევა დაუწყეს და აგრძნობინეს ომიანობის მთელი საშინელებანი... რომ ტანჯვა შემემცირებინა ამ საწყალი ხალხისთვის, მე ვიხმარე მთელი ღონისძიება, რათა ეს უცხოელნი თავთავიანთს ქვეყანაში გამეგზავნა, ხოლო ჩემი ჯარისკაცები სასტიკად დავსაჯე და ამით დავაკავე მკვიდრთა რბევა-აწიოკებისაგან. მცხოვრებთა ერთი ნაწილი უკვე დამშვიდებული დაუბრუნდა თავის სახლთ-კერას, მაგრამ

ამ კაცთ-მოყვარული საქმის დასასრულებლად, მე ვიწვევ თქვენს ბრწყინვალებას, დაბრუნდეს თავის სასახლეში, განაგრძოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობა და ამ გვარად დაამშვიდოს ქვეშევრდომნი და ჩააგონოს მათ, თუ რა სწადია ჩემს ხელმწიფეს, განუმარტოს ისიც, თუ რა აზრით არის აქ მოსული ჯარი, სახელდობრ აუხსნას ის, რომ ჯარმა აქ რუსებს უნდა ებრძოლოს და აღადგინოს სრული დამოუკიდებლობა საქეგრელოსი თავისი ძველებური მართვა-გამგეობით"...

„თქვენის ბრწყინვალების დაბრუნების მოლოდინში მე თქვენს მაგივრად საქეგრელოს მმართველად ვაცხადებ ბატონიშვილ ნიკოს, რომელიც თქვენმა ბრწყინვალებამ ზუგდიდში გამოგზავნეთ, მაგრამ თქვენის შვილის და ქვეშევრდომთა ინტერესებისათვის მე თქვენ გიხმობთ ჩამობრძანდეთ ზუგდიდში როგორც ეს შესაძლებელი იქნება და თვით ჩაიბაროთ საქეგრელოს მართვა-გამგეობა.

დავრჩები თქვენის უბრწყინვალესობის უაღრესი პატივისმცემელი ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი.

ომერი"[1].

რაკი მდგომარეობა მეტად გართულებულიყო და თვით ეკატერინემ ვერაფერი გადასწყვიტა, ამიტომ მან ომერ-ფაშის წერილი გაუგზავნა ტფილისში ბებუთოვს რომლისაგან დარიგებას ითხოვდა. ხოლო ამ წერილის პირი გადაუგზავნა ქუთაისში თავის ძველ ნაცნობ ნ. პ. კოლუბიაკინს უკანასკნელმა არ დააყოვნა და წერილთან ერთად საპასუხო პროექტიც გამოუგზავნა ომერ-ფაშისთვის გასაგზავნად. აი თვით ის პროექტი:

თქვენო აღმატებულებავ!

„ზრდილობა მაიალებს გიპასუხოთ იმ წერილზე, რომლის გამოგზავნა ჩემთან საჭიროდ დაგინახავთ.

„ჩემი გამოთქმა იმდენად მოკლე და ნათელი იქნება, რამდენადაც ამას გარემოება მოითხოვს.

„თქვენ, გენერალო, საქეგრელოში იმ განზრახვით ჩამოსულხართ, რომ ეს მხარე გახადოთ დამოუკიდებელი რუსეთისაგან და ეს კი სწორედ ეწინააღმდეგება ჩემს სურვილებს და, ჩემის აზრით, ჩემს ქვეყანასაც სულ სხვა სჭირია.

[1]) იხ. К. Бороздин, გვ. 34—36

„გარდა ამისა, თუ სამეგრელოს ვინმე ძლიერი მფარველი არ ეყოლა, ისე თავისთავად არსებობა არ შეუძლია იმ მიზეზების გამო, რომელთა ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანდა და უეჭველია თან ისიც, რომ ეს მიზეზები არც თქვენ გამოგეპარებოდათ. ამიტომ რუსეთისაგან დამოუკიდებლობის დროს, ჩვენთვის აუცილებლად საჭირო გახდებოდა სამ სახელმწიფოთაგან ერთერთისთვის მფარველობა გვეთხოვა. ახლა კი მოგახსენებთ, რატომ არ მსურს ასეთი არც ერთ მათგანისაგან.

„ოსმალეთი ვერც კი იფიქრებს სხვა დაიფაროს, რადგან თითონ მას სხვა პატრონობს და უნდა გამოგიტყდეთ, რომ არც ისეთი სახარბიელო პატრონი გააჩნია.

„ახირებულობა იქნებოდა საფრანგეთის მფარველობა იმ შემთხვევითი სახელმწიფოსი, რომელსაც დღესა თუ ხვალ ბოლო მოეღება.

„თქვენ თითონ არ გვირჩევდით, გენერალო, ინგლისისთვის გვეთხოვა მფარველობა, რადგან თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რომ ყველა ხალხი, რომელსაც ხვდა წილად ინგლისის მბრუნველობა: ინდოელები, ჩინელები, იონელები, ან დამონავდენ, დამახინჯდენ გონებით ან გაუბედურდენ.

„ბოლოს არც იმას მოგახსენებთ, რომ სამთავე სახელმწიფოთა მფარველობა ერთად მინდოდეს, რომ ამით დაცინვის საბაბი არ მოგცეთ.

დასასრულ, გენერალო, გთხოვთ მიიღოთ რწმენა იმ გრძნობათა, რომელნიც თქვენ შეგფერით“ (ibidem, 37-38).

დედოფალი ფიქრს მიეცა. მან ამ წერილის გაგზავნას სიჩუმე ამჯობინა და მეორე დღეს ბავშები ლეჩხუმში, ციხე „მურში“, გაგზავნა. თითონ კი რამოდენიმე დღით გორდში დარჩა, რათა საჭირო განკარგულებანი მოეხდინა სალაროთა და ძვირფასი ნივთეულობის გაგზავნის შესახებ. ერთი კვირის შემდეგ თვით დედოფალიც გაემგზავრა „მურში“, სადაც მას იმედი ჰქონდა მიეცემოდა დასვენებას, მაგრამ ის არ ავიწყდებოდა ოსმალეთის მთავარ-სარდალს და გორდში დაბინავების სამი დღის შემდეგ ომერ-ფაშისაგან კვლავ მიიღო შემდეგი წერილი:

„მთავარი ბანაკი, 9 (21) ნოემბერს 1855 წ.

თქვენო ბრწყინვალებავ!

„მე პატივი მქონდა მეახლებინა თქვენის ბრწყინვალებისათვის წერილი, 30 ოქტომბრის (11 ნოემბ.) თარიღით, რათა მეუწყებინა თქვენთვის ჩემი უავგუსტოესის ხელმწიფის სულთნისა და მის მოკავშირე დიდთა სახელმწიფოთა წადილი, რომელთაც ჩემის წინამძღოლობით გამოგზავნეს ჯარი სამეგრელოს პროვინციაში.

„იმ წერილში მე ვარწმუნებდი თქვენს ბრწყინვალებას, რომ ჩემს ხელმწიფესა და მის დიდთა მოკავშირეთა არავითარი სახელმოხვეჭის აზრი არა აქვთ, მხოლოდ სურთ სამეგრელო და მისი მეზობელი პროვინციები რუსეთისა და ა გრეთვე სხვა ახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელნი გახადონ და საკუთარი მართვა-გამგეობა მიანიჭონ.

„ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ისევ განვიმეორო ჩემი ნათქვამი და იმავე დროს ხელახლად მოვიწვიო თქვენი ბრწყინვალება თქვენი მემკვიდრე შვილითურთ ზუგდიდში, რათა აქ განაგრძოთ მართვა-გამგეობა თქვენი ქვეყნისა თქვენი შვილის სახელით.

„რაკი ჩემს 30 ოქტომ-ს გაგზავნილ წერილზე არავითარი პასუხი არა მაქვს თქვენი ბრწყინვალებისაგან, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაუწყო თქვენს ბრწყინვალებას, თუ რა შედეგი მოჰყვება თქვენს დაგვიანებას და დაუბრუნებლობას თქვენი სამთავროს დედა-ქალაქში.

„სამეგრელოს მკვიდრნი თანდათან მშვიდდებიან, მაგრამ აკლიათ მეთაური, რომელმაც იმ დროს, როცა მთელი მხარე ჩემს ჯარს აქვს დაპყრობილი, უნდა ჰმართოს იგი და თავის რჩევა-დარიგებით უწინამძღვროს იმ ამბების დროს, რომელიც მის გარშემო ხდება.

„თუ თქვენი ბრწყინვალება არ დაბრუნდება და ისევ არ ჩაიბარებს სამეგრელოს მმართველის მესაჭეობას თქვენი შვილის სახელით, ამით თქვენ კიდევ უფრო გაუმწვავებთ ყოფნა-არსებობას თქვენს ქვეშევრდომთ, ამით თქვენ დაივიწყებთ თქვენი შვილის ინტერესებს და საუკუნოდ დაჰკარგავთ სამეგრელოზე რასმე უფლებას თქვენ და თქვენი შვილიც, მაშინ ჩემი უავგუსტოესი ხელმძღვანელი სულთანი და მისი მოკავში-

რენი იძულებულნი გახდებიან მიმართონ იმ საშუალებას, რომელიც მათ სრულიად არ სურთ: დააწესონ სამეგრელოში მყარი, არავისაგან დამოკიდებული მთავრობა, რომელსაც ამ მხარის და ხალხის ინტერესი უფრო აწუხებდეს იქნება.

„მიიღეთ რწმუნება ჩემის უაღრესის პატივისცემისა.
მთავარ-სარდალი ოსმალეთის სახელმწიფო მხედრობისა

/ ომერი“.

ამ წერილის მუქარის კილომ მეტად შეაშინა დედოფალი მით უფრო, რომ ბებუთოვისაგან ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული პასუხი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ეს წერილიც მაშინვე ბებუთოვს გაუგზავნა. ამასობაში ქვემო სამეგრელოდან მეტად სამწუხარო ამბავი მოდიოდა: სამეგრელოს მოსაზღვრე სამურზაყანო ოსმალების საფაშალიყოდ გადაიქცა და ფაშად დანიშნულ იქნა რუსეთის მხედრობის გენერალ-ლეიტენანტი მ ა რ ღ ა ნ ი ა, რომელიც ოსმალეთის მხარეზე გადავიდა.

აფხაზეთის მთავარი მიხეილ შ ერ ვ ა შ ი ძ ე ცდილობდა სამეგრელოს მკვიდრთა ოსმალეთის მხარეზე გადაყვანას. ამასობაში ომერ-ფაშას ჯარი ზუგდიდიდან ონტოფოში ჩავიდა. ჯარს უკან მისდევდენ აფხაზები, წებელდელები, უბიხები და ყველა ვიგინდარა, რომელნიც სოფლებს ბოედვენ, დაუწყეს რბევა-აწიოკება, ქალები და ყმაწვილები ტყვედ მიჰყავდათ. მთელმა სოფლებმა სახლთ-კარს თავი დაანებეს, ტყესა და მთებში გაიხიზნენ და რაც მოხვდებოდათ, იმით იკვებებოდენ.

ომერ-ფაშისა და თურქების მოქმედების ამბავი დაწვრილებით მოსდიოდა დედოფალს. ამასთან ერთად ყოველ-დღე ახალ-ახალი ჭორები ესმოდა: ერთის მხრივ მას ამტყუნებდენ იმაში, რომ ის განზე იდგა და ომერ-ფაშის მოწვევაზე პასუხსაც არ იძლეოდა, რომ მას შეცთომით ისევ რუსების მხარე ეჭირა, რაც დასაგმობი იყო იმდენად, რამდენადაც რუსები ვერასოდეს სამეგრელოს ვერ დაიბრუნებენ და ომერ-ფაშასთან კავშირის გაწყვეტას მხოლოდ უვიცობით ხსნიდენ. მეორეს მხრივ დადიოდა ხმები, ვითომც დედოფალმა პირდაპირ გამართა მიწერ-მოწერა ომერ-ფაშასთან და მოლაპარაკება აქვს სამეგრელო რუსეთს ჩამოაცილონო. ასე რომ, ვინც უნდა მისულიყო კერძო კაცთაგან სარდალთან, მაშინვე იტყოდენ, რომ დედოფლისაგან არის მოგზავნილი და ჩუმჩუმად რაღაცას ახერხებსო. დედოფალი ორ ცეცხლს შუა იწოდა. ამ მეტად გართულებულ მის მდგო-

მარეობას ზედ ისიც დაემატა, რომ 20 ნოემბერს იმდენი ხნის მოუთმენელი ლოდინის შემდეგ ბებუთოვისაგან მოვიდა პასუხი: „შვილები წამოიყვანეთ სამეგრელოდან და ტფილისში წამობრძანდით“-ო. ამის ასრულება მეტად უმძიმდა დედოფალს, იმიტომ რომ ადგილობრივი თავადები უარზე იდგენ მცირე წლოვანი მთავარი ტფილისში გაეგზავნათ და მეორეც ომერ-ფაშა გაიგებდა თუ არა დედოფლის შვილებითურთ სამეგრელოდან გასვლას, მაშინვე სხვას აღიარებდა სამეგრელოს მთავრად. ყველაფერი ამით მეტად აღელვებული იყო დედოფალი და განიცდიდა საშინელ წუთებს, მაგრამ მალე მდგომარეობა გაუმჯობესდა: 22 ნოემბერს დედოფალმა მიიღო კოლუბიაკინისაგან წერილი მურავიოვის მიერ ყარსის აღების შესახებ, რაც სავსებით არკვევდა სამეგრელოს ბედ-იღბალსაც. დედოფლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შვილები ბოროზდინს ჩააბარა და თითონ ჯარში მონაწილეობის მისაღებად მეორე დღეს მურის ციხიდან წავიდა. გორდზე გავლის დროს დედოფალმა გაიგო, რომ სასახლე ზუგდიდში ოსმალებს ყაზარმად უქცევიათ და შიგ ბატონობდა ისკანდერ-ფაშა, პოლონელთა მოღალატე გრაფი ილინსკი, რომელსაც თავის მოვალეობად დაუსახავს დედოფლისთვის შემდეგი წერილი მიეწერა:

ბანაკი ზუგდიდთან, 22 ნოემბ. (3 დეკ.) 1855 წ.

„ზუგდიდში იმდენი ჯარი მოვიყვანე, რომ სრულებით საკმარისია დავიცვა სიცოცხლე და ქონება ადგილობრივ მკვიდრთა და აგრეთვე უცხოელთა, რომელნიც აქ დასახლებას მოისურვებენ.

„პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, რომ მე იძულებული გავხდი ჯარი თქვენს სასახლეში დამებინავებინა. რაც შეეხება მხოლოდ იმ ნივთებს, რომელნიც აქ თქვენ ბრწყინვალებას დაუტოვებია, ყოველივე ზომა ვიხმარე, არაფერი დაიკარგოს.

„თავადი ნიკო დგებუაძე, თქვენი უბრწყინვალესობის წარმომადგენელი და პეტრე მხეიძე იმის მოწმენი არიან, რომ ჩემი აზრი იქითკენაა მიმართული, რათა სამართლიანად მოგვეპყრა ამ ქვეყნის მკვიდრთათვის. სანამ მეგრელები თოფს არ გვესვრიან, მათ სიცოცხლესა და აელადიდებას ხელს არავინ ახლებს. მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ რომლისამე მარტოდ დარჩენილი ან გზა-დაკარგული ჯარისკაცის გაძარცვა ან

მოკვლა განმეორდა, იძულებული ვიქნები მთელის სისასტიკით შური ვიძიო.

„თქვენს ბრწყინვალებას ვსთხოვ გამოუცხადოს სამეგრელოს მკვიდრთ, დარჩენ სოფლებში და თავიანთ საქმეებს მოჰკიდონ ხელი; თან ვსარგებლობ ამ შემთხვევით და თქვენს ბრწყინვალებას ვუცხადებ ჩემს ღრმა პატივისცემას.

ვრჩები თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი მონა
მეჰმედ-ისკანდერ-იბრაჰილ, ოსმალთ მხედართ-მთავარი“ (ibidem, 51-52).

26 ნოემბერს დედოფალი უკვე იმერეთს იყო დაბა ხონში და როგორც მეგრელთა მილიციის წინამძღოლი რამდენჯერმე მონაწილეობას იღებდა მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მტრის ბანაკიდან მას მაინც არ ასვენებდენ, არწმუნებდენ, ვითომც ის ებრალებოდათ და ფილანტროპიული სარჩულით იწვევდენ ზუგდიდში. ამ მიზნით მას ერთსა და იმავე დროს ორი საგულისხმიერო წერილი მოუვიდა (ფრანგულად):

მთავარი ბანაკი ოსმალებისა, სამეგრელო,
6 დეკემბერს (25 ნოემბ.) 1855 წელს.

ბატონიშვილო!

„მისი დიდებულების ინგლისის დედოფლის მთავრობამ კავკასის ქვეყნებში აგენტად გამომგზავნა. პატივი მაქვს ვაუწყო თქვენს ბრწყინვალებას, რომ მზად გახლავართ შეგარიგოთ თქვენ და მარშალი ომერ-ფაშა, ოსმალეთის ჯარების სარდალი. თუ კიდევ არ დაუბრუნდით თქვენი სამთავროს რეზიდენციას, ჩვენის აზრით, ამას არასასურველი შედეგი მოჰყვება, როგორც თქვენს უფლებათა, ისე საკუთარ ქვეშევრდომთა ბედ-იღბლის გარშემო; მათი მდგომარეობა დღითი-დღე აუტანელი ხდება. რაც შეეხება ოსმალთა ჯარის ქცევას, უნდა მოგახსენოთ, რომ, მისი უფროსის სიბრძნისა და კეთილშობილობის წყალობით, მეკრელები მათი უკმაყოფილონი არ არიან. გარდა ამისა შემიძლია თამამად ვთქვა, რომ შემდეგშიაც ასე კარგად მოექცევიან სამეგრელოს მკვიდრთ. მაგრამ უწესოება შინაურ საქმეებში ერთობ დიდია: მეხობლები ხშირად ესხმიან თავსა და აწიოკებენ, ომერ-ფაშა ამ შემთხვევაში განზე დგას, არაფერში ერევა: „ჩემი საქმე არ არის“-ო. პირიქით, როგორც მისი,

ისე ჩემი განზრახვანი გვაიძულებენ არ ჩავერიოთ იმ ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში, რომელიც ოსმალეთს დაუპყრია, ამიტომ თუ რამ უბედურება დაატყდათ თავს სამთავროს მკვიდრთ, ბრალი დაედება იმ უფროსებს, რომელთაც ყოველგვარი საჭიროების გარეშე თავი ანებეს თავიანთ ქვეშევრდომთ. სასტიკად მხოლოდ მაშინ მოიქცევა მარშალი, თუ შინაურმა უწესოებამ საზღვარს გადააცილა; ამ შემთხვევაში ომერ-ფაშა იძულებული იქნება ახალი მთავრობა დააწესოს სამეგრელოში, რომ თავისი ჯარი უფრო უზრუნველ ჰყოს ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათისაგან. თქვენი ბრწყინვალებისა და თქვენი შვილების საკუთარი ინტერესი მოითხოვს ეს მძიმე საქმე როგორმე ჩქარა გაათაოთ.

„ჩემი ამხანაგი ბატონი შ ა მ პ უ ა ზ ო ნ ი, საფრანგეთის სახელმწიფოს აგენტი, დროებით სხვაგან გაემგზავრა, მე ვკისრულობ იმას, რომ ამ საკითხის შესახებ ჩვენ ორივე ერთი აზრისა ვართ და მასაც თავის მთავრობისაგან ისეთივე დარიგება აქვს, როგორც მე ჩემისაგან. იქნება თქვენმა ბრწყინვალებამ საჭიროდ დაინახოთ გიახლოთ თვით. თქვენი სურვილი შემიძლია ავასრულო, თუ გზაში არაფერი შემემთხვევა!

ვრჩები ულრმესი პატივისცემით უმდაბლესი და უმორჩილესი მონა-მოსამსახურე თქვენის ბრწყინვალებისა,

ვ. ლონგუორტი“.

აი მეორე წერილის შინაარსი:

„ბანაკი და მთავარი სადგომი სოფ. ონტოფოში.
6 დეკემბერს (25 ნოემ.) 1855 წ.

ბატონიშვილო!

„საკვირველი არ არის, რომ თქვენი ბრწყინვალება ამდენ ხანს ყოყმანობს? როგორც მანდილოსანს ეს გეპატივებათ, მაგრამ თუ კიდევ ამ გარემოებამ გასტანა, საეალალო იქნება თქვენისა და თქვენი შვილების ინტერესებისათვის. რუსები დამარცხდენ დუნაიზე, ყირიმში, ინგურზე, ყველგან, სადაც კი მტერი შეხვდა. თქვენს ბრწინვალებას კარგად უნდა ჰქონდეს გაგებული, რომ იმათ არ ძალუძთ კავკასიაში დაპყრობილი ქვეყნები შეინარჩუნონ. მერე რა ღონეს ხმარობენ ისინი ამისათვის? არაფერს. სულ უკან იხევენ, ციცხლს უკიდებენ თავიანთ შენობებსა, თავიანთ სურსათსა, კერძო პირთა ქონებასაც არა

ჰზოგავენ და ამავე დროს ვერა ჰბედვენ და არც შეუძლიათ გაუმკლავდენ მტერს.

„მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში უნდა იბრძოლოს რუსეთმა, მთელი საუკუნის განმავლობაში უნდა ღვაროს თავისი ჯარის სისხლი, რომ ოდნავაც არის, დაიპყროს კავკასია, ეს უპატრონოდ დარჩენილი და ყველასაგან მივიწყებული მხარე.

„ევროპამ ახლა გაახილა თვალები: „მეტი მოთმენა არ შეიძლება“-ო და გადასწყვიტა კავკასის ერნი, გონებრივის სიბნელითა და სილარიბით შეწუხებულნი, გაათავისუფლოს. ევროპას სურს, რომ თქვენ შეუერთდეთ განათლებულ ხალხს, რომ იმ განძითა და სიმდიდრით, რომელიც უფალს თქვენი ქვეყნისათვის მოუმადლებია, თქვენვე სარგებლობდეთ.

„ამრიგად, ჩვენა გვსურს დამოუკიდებელ და მდიდარ გყოთ და თქვენი ბრწყინვალება კი ყოყმანობს; ნება გვიბოძეთ, ბატონიშვილო, მოგახსენოთ, რომ თქვენი ბრწყინვალება ბრძანდებით მეგრელი და მმართველი სამეგრელოსი და არა ქვეშევრდომი რუსეთისა.

„ღმერთმა ჩაგაბარათ თქვენ ინტერესები თქვენი ქვეყნისა, თქვენი შვილებისა, თქვენი კურთხეულის ხარისხისა.

„აქაური ხალხი და ქვეყნები სხვის ხელში თავის დღეში არ იქნებიან, მაგრამ, ვინ იცის, მოკავშირე საბელმწიფოებს შეიძლება თავი მოჰბეზრდეთ კიდეც თქვენი ყოყმანობით. იტყვიან: „ამდენ ხანს ხალხის დატოვება უპატრონოდ არ შეიძლებაო, ამდენ ხანს იმიტომა ჯიუტობს, აქედან თავისი ნებით იმიტომ გაიხიზნა, რომ მთავრობაზე ხელი აიღო“-ო და თქვენს მაგივრად სხვა თავადს დანიშნავენ მმართველად.

„მე კარგად მაქვს გათვალისწინებული, თუ რა ძნელია ამ შემთხვევაში თქვენი მდგომარეობა, როგორც ქალისა, მაგრამ რაკი თქვენს ბრწყინვალებას მთელი ერის უფროსობა გაბარიათ, რაკი ვალდებული ბრძანდებით იხრუნოთ თქვენი შვილების ინტერესებისათვის, უნდა იცოდეთ, რომ საჭიროა ხელის გამოღება.

„თქვენო ბრწინვალებავ, მაპატიეთ ჩემი გულახდილი ლაპარაკი; თქვენ თითონ დაინახავთ, რომ ასე გულახდილად იმიტომ მოგახსენეთ ყველაფერი, რომ თქვენი ბრწყინვალების მოწიწებითი პატივისცემა მაქვს.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, იმპერატორის ბრძანებით მყოფი მისს ბრწყინვალება გენერალისიმუს ომერ-ფაშასთან

გრაფი მეფრე (ibidem, 55—58).]

ამ ორი წერილიდან ნათლად ჩანდა, რომ ომერ-ფაშამ, რადგანაც დედოფალი ზუგდიდში თავის რჩევით ვერ მოიყვანა, მიმართა უფრო დიპლომატიურ საშუალებას: ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური აგენტების წყალობით შეეცადა დედოფალი ზუგდიდში დაებრუნებინა, მაგრამ მაინც ვერას გახდა და ამის შემდეგ ოსმალთა ბანაკიდან დედოფალს წერილი არ მოსვლია.

ამასობაში გენერალმა მურავიოვმა გურიის რაზმს, რომელსაც მუხრანსკი ხელმძღვანელობდა, 7 ბათალიონი მიაშველა. იმერეთი სიხარულმა მოიცვა, როდესაც გაიგეს, რომ ჯარი სურამს გადმოცდაო. ომერ-ფაშამ, რომელიც ქუთაისიდან 25 ვერსის მანძილზე იდგა, გაიგო თუ არა ეს მისთვის მეტად სამწუხარო ცნობა, იმერეთის საზღვარს თავი ანება. როგორც დამარცხებულმა დაიწყო უკან დახევა უკვე მეტის სისასტიკითა და ზარალის მიყენებით ადგილობრივ მცხოვრებთადმი, ვიდრე შემოსევისას. თავის მხრივ კი თვით მუხრანსკის განკარგულებაში მყოფი ლაშქარიც საშინელ ეკონომიურ გაჭირვებასა და შიშში აგდებდა ისედაც მტრისაგან გაჩანაგებულ ხალხს.

ამ აფორიაქებული დროის სურათს ნათლად გვიხატავს ეკატერინეს მიერ ბოროზდინისადმი გაგზავნილი წერილი: „ომერ-ფაშა სრული სიმშვიდით იხევს უკან (ცხენიწყლიდან რედუტ-კალესაკენ). ჩვენი ჯარების გადაყვანა ვერ მოხერხდა; როგორც თქვენ იცით, მუხრანსკიმ უდროოდ გადასწვა ყველაფერი; ვერც ხიდებს, ვერც ნავებს, სამეგრელოში ვერ შეხვდებით. ის უკვე ახლა 500 მეგრელი და იმერელი მილიციელით თვით დაედევნა მტერს; მან თავის მოქმედებას უწოდა პარტიზანული ომი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ისინი მტრის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებიან, როგორც თქვენ ცაგერიდან. მხოლოდ საშინლად აოხრებენ და ანგრევენ სამეგრელოს. რაოდენობა მათი იქნება 3000 და წარმოიდგინეთ მთელი ეს ჯარი მოკლებულია თავის სურსათს-სანოვაგეს და იმყოფება მეგრელების ხარჯზე. მე გული მიკვდება, როდესაც მცხოვრებლები მოთქმითა და ტირილით ეცემოდენ ხოლმე ჩემი ცხენის ფეხების წინ. საშინელებაა ის, რაც ხდება აქ“ (ibidem, 86—87).

დასავლეთ სამეგრელოში 40—50 ვერსის მანძილზე დამარცხებული ჯარის დახევა გაფუჭებულ შარა-გზებზე დეკემბერსა და იანვარში განსაკუთრებული სიძნელით წარმოებდა. განიზრახა რა ომერ-ფაშამ ყულევით გაქცევა, ის ვერ ასცდა იმ დიდ ლაფებს, რომელშიაც ერთნაირად იფლობოდენ, როგორც ქვეითთა ჯარი, ისე ცხენოსანთა რაზმებიც. ასე რომ მსგავს გაჭირვებაში საკუბით გასაგები იყო ომერ-ფაშის გაოცება: „36 ქვეყანა მოვიარე და არსად ისეთი ტალახი არ მინახავს, როგორც სამეგრელოში“-ო[1].

ამავე დროს ადგილობრივი მილიცია და სხვადასხვა შემადგენლობის მფრინავი რაზმები („ლეტუჩი კამანდები“) თავს დაესხენ ზუგდიდის გარნიზონს და უმრავლესობა დაატყვევეს. ამით გაბრისხებული, ზუდიდიდან უკვე გაქცეული ისკანდერ-ფაშა, ისევ დაბრუნდა უკან და მეგრელების ჯავრის ამოსაყრელად გადაწვა მთავრის სასახლე და მშვენიერი ბაღი; ბევრ სხვა შენობათა შორის დაიწვა როზმორდეუკის საქსოვი ქარხანაც. სამაგიეროდ ადგილობრივი მილიცია მოხერხებულ ადგილებზე ეცემოდა თათრის ჯარს და ხოცავდენ ტით მიერეკებოდა ქვალონითა და ხორშით რედუტ-კალესაკენ.

მაგრამ ეს არ იყო კიდევ უკანასკნელი სიტყვა არევ-დარევისა: არა ერთსა და ორს შეტაკებას ჰქონდა კიდევ ადგილი, როგორც რეგულარული, ისე კერძო პარტიზანული ჯარების საშუალებით, მანამ, სანამ ბოლოს, მარტის დასაწყისში, არ მოვიდა უკანასკნელი ცნობა იმის შესახებ, რომ ყირიმში უკვე ერთი თვით ჩამოვარდა ზავი, ხოლო პარიზში წარმოებს მოლაპარაკებაო...

19 მარტს 1856 წელს კი გამოქვეყნდა პარიზის ზავი საბოლოო მორიგების შესახებ, რომლის ძალით ყარსი ისევ ოსმალეთს გადაეცა და რუსეთს კი სამაგიეროდ დაუბრუნდა სევასტოპოლი. ვინაიდან ამავე წლის 26 აგვისტოს დანიშნული იყო რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე მეორის ტახტზე ასვლა და სხვათა შორის „საუკეთო ცერემონიაზე“ დასასწრებლად მიპატიჟებული იყო ეკატერინეც, უკანასკნელი შეუდგა გამგზავრების სამზადისს და ივლისის თვეში გაუდგა გზას რუსეთისაკენ. განსაკუთრებული ინსტრუქციით გადაბარა სამეგრელოს მმართველობა გრიგოლს (თავის მაზლს), ხოლო სამთავრო სახლის სახლთ-უხუცესობა კი დავით ჩიქოვანს. სრულებით თავდავიწყებას მისცა ხალხის აუტანელი მდგომარეობა ამ საშინელი ომით უკიდურესობამდე გამძაფრებული.

---

[1]) იხ. Потто. Утверждение Русского владычества на Кавказе, გვ. 489.

ალებ-მიცემობა სამეგრელოში მე-XIX სკ. პირველ ნახევარში და დასავლეთის შუაკი.

ალებ-მიცემობას და მასთან დაკავშირებით უცხო ხალხთა მჭიდრო ურთიერთობას სამეგრელოსთან, როგორც ზღვის ნაპირზე მდებარე ქვეყანასთან, ადრიდანვე უნდა ჰქონოდა ადგილი; რომ თავი დავანებოთ ჩვენი ისტორიის უძველესსა და ძველ პერიოდებს, როდესაც წარმოიშვა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ემბლემა „ოქროს ვერძი“-ს მითი ბერძნებთან ურთიერთობაში, საკმარისია გავიხსენოთ განსაკუთრებით მე-XVI სკ.-დან დაწყებული მრავალ კათოლიკე მისიონერთა ჩამოსვლა სამეგრელოში, ქადაგება ადგილობრივ და მათი ზეგავლენა, როგორც ხალხზე, ისე თვით მმართველობაზედაც...

ალებ-მიცემობის სისტემატიურ ხასიათს კი სამეგრელოში საფუძველი ეყრება მე-XIXსკ. 20-ან წლებიდან.

1821 წლის 8 ოქტომბრის განკარგულების ძალით ამიერ-კავკასის პროვინციებს მიენიჭათ ვაჭრობის სრული თავისუფლება. პირველ ხანებში მომეტებულად სომეხ ვაჭართა თაოსნობით გახშირდა მიმოსვლა იმ დროში სახელ-განთქმულ ლეჯპციგისა და ფრანკფურტის იარმარკებთან: აქ შეძენილი საქონელი უფრო მანუფაქტურული სახისა იგზავნებოდა ბროდიდან და რადცილოვიდან რედუტ-კალეში; რედუტ-კალედან კი ურმებით და ჯორებით მოჰქონდათ ტფილისში, ხოლო ტფილისიდან ერევნით და ნახჭევანით გადაჰქონდათ თავრიზში.

ამრიგად ამ მარშრუტის საქონელი აკმაყოფილებდა მთელ წინააზიას. ამ მიმართულებით ვაჭრობა იმდენად აყვავდა, რომ მეორე წელს ნარდად მოვაჭრეთა რიცხვი გაორკეცდა: მოტანილი საქონლის ღირებულება აღწევდა 2,000,000 მანეთს ვერცხლის ფულით. რედუტ-კალე, ამ დრომდე თითქმის საესებით უცნობი ბუდე, სადაც მხოლოდ რამდენსამე ხის ქოხებს დაინახავდით, უცბად, მოულოდნელად გახდა ფრიად მნიშვნელოვანი, მთავარი ემპორიუმი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, როგორც ძველი დროის ფაზისი და დიოსკურია.

უცხო ხალხის წარმომადგენლები, მშენებლები, ვაჭრები, ქარავნის გამყოლები, მედუქნეები და ყოვილგვარი ჯურის კონტრაბანდისტები, მრავლად დაეფუძნენ ადგილობრივ: „გახშირდა სავაჭროები, ვით ჭანჭრობებში სოკოები“; სამეგრელოს საალმშენებლო სახის ხელუხლებელი სიმდიდრე მით უმეტეს ხელს უწყობდა ამ გარემოებას. ჩაკირე-აზიის ნავთსადგურებიდან გახშირდა მიმოსვლა საბერძნეთისა, სათათრეთის გემებისა, რომელსაც შეხვდებოდით არამცთუ მარტო რედუტ-კალეს ნაპირზე, არამედ თვით მდინარე ხობზედაც.

მიგრამ, გორდა იმპორტისა, ადგილი ჰქონდა აგრეთვე ექსპორტსაც: სიმინდი, ფეტვი, თუთუნი, ხილეულობა, ტყავები, სანთელი, ღვინო და განსაკუთრებით სამეგრელოს მშვენიერი საალმშენებლო მასალა გაჰქონდათ ოდესაში, ასაღებდენ იქ მოგებით და ეს საქმე რაზოდენიმედ წინ სწევდა კოლხიდის ნაპირის დაღარიბებული ხალხის ქონებრივ მდგომარეობას.

ამრიგად ლეგპციგ-ოდესა-რედუტ-კალეს ვაჭრობამ გამოაცოცხლა ტფილისი, ერევანი და თავრიზიც და ასეთი ტემპით დაწყებული საქმე განსაკუთრებული წარჩინების გზას დაადგა, მაგრამ ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე, მისი არსებობა.

1831 წელს რუსეთის ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა, რომელიც თავიდანვე ალმაცერად უყურებდა ამ ვაჭრობას, გამოგზავნა საქმის გასაცნობად კანცლერი პელჩინსკი. პელჩინსკის ხელი შეუწყო აგრეთვე თავისი ზრახვების სისრულეში მოსაყვანად მაშინდელმა სამოქალაქო საქმის გუბერნატორმა ზავილეისკიმ. რედუტ-კალეში დააწესეს ბაჟი და 1832 წ. კი მოხსნილ იქნა ვაჭრობის თავისუფლება და მის ნაცვლად დაარსდა ტფილისში აზიის სავაჭრო საზოგადოება, რამაც საშინელი თავზარი დასცა კოლხეთის მკვიდრ მცხოვრებლებს.[1]

მართალია, ამით ბოლო მოეღო არსებითად ამ მნიშვნელოვან ვაჭრობას, მაგრამ მიმოსვლა, ურთიერთობა, 1832 წლიდან განსაკუთრებით რუსეთთან ისევ გრძელდება...

ვიცით, მაგ., რომ ანაკლიასა და რედუტ-კალეს, როგორც სავაჭრო პუნქტების დათმობისათვის ლევან დადიანს ეძლეოდა წელიწადში 12,000 მანეთი.

აღსანიშნავია აგრეთვე მე-XIX სკ. პირველი ნახევრის მიწურულში ვაჭრობა-წარმოების ის თვალსაჩინო აყვავება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზუგდიდის ოლქის მოსაზღვრე მდინარე ცივის მარცხენა ნაპირზე მდებარე ცენტრალ ემპორიუმ სუჯუნაში. მდინარე ცივიდან ეს რაიონი იწყებოდა თეკლათის საზოგადოებით, სადაც უმთავრესად ცხოვრობდენ მხეიძეები, მათ შემდეგ უფრო ზღვის ახლო თავადი ჯაიანები, ქოჩაქიძეები და მიქაძენი. მათი ადგილები აღწევდა მდინარე რიონამდე და საზღვრავდა დიდ საეკლესიო მამულს საქყონდიდოს, რომელიც იწყებოდა მდინარე რიონის ნაპირით ს. ჭალადიდიდან. მთელი ეს ოლქი ცნობილი იყო მცხოვრებლების შრომის მოყვარეობითა და მშვიდობიანი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი თვისებებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე უფრო მდიდარი კუთხე იყო სამეგრელოში. ამ კუთხის თითოეული ნაწილის მცხოვრებლებს ჰქონდათ

[1] იხ. M. Wagner. Reise nach Kolchis Liepzig. 1850. გვ. 207-210.

განსაზღვრული, სპეციფიკური ხელობა ან წარმოება. მხეიძე, მიქაძე და ქოჩაქიძეები ეწეოდენ ტყის ექსპლოატაციას; საეკლესიო აზნაურებსა და გლეხებს პურისა და ღვინის მეურნეობის გარდა, და განსაკუთრებით კი ჩალვადრობითა და სანდლებით გადაჰქონდათ ტრანსპორტი ორპირიდან რიონით ფოთში. ამასვე მისდევდენ ჭალადიდის მცხოვრებლებიც[1].

საეკლესიო მამული სუჯუნაში აწარმოებდა ცხოველ ვაჭრობას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ებრაელთა ახალშენიც.. საჭილაოს რაიონში იყო სავაჭრო ადგილი დაბა ორპირი რიონსა და ცხენიწყლის შესართავთან: აქ არსებობდა ფოსტა და აშენებული იყო ნავთსადგური ყველა სატრანსპორტო გემებისათვის. მათ ინახავდენ აქ რუსეთის ყოველი კუთხიდან თავმოყრილი საქურისები, რომელნიც შეადგენდენ № 96 საინვალიდო როტას, რიცხვით 380 კაცამდე. მათ ააგეს რიონის გასწვრივ ლამაზი სახლები და ამით დაბა საგრძნობლად დაამშვენეს. როგორც მუშებმა, მიუხედავად თავიანთი ფიზიკური დაშავებისა, მაინც მოიტანეს აქ სარგებლობა. მათ შორის შეხვდებოდით ყოველგვარ ხელოსნებს, დურგლებს, ხუროებს, მჭედლებს, მეფუონეებს და სხვა; ასე რომ შესაკვეთებს ისინი ქუთაისიდანაც ღებულობდენ. ჯანსაღობით თუმცა სუსტნი იყვნენ, მაგრამ შრომის მოყვარე მუშაკი საქურისები არამცთუ ასწრებდენ შენაკვეთ სამუშაოთა შესრულებას, არამედ იმავე დროს ინახავდენ აგრეთვე სატრანსპორტო გემებსაც ორპირიდან ფოთამდე სხვადასხვა სიმძიმეთა გადასახიდავად[2].

აშკარაა, ეს კოლონია ხალხის ფართე მასასთან ურთიერთობის გარეშე ვერ იარსებებდა; პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ჰქონდა უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობა იმდროინდელი სამეგრელოსათვის ადგილობრივი მცხოვრებლების ამ ხელოსნობაში ჩაბმის გამო.

დაახლოებით მე-XIX საკ. 40 წლებში ზუგდიდში ჩვენ ვხედავთ აბრეშუმის ამოსახვევ ქარხანას[3] (ფილატურა) საფრანგეთის გრაფ ჟანტი-დე-როზმორდეუკის ხელმძღვანელობით.

---

[1]) ს. თეკლათიდან და სახარბედიოდან გაჰქონდათ სტამბოლში დაფნის ფოთოლი და კაკალი რაც ჩანს ბერძენ სპილიოტსა და მიქელიჩა გრიგოლიას შუა ამტყდარ უთანხმოებიდან ხელშეკრულების სფეროში მთავარი დავითის დროს (ნაპოვნი საბუთი № 4898 და № 3438. სამეგრელოს მუზეუმი. საარქივო განყოფილება).

[2]) იხ. К. А. Бороздин, გვ 288—9.

[3]) ამ ქარხნის ერთ-ერთი მომუშავე ფრანგი-მჭედელი, საფრანგეთის ბარაკადების მოწამე, აღფრთოვანებული იყო სამეგრელოს გლეხური აჯანყებით და მზად იყო ყმღერა მარსელიოზა.

როზმორდაუკმა დაჰყო აქ თითქმის 15 წელი, შეისწავლა ადგილობრივ მკვიდრთა ენა, დაუახლოვდა მცხოვრებლებს და აპირებდა ლესიჰინეშიც (ზუგდიდის მაზრა) ასეთივე განყოფილების გახსნას, მაგრამ, სამწუხაროდ, მის განზრახვას ხელი შეუშალა ყირიმის ომმა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფერჰად-ფაშის მიერ გადამწვარ იქნა ზუგდიდის სასახლესთან ერთად როზმორდაუკის საქსოვი ქარხანაც[1].

ყურადღების ღირსია აგრეთვე სამეგრელოს მთავარ დავითის მიერ მოწყობილ სამზარეულოში chef de cuisine შვეიცარიელები და თვით მისი ინიციატივით სპეციალი დარგისათვის უცხოელების მოწვევა (როგორც მაგალითად, ოქრომჭედლების, ექიმების, უბრალო მჭედლების) და, თუ ყველა ამას სახეში მივიღებთ, შეიძლება ითქვას, რომ სამეგრელოს მკვიდრ მცხოვრებლებს საშუალება ჰქონდათ მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში უკვე უშუალოდ გაეცნოთ დასავლელები, ჩაეხედათ მათ შინა ბუნებაში, მათ საზოგადოებრივ წესწყობილებაში, რაიც უეჭველად ბატონ-ყმობის საწინააღმდეგო მისწრაფებას წარმოშობდა მათში.

ჩვენის აზრით სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი სამეგრელოს გლეხების იმ მტკიცე ორგანიზაციისა და დისციპლინის, რომლის გამო აჯანყების ჩასაქრობად ქუთაისიდან გაგზავნილი გენერალი კოლუბიაკინი გაკვირვებული სწერდა მეფისნაცვალს ტფილისში: „მიზანი ამბოხებისა მხოლოდ წინამძღოლებმა და თავდადებულებმა უწყიან, მაგრამ სიტყვები და იდეები, ლოზუნგებად გადასროლილი ხალხში, აძლევენ მას ისეთ ხასიათს, რომლის გამოსარკვევად საჭიროა მივმართოთ დასავლეთის ნომენკლატურას“[2] ანდა „არ არის საეჭვო, რომ მმართველობის ნაკლსა და შინაურ ბოროტ შთაგონებას ზედ დაემატა დასავლელების იდეების გავლენა... შემოტანილს —მეტყვიან—ვის მიერ, რა გზით? ეუპასუხებ: წარსული ომით, მოვაპრე უცხოელების აქ ყოფნით, კონტრაბანდისტების მიერ და ბოლოს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ზღვიდან ქარით“ (ibidem, 173).

ამრიგად სამეგრელოში მე-XIX სკ. პირველ ნახევარში დასავლეთის შუქი უკვე იმდენად შემოიჭრა, რომ მან თვით ადგილობრივ მკვიდრთა ფართე მასაში პოვა შესაფერისი გამოძახილი...

---

[1]) ომერ-ფაშის ასეთი მოქმედებით უკმაყოფილო როზმორდუკი გაემგზავრა სტამბოლს და საფრანგეთის ელჩი ტუვენელის საშუვალებით ზარალის ასანაზღაურებლად გამოითხოვა ოსმალეთის მთავრობისაგან 15,000 მანეთი.

[2]) იხ. Ак. Кав. Ар. Ком., т. XII, გვ. 172.

II. გლეხური მმართველობის დამყარება.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სახლთუხუცესად ან სამთავრო ქონების მეთვალყურედ ეკატერინემ მოსკოვში გამგზავრების წინ დატოვა დავით ჩიქოვანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეკატერინეს დაბრუნებამდე მეეკეთებინა სალხინოს სასახლე (რადგანაც ზუგდიდის სავსებით გადამწვარი იყო ისკანდერ-ფაშის მიერ) და მკაცრი თვალყური ედევნებია სასახლის სამეურნეო ნაწილის გაუმჯობესებისათვის. ჯერ კიდევ სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის მიერ სამთავრო უწყება მომართული იყო ოსტატურად. ეს ხალხში მხოლოდ სიძულვილის გამომწვევი აპარატი მოქმედებდა ერთგვარი ხერხით და, ამ მხრივ სამთავრო შენობათა შესაკეთებლად თუ გასაკეთებლად დაწესებული ბეგარა დაბალი წოდებიდან მუშახელის უფასოდ გამოყვანისა და სარგებლობისა ძალაში რჩებოდა, რაც იმ თავითვე ჰბადებდა გლეხებში უკმაყოფილებას. ადათის ძალით კი ყველა მებატონის სამფლობელოში გამოძახილ მუშას იმავე მებატონისაგან უნდა მიეღო სასმელ-საჭმელი; მაგრამ მთავარი ამ ადათს თავის პირადი სარგებლობისათვის, უარყოფითად შეხვდა და თანდათან აიძულა გლეხები გამოცხადებულიყვნენ სამუშაოზე თავიანთი სურსათით.

მის სიკვდილის შემდეგ ეკატერინეც იცავდა ამ წესს და სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი თავის აგენტების საშუალებითა და უფრო კი თავის მარჯვენა ხელის მოურავი მალაქია კუხალეიშვილის შემწეობით შეუდგა ეკატერინეს მოსკოვში ყოფნისას სალხინოს სასახლის შეკეთებას და მორეკა სხვადასხვა სოფლიდან ხალხი, მოსთხოვა მათ ამ მიჩნეულ სამუშაოს შესრულება თავიანთივე სურსათ-სანოვაგით.

გლეხები, ფარული უკმაყოფილებით აღსავსენი, volens nolens, შეუდგენ მუშაობას თავიანთი საკუთარი მეადიითა და ღომით. სახლთუხუცესს მოსთხოვეს მხოლოდ ნება დაერთო მათთვის სამთავრო წისქვილში ხორბლეულობის დაფქვაზე. სახლთუხუცესმა ნება დართო მხოლოდ განსაზღვრული ნაწილის აღებით. ამით კი უკვე საბოლოოდ

აივსო მოთმინების ფიალა და გლეხებმა ცხარე პროტესტი განაცხადეს იმ ახსნა-განმარტებით, რომ ჩვეულებრივი ადათი სამთავრო წყობილებასთან ურთიერთობისა უკვე დაირღვა მაშინ, როდესაც გლეხებს დააკისრეს სამუშაოზე თავიანთი სურსათით გამოსვლა, ხოლო ამას კი ახლა ემატება კიდევ ახალი უსამართლობა ახალი ბაჟის გადახდით. როდესაც სახლთუხუცესმა ამას არ მიაქცია სათანადო ყურადღება, მეორე დღეს გლეხთა დეპუტაცია წარუდგა ეკატერინეს მოადგილე გრიგოლს ზუგდიდში; მაგრამ გრიგოლმა თავის ინსტრუქციის მეოხებით დეპუტაციას ვერც ჰო უთხრა და ვერც უარი. დაბრუნდა დეპუტაცია სალხინოში და მოუწოდა ისედაც აბობოქრებულ ზღვა-ხალხს გაფიცვისაკენ. სახლთუხუცესის ცდა, რომ წინააღმდეგობა გაეწია შეიარაღებული ძალით, სასტიკად დამარცხდა. მის მოხელეებს გლეხებმა სცემეს უზომოდ, თვით მისი ძმა ივანე ჩიქოვანი გარეკეს და იგრძნეს რა, რომ რუბიკონი გადალახული იყო, უკვე ათასობით შეგროვდენ მახლობელ მთაზე წაჩხურუს ეკლესიის გალავანში და შეჰფიცეს ერთმანეთს ბატონთა უსამართლობის წინააღმდეგ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ებრძოლათ.

სახლთუხუცესი გაიქცა გრიგოლთან და ითხოვდა მისგან საგრძნობ ძალას მეამბოხეთა დასამორჩილებლად, მაგრამ გრიგოლმა განუმარტა, რომ მის ინსტრუქციაში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც ავალებდეს მას სახლთუხუცესის ყოველგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სახლთუხუცესი იძულებული შეიქნა ხელი აეღო სამუშაოზე.

სალხინოს სასახლის ირგვლივ შექმნილმა უკულმართობამ ბუნებრივად შეაკავშირა მტკიცე ერთეულში სამუშაოდ თავმოყრილი გლეხობა. ეს იყო ერთად-ერთი გამოსავალი იმ საშინელი ჭანჭრობიდან, რომელშიაც ჩაყენებული იყო გლეხობა.

ამგვარად სალხინოს სასახლის ისტორია შეიქნა საბაბი გლეხების შეკავშირებული გაფიცვა პროტესტისა არსებული უსამართლობის საწინააღმდეგოდ.

დეპუტაციის გაგზავნას გრიგოლისადმი, შეკავშირებულ პროტესტს ახალი ბაჟის შემოღების გამო და წაჩხურუს გალავანში „ყველა ერთისათვის“ ფიცის მიცემას, როგორც დანამდვილებით გამოირკვა, წინასწარ ხელმძღვანელობდა არალეგალური ორგანიზაციული წრე „სხუნუ“ (თათბირი) ს ქ ვ ა მ ა ი ა ნ ა დ ა რ ა ი ა ს ა, შ უ კ ო ჩ ი ა კ ი ლ ა ს ო ნ ი ა ს ა და გ ვ ა ტ ი ა გ ა დ ი ლ ი ა ს ა გ ა ნ შემდგარი [1].

[1]) ჩვენება გუჩურ ე ვ ა ნ ი ა ს ა და პიხვინია გ ა დ ი ლ ი ა ს ი (ს. კიწია).

მათი წინამძღოლობით ეს აბობოქრებული მასა, წაჩხურუს ეკ-ლესიის გალავანში ფიცის დადების შემდეგ, დაბარგდა „კირილ-ხინჯ“-ში (სალხინოსა და კიწიის საზღვარზე) და ბუკის საზარელი დაკვრით შემოიერთა დანარჩენი ნაწილი საზოგადოებისა, აღმართა წითელი დროშა „შილა“ და მეთაურად აირჩია მებატონეს ყოფილი ქეშიკი უტუ თოდუა, ხელობით მეჭურჭლე, მთელ სოფელში სიმართლით განთქმული („მართალია“) და დიდი ავტორიტეტის მქონე.

ეს მოულოდნელი, სტიქიური, მაგრამ დასაწყისშივე მეტად განმტკიცებული აღელვება ისე მოედვა ახლო მდებარე ადგილებს, რომ სულ რამდენისამე დღის განმავლობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სალხინოს სასახლე ხელთ იგდეს, უკვე მთელი სალიპარტიანოც [1] მათ განკარგულებაში იყო.

მომხდარი სინამდვილის ცნობა მყისვე მოედვა მთელ სამეგრელოს. თითოეული მემამულის ოჯახში დაახლოებით ხდებოდა ის, რაც მოხდა სამთავრო უწყებაში. რადგანაც თითოეული მემამულე ზრუნავდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აენაზღაურებია ომით გამოწვეული თავის ზარალი გლეხის ზედმეტი შრომით, მისი ოფლითა და, თუ გნებავთ, მისი დასაკუთრებით, გასაგებია, თუ ხალხმა, რომელსაც საშინელი მეწყერისაკენ ერეკებოდა მებატონეთა თავგასულობა, ცქვიტა ყურები და სალხინოს ამბოხებას გვერდში ამოუდგა. იშვა გლეხის წიაღიდან ბრძოლის იდეა; ვერც გრიგოლმა და ვერც ეპისკოპოსის სამოციქულო სიტყვამ ოდნავად ვერ შესძლეს რამოდენიმედ მაინც შეეჩერებინათ თანდათან მოზარდი სამეგრელოს გლეხობის მთლიანი აჯანყება.

როდესაც გლეხებმა სალიპარტიანო ხელთ იგდეს, მაშინ უკვე მოწყობილი იყო ასაფეთქებელი ნიადაგი „სამანიჩოში“ (დღევანდელი წალენჯიხის რაიონი), არალეგალური ორგანიზაციის ერთერთი წევრის შუკოჩია კილასონიას მიერ, წალენჯიხის მცხოვრებ მთელ „ლაკადაში“ (ზემო სამეგრელო) ცნობილ უტუ მიქავასთან. ხოლო როდესაც სალიპარტიანოელები, რიცხვით 4000 კაცი, უტუ თოდუას მეთაურობით, შეიარაღებული შუბებით, წალდებით, ჯოხებით და მაგვვარი იარაღით, გადავიდენ ხობიწყლის მარჯვენა ნაპირზე და ესტუმრენ წალენჯიხას, მთელი ლაკადის გლეხობა, რო-

---

[1]) სალიპარტიანო შეიცავს მდინარე ტეხურის ორსავე ნაპირზე მდებარე 16 სოფელს: ნობული, წაჩხურა, ვახა, ლეცე, სარხინო, ქაცარი, ოქური, თამოკო, მაცაციხე, თარგამული, ნახურცილუუ, გურზემი, კიწია, დოშაყი, ტალერი, დღვანა და ჟინოთას.

გორც ერთი კაცი, დადგა ფეხზე, მტკიცედ შეჰფიცა სალიპარატაინოელებს და თავის საკუთარი დროშითა და საყვირებით შეუერთდა მას ამ ზღვა ხალხის, ამ მრავალრიცხოვანი, როგორც ამას სამეგრელოშა უწოდებენ, „ურდუმის“, საერთო უფროსად, და მთავარსარდლად ერთსულოვნად არჩეულ იქნა მეედელი უტუ მიქავა, რომლის სახელი განზოგადებული იყო მთელს ოდიშში, როგორც თავის ხელობით (განსაკუთრებით ზეინკლობით), ისე თავის შეურიგებელი, საარაკო საქციელით თავად-აზნაურობასთან. უტუ მ უმალ ფეხზე დაადგა მთელი გლეხობა მდინარე ხობიწყლიდან ინგურამდე, სალიპარტიანოელებთან შეერთებული წალენჯიხელებით დაბრუნდა უკან ხობიწყლით და ესტუმრა საიჩოს [1]. (მდინარე ოჩხომურისა და ცივის შუა მდებარე სოფლები), მისთვის უკვე კარგად ნაცნობ მხარეს (იხ. უტუს პიროვნება) და ნოქალაქევით ბანძა-მარტვილის რაიონებს. ამ დროის განმავლობაში ფარული ორგანიზაციის ზემოქმედებით მოზადებულმა ბასა სხულუხიამ საქმე გაჩარხა საპყონდიდოში და როდესაც უტუ დაეუფლა ბანძა-მარტვილს, საქილაო-სუჯუნის რაიონმა კოჩა თოდუას მეთაურობით მოასწრო ბატონის უღლის გადაგდება მარტის თვეში.

თავისი შეიარაღებული მოგზაურობა სამეგრელოს ყველა ადგილებში უტუს ჯარის მიერ (10,000) წარმოებულ იყო ერთგვარი გეგმაგათვალისწინებული სახითა და თანამიმდევრობით.

აი თვით ის გეგმა, რომელიც სავალდებულო ნორმად მიიჩნია უტუმ:

ა) ყველა იმ გლეხებს, რომელნიც ეწინააღმდეგებოდენ მათს განზრახვას და არ შეუერთდებოდენ მათ ფიცით, აპარტახებდენ ქონებრივად და სჯიდენ ფიზიკურად;

ბ) ათავისუფლებდენ როგორც მოახლეებს, ისე ყოველგვარ მოსამსახურეებს, თავად-აზნაურების ოჯახებიდან და აქორწინებდენ მათ;

გ) იმ თავადებსა და აზნაურებს, რომელნიც გაუწევდენ წინააღმდეგობა-ურჩობას, ანდა ცნობილი იყვნენ წინედ თავიანთი სასტიკი მოპყრობით ყმებისადმი, ანადგურებდენ უმთავრესად ქონებრივად [2];

---

[1]) ჩვენება პეტრე ლაშხიასი (ს. გაშფერდი).

[2]) როგორც დანამდვილებით გამოირკვა, ამ აჯანყებაში უტუს ლაშქარმა სავსებით გაუნადგურა სახლთ-კარი მაღალი წოდებიდან შემდეგ პირებს: მურაზია ანჯაფარიძეს (ს. კიწია), დიმიტრი ბატონიშვილს (ს. მოხაში), სუმო და ბეჩუნა ჯორჯიებს (ნოჯიხის მდივანბეგები), ლევან ჩიქოვანს (ს. ნაგვაზუუ), ლევან გოშუას (ს. კირცხი), დავით შენგელაიას (ს. ობუჯი, მღვდელია) და სხვები.

დ) ძალით შეიპრებოდენ ეკლესიებში და შეურაცხყოფდენ აგრეთვე ყველა იმ მღვდლებს და საერთოდ საეკლესიო პირებს, რომელნიც არ თანაუგრძნობდენ მათ და თავიანთი ქადაგებით ცდილობდენ მათი მოძრაობის უარყოფას.

ხალხში, ფართე მასაში კი, ხელმძღვანელობდენ შემდეგი პრინციპებით „თავად-აზნაურთა წოდება არ უნდა არსებობდეს, რადგან ჩვენ ყველანი ძმები ვართ. ფუფუნება ცოდვაა და ამისთვის აკრძალულია ქარხნის მაუდისაგან სირიფით შემკული ჩოხის ტარება. საკაპრო მოგება უნდა იქნას ზომიერი და ამისთვის წესდება ნიხრი არამცთუ ყველა ბუნებრივ ნაწარმოებზე, არამედ ყოველგვარ საქონელზე საერთოდ“[1] ... მაშინ, როდესაც აჯანყებამ მიიღო ფართე ხასიათი, თავის რკალში ჩაითრია მთელი სამეგრელო და მარტის თვეში მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს დონეს, ძველი მმართველობის ნაშთი „ყველგან გაქარწყლებული იყო: სამეგრელოს ახალი მმართველი, ქვეყნის გამგებელი, უტუ მ ი ქ ა ვ ა გახდა; მას უშუალოდ ემორჩილებოდენ, როგორც მთავარი ლაშქარი, ისე საზოგადოებებში მის მიერ გლეხთა წრიდან ახლად დაყენებული ნდობით აღჭურვილი პირები. ხალხმა მას მიანიჭა განუსაზღვრელი უფლება „დადიობა“, „კეისრობა“ (იხ. უ ტ უ ს პიროვნება).

რას აკეთებდა ამ დროს თავად-აზნაურობა და საერთოდ ყოფილი მმართველობა? ისინი იმდენად უძლური, იმდენად მისუსტებულნი და ღონემიხდილნი აღმოჩნდენ ამ აჯანყების წინაშე, რომ უმთავრესმა ნაწილმა თავი შეაფარა აფხაზეთსა და სვანეთს, ნაწილი კი მთებში გაიხიზნა და ნაწილი შეურიგდა თავის მდგომარეობას და ძალა-უნებურად დამორჩილდა. ასე რომ მასიურ სამკდრო-სასიცოცხლო ხასიათის შეტაკებებს აჯანყებაში გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის ადგილი არ ჰქონია, თუ სახეში არ მივიღებთ პარტიკულარულ შეტაკებებს: ზუჯდიდში იქაურმა მდივანბეგ ნიკო დადიანმა თავად-აზნაურების რაზმთან ერთად მოისურვა მოძრაობის შეჩერება, მაგრამ წარმოებულმა სროლამ ვერ გამოიღო ნაყოფი მათ სასარგებლოდ.

დროებით მმართველმა გრიგოლმა და ჭყონდიდელმა თეოფანემ ეკატირინეს ჩამოსვლამდე სცადეს მორიგება და გაემგზავრენ ს. ოჩხომურში,[2] სადაც დაბანაკებული იყო გლეხთა ლაშქარი, მაგრამ უკანასკნელთ იგინი სრულებით არ მიიღეს.

---

[1]) Ак. Кавк. Арх. Ком., т. XII, გვ. 107.

[2]) იხ. Ак. Кав. Ар. Ком. გვ. 108 და თ ე დ ო რ ე ხ ო შ ტ ა რ ი ა ს მ ო გ ო ნ ე ბ ა, გვ. 60.

როდესაც სამეგრელოში ყველგან ჩატარდა გლეხთა აჯანყების ოპერაცია, გაქარწყლდა თავად-აზნაურობის ხელისუფლება[1], უტუს შეიარაღებული ძალის მთავარი ნაწილები დაბანაკდენ მდინარე ხობიწყლის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე და უტუს კი მიენიჭა სამეგრელოს უზენაესი მმართველის უფლებები, სწორედ მაშინ 1857 წ. აპრილის თვეში ჩამოვიდა ეკატერინე პეტერბურგიდან ტფილისს, სადაც უკვე სამეგრელოს გლეხური აჯანყების ინფორმაცია მიღებული ჰქონდათ. რასაკვირველია, ეს ინფორმაცია არ გამოეპარებოდა მასაც, მაგრამ ის სრული სულიერი სიმშვიდით გამოემგზავრა ტფილისიდან მაისის თვეს თავის სამფლობელოსაკენ. მოაღწია სოფელ კულაშს, მას დაუხვდა დიდის მოწიწებით მეგრელი თავად-აზნაურობა, ეპისკოპოსი და დროებით მმართველი გრიგოლი; ეკატერინემ შეამჩნია, რომ ამ შემხვედრ წრეს აკლდა ბევრი წარმომადგენელი „მაღალი კლასიდან“ და მისდა სამწუხაროდ აქვე გაიგო კიდეც, რომ სამეგრელო შემაძრწუნებელ მდგომარეობაშია: თავად-აზნაურობის არსებითი ძალა სადღაც უკვალოდ გამქრალა, ქვეყნის მმართველობა ჩაუბარებია უტუს და მის ლაშქარს, მოახლე-მოსამსახურეებს მიუტოვებიათ თავიანთი მებატონეები, გლეხების საკმაო რიცხოვანი შეიარაღებული ძალა უტუს მთავარსარდლობით დაბანაკებულა მდინარე ხობიწყლის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე. სახლთუხუცეს დავით ჩიქოვანმა უამბო ყველაფერი ეკატერინეს სალხინოს სასახლის ისტორიიდან საკუთარი თავის მართებულად აღიარებით.

გრიგოლმა თავის მხრით უმოქმედობის საბუთად ინსტრუქციამემორანდუმი გამოიყენა, სადაც აღნიშნული არ იყო სალხინოს სასახლის ირგვლივ განსაკუთრებული სამოქმედო ზუხლი. ამრიგად მათ შუა ატყდა მთელი დავა-ალიაქოთი; ბოლოს ერთმანეთისადმი აუგის თქმისა და მუქარის შემდეგ ეკატერინე ჩიქოვანებთან ერთად გაემგზავრა გორდს, სადაც ეწეოდა თავადებსა და ბატონიშვილებს შორის ფართე აგიტაციას; მაგრამ, როდესაც ჩიქოვანების გარდა მას არავინ შერჩა მისი აზრების გამზიარებელი, ის დარწმუნდა, რომ მხოლოდ გრიგოლისა და ეპისკოპოსის საშუალებით ვერას გახდებოდა და ძალაუნებურად თვით უნდა ჩარეულიყო უშუალოდ გლეხების აჯანყებაში, რომ შეეჩერებინა როგორმე მომხდარი სინამდვილის

---

[1]) როგორც ამ დამორჩილების, ისე საერთოდ თავად-აზნაურთა უძლურებისა და მათი ნიშანდობლივი თვისების ირონიულ გამოხატულებას შეიცავს ერთი ხალხური ლექსი, რომელიც დღესაც პოპულარულია სამეგრელოში და სასიმღეროდაა გამოყენებული (იხ. И. Киитидзе. Грамматика Мингр. языка, გვ. 149-150).

გალრმავება და გარეშე ძალის დაუხმარებლად კვლავ ჩაებარებინა თავისი ერთგული მოხელეებისათვის ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები. ამ მიზნით 13 მაისს, ის ეპისკოპოსის თანხლებით თვით გაემგზავრა სალხინოში, სადაც თავი მოიყარა ყველა ახლო მდებარე რაიონებიდან აზღვავებულმა ტალღამ და აქ გლეხობა პირისპირ წარუდგა თავის ყოფილ მმართველს. ამ ფრიად საპასუხისმგებლო მომენტში, როდესაც გაპარტახებულ-გაჩანაგებულ ხალხს ესაჭიროებოდა შველა, შეღავათები და გულის მოგება, სწორედ მაშინ ეკატირინემ, როგორც სასტიკი ფეოდალის ღირსეულმა მემკვიდრემ, ამ პირისპირ შეხვედრის დროს მოითხოვა თავის „ზარალის“ ანაზღაურება და სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი გამოიყენა ვით ბრალმდებელი გლეხთა მიმართ. დიდი ხნის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გლეხებმა წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებები. ეკატირინემ მოითხოვა სრული მორჩილება, რის შემდეგ ის შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილებდა წარდგენილ მოთხოვნილებებს. ხალხი კი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე; არავითარი შიში და მორიდება არ ეტყობოდა მის ნებისყოფას სამართლიანი მოთხოვნილების გამო. ვერც ეპისკოპოსმა თავისი ხატებით უშველა რამე. ამრიგად 13 მაისის მოლაპარაკებამ არსებითად ნაყოფი ვერ გამოიღო ეკატირინეს სასარგებლოდ. მაშინ მან მიჰმართა სხვა უფრო მოხერხებულ საშუალებას. გასწია ფარული აგიტაცია ვითომდა გლეხებისადმი ფართე შეღავათების დათმობით და კიდეც იქონია გავლენა ხობიწყლის მარცხენა ნაპირს დაბანაკებული ლაშქრის ხელმძღვანელებზე იმდენად, რომ 15—16 მაისს ამ ლაშქრის მესვეურებმა უტუ თოდუამ და ზოგიერთ უხუცეს გლეხებმა შეჰფიცეს მორჩილება „სასწაულთ-მოქმედი“ ხატის წინაშე და თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება მიანდვეს ეკატირინეს სამართალს, ხოლო ხობიწყლის მარცხენა ნაპირზე მდგომი ლაშქარი განიცდიდა მერყეობას, მაგრამ განსაკუთრებული სიფხიზლით იდგა თავის პოსტზე მარჯვენა ნაპირზე დაბანაკებული ლაშქრის მთავარი ნაწილი „კეისარ“ უტუ მიქავას მეთაურობით (10,000).

მასთან დათმობაზე საუბარიც ზედმეტი იყო და, როგორც ეკატერინეს აგენტების მოქმედებით, ისე თვით მარცხენა ნაპირზე დაბანაკებული ლაშქრის ნაწილების დათმობით, ის საშინლად გაშმაგებული ლამობდა მარცხენა ნაპირზე გადასვლას, რომ პირისპირ გასწორებოდა თავის „მმართველს“.

საქმე ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ ეკატირინეს დარჩენა სალხინოში საშიში შეიქნა. დაატყვევეს რა მისი შინაყმებიდან ბევ-

რი პირნი, მან გადასწყვიტა თავისი ნათესავებით თავი შეეფარებინა მენიქი დადიანის ასულის სასახლეში (ქვაშოხორში), სადაც ეახლენ მას გრიგოლი და კონსტანტინეც.

მდგომარეობა რთულდებოდა და განიცდიდა კრიზისს. ეკატერინემ იგრძნო სავსებით თვისი უძლურება აჯანყების წინაშე. მან დაინახა აგრეთვე ისიც, რომ, თუმაცა ამ აჯანყებას წინ უძღოდა სალხინოს ამბავი, როგორც „უბრალო“ საბაბი, არსებითად მისი შინაარსი გაცილებით უფრო ღრმა იყო. ეკატერინე შეუდგა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად სხვადასხვა საშვალებების ძიებას და უკვე ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ სამეგრელოში ადგილობრივი ძალების წყალობით გლეხებთან გამკლავება უბრალო ფიქცია იყო, მიმართა გარეშე რუსების შალას, ამ შემთხვევაში უკვე ტფილისიდან კარგად ნაცნობ იმ დროს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ კოლუბიაკინს, მეორე დღესვე, ე. ი. 17 მაისს, აფრინა შიკრიკი მიქაძე მასთან შემდეგი შინაარსის წერილით:

„სამეგრელოს სამფლობელოს დაბალ ხალხში ატყდა უწესრიგობა; გლეხები განუდგენ თავიანთ მებატონეებს და ადგილობრივ მმართველობას. ისინი ფიცს სდებენ საერთოდ არ ულალატონ ერთმანეთს და ყოველი მდგომარეობის დროს იყვნენ ყველა ერთის თვის. არ ააშკარავებენ მეტს არავითარ მიზანს ამ უწესრიგობისას: ისინი დღითი დღე ცდილობენ სამეგრელოს ყველა გლეხების ერთ მთლიანობაში ფიცით შეერთებას და ამის შემდეგ ლამობენ იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც მხოლოდდამხოლოდ მათ უწყის. უმორჩილესად მოგმართავთ თქვენ ამის მიღებისთანავე გამოგზავნოთ დაბა სენაკში 300 ან რამდენიც ხელთ გეყოლებათ დონის ყაზახები კარგი მოთადარიგე ოფიცრით, რომელთაც უბრძანეთ სისწორით აღასრულონ მხოლოდ ჩემგან „საკუთრივ გაცემული ბრძანებები“. [1]

---

[1]) იხ. Ак. Кав. Ар. Ком., 83. 103.

III. რუსეთის ჯარის შემოსვლა და გლეხთა მმართველობის ლიკვიდაცია.

კ ო ლ უ ბ ი ა კ ი ნ ი, რომელსაც უკვე 1856 წელსაც ჰქონდა ჩამოყალიბებული თეორიული საკითხი „სამეგრელოს სამოქალაქო სხეულის იურიდიული ნორმების“ [1] შესახებ, იმ დროს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად იყო. წერილის მიღების მეორე დღეს საკმაო შეიარაღებული ძალით ის გაუდგა გზას სამეგრელოსკენ. დილის 10 საათზე ტეხურის მხრივ შიკრიკიც გამოჩნდა: მისგან შეიტყვეს, რომ გენერალიც მოემგზავრებოდა [2]. ამასობაში კი მტვრის დიდი კორიანტელი დადგა და რამდენისამე წუთის შემდეგ გამოჩნდა ქვაშოხორში მთელი წყება შეიარაღებული ყაზახებისა საპირო სამხედრო მოწყობილობით.

შეხვედრისთანავე პირველი თბილი სალამის შემდეგ, ეკატერინე შეუდგა მომხდარი ამბების განმარტებას კოლუბიაკინის წინაშე. თავზე მოახვია რა გრიგოლს მთელი უბედურება ამ აჯანყებისა, ის ამბობდა: „დავუტოვე სამეგრელო ნორმალურ მდგომარეობაში და მან [გრიგოლმა] თავისი მოღალატური მართვა-გამგეობით აჯანყა გლეხობა. ჩვენი ოჯახის მტერ ბატონიშვილებთან ხელჩაკიდებულმა შეაწუხა უკიდურესობამდე თავდადებული ხალხი [იგულისხმება ჩიქოვანები], რომელიც თავითვე ლამობდა აჯანყების ჩაქრობას, და ამით გააღრმავა ის ძლიერ. ახლა ჩემი პეტერებურგიდან დაბრუნების შემდეგაც თავისი მალული მანევრებით ის ხელს მიშლის დავაწყნარო მხარე. საქმე იმ ზომამდე გართულდა, რომ თავშესაფარი უნდა მომენახა ჩემი ნათესავის სახლში და აქაც შეუძლებელია უშიშრად დარჩენა. რამდენისამე ვერსის მანძილზე დაბანაკებულია მრავალრიცხოვანი გლეხური ბანდა და გვიქადის შემოტევით. აქედან, თუ

---

[1]) იხ. Архив Главноначальст., связка № 2084.

[2]) გარდა აღნიშნული ოფიციალური მიმართვისა, ეკატერინე კერძო წერილით სთხოვდა კ ო ლ უ ბ ი ა კ ი ნ ს დაუყოვნებლივ ჩამოსვლას და ფართე ხასიათის დახმარების გაწევას

რას აყენებდა ეს ხალხი (გლეხური ბანდა) თავიანთ მებატონეებს, ადვილი საფიქრებელია, რომ მეც თავს დამატყდეს ყოველგვარი მათი სიბრაზე-სიმხეცე... ჯერ, სანამ დააწყნარებდეთ სამეგრელოს, საჭიროა გრიგოლის გაძევება"-ო. კოლუბიაკინი, მოკლებული საქმის ვითარების ცოდნას, გაყვა ეკატერინეს რჩევას და ორივე ძმა გრიგოლი და კონსტანტინე აიძულა გამგზავრებულიყვნენ ტფილისს პოლიტიკური მოსაზრებით. თვით კი საკმაო შეიარაღებული სამხედრო ძალით მოითხოვა შარა-გზის მცოდნე პირები და დაიძრა მახლობლად დაბანაკებულ გლეხთა მთავარი ლაშქრისაკენ.

სოფელ შხეფიდან 5 ვერსის მანძილზე გენერალმა შეამჩნია მოშორებით თემშარაზე 5 ცხენოსანი, რომელნიც მომავალი ჯარის ნახვისთანავე მყის გაბრუნდენ უკან. თანამგზავრებმა აუხსნეს გენერალს, რომ ესენი იყვნენ ლაშქრის ცხენოსანთა მზვერავები. 8 ვერსის მანძილზე (ქვაშოხორიდან) გენერალმა ამაღლებულ ბორცვიდან შენიშნა ფართე ბუჩქნარიანი მინდორი, რომელზედაც თვალუწვდენელი დაბურული ტყის გვერდით დაბანაკებულიყო სამარშრუტო წყობილებით მრავალრიცხოვანი გლეხთა ლაშქარი. მისი რაოდენობა ერთის დახედვითაც შეიძლებოდა განსაზღვრულიყო დაახლოებით ათ ათასამდე. ისმოდა საშინელი ხმები ბუკთა, რომელნიც მოუწოდებდენ ყველას დარაზმვისაკენ. როდესაც გენერალი მიუახლოვდა გლეხთა ლაშქარს ნახევარი ვერსის მანძილზე, უკანასკნელი უკვე დაძრულიყო, მოჩანდა დროშები და მოუძღოდა საშუალო ხნის მამაკაცი ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი სამხედრო წითელ-არშიანი ქუდით, მხარზე ლეკურ-გადაკიდებული. თანამგზავრებმა აუხსნეს გენერალს, რომ ის იყო ლაშქრის მთავარსარდალი „კეისარი" მეჭედელი უტუ მ ი ქ ა ვ ა.

„ძნელია ვრცლად გამორკვევა იმ პროცესისა, რომლის მეოხებით მსგავს ბანდას შესძლებოდა ამ სახეობამდე მიღწევა,—ამბობს ამ შეხვედრის დამსწრე კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი. უძნელესია მოთხრობა მათი გავერანებული ისტორიისა, მაგრამ ერთი მიუცილებლად აშკარაა, რომ მათ შემადგენლობაში შეეიდა უსასტიკესად დეევნილი ხალხი რამოდენიმე წინამძღოლთა ირგვლივ".

როდესაც გენერალი მიუახლოვდა, ჯარმა ალყა შემოარტყ გლეხთა ლაშქარს. ჩამოვარდა საჩუმე... „თქვენმა დედოფალმა, დაიწყო გენერალმა, მომიხმო მე, რათა ბოლოსდაბოლოს დაგიმორჩილოთ თქვენ. ნახევარი წელიწადია, რაც თქვენ არ უსმენთ კანონიერ ძალას. დედოფლის ვერავითარმა რჩევამ ვერ გასჭრა თქვენს შესაგონებლად. თქვენ თქვენი მებატონეები არამცთუ მიაგდეთ და ას-

რულებთ დაკისრებულ ვალდებულებას, არამედ სასტიკად უმკლავდებით მათ. ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ამას ბოლო არ მოეღება? მე მოვედი თქვენთან გასასწორებლად და არ წავალ უამისოდ, თუნდაც რომ მომიხვდეს ყველას გაწყვეტა". დიდიხნის სიჩუმის შემდეგ, გლეხთა ლაშქრიდან წამოდგა ყველაზე უფრო მხცოვანი, მიუახლოვდა გენერალს და მოითხოვა მისგან სიტყვის უფლება. გენერალი დათანხმდა და მიიწია იქვე ჩრდილიანი ხის ქვეშ, სადაც თვით ლაშქარიც დაბანაკდა...

გლეხთა ლაშქარში ატყდა ჩოჩქოლი, გენერალმა მოითხოვა რომელსამე ერთს ელაპარაკნა. ყველგან ისმოდა ძახილი: „მ ი ქ ა ვ ა მ, მ ი ქ ა ვ ა მ, მ ი ქ ა ვ ა მ ილაპარაკოს" და რამდენსამე წუთის შემდეგ გენერალს წარუდგა ს ა ხ ა ლ ხ ო ტ რ ი ბ უ ნ ი, ლიდერი მტედელი უტუ მ ი ქ ა ვ ა.

გენერალმა მოიწვია ლაშქრის მეთაური, რომელთანაც ჰქონდა მეტად საინტერესო საუბარი. მ ი ქ ა ვ ა მ „აღტკინებულ-ენერგიული სიტყვებით დაიწყო ლაპარაკი ხალხის ტანჯვათა შესახებ[1]" და გენერალს გააცნო მისი მდგომარეობა შემდეგს მუხლებში:

1. გადასახადი განუსაზღვრელია;
2. ოჯახები ნაწილდებიან;
3. საკუთრება დამოკიდებულია ბატონთა თვითნებობაზე;
4. საჩივრები იძლევიან მხოლოდ საბაბს ახალი შეურაცხყოფისათვის მომჩივანთა საზიანოდ;
5. გლეხები სამეგრელოში ადამიანები არ არიან.[2]

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ თვით უტუს სიტყვაც (ბოროზდინის რედაქციით) ამ შეხვედრის დროს გენერლის წინაშე წარმოთქმული რომლის მეტერმეტყველურმა და მოსწრებულმა სიტყვა-პასუხმა რამოდენიმედ დააფიქრა გენერალი და საგრძნობლად შეამსუბუქა ის შურისძიება, რომელიც მას დედოფლის რჩევით უნდა გამოეჩინა.

„დაახლოვებით წლის უკან—დაიწყო უტუმ—სამშობლო ჩვენი გარემოცული იყო ოსმალეთის ჯარით; მტერმა გასწყვიტა, დაანგრია ყველაფერი, რასაც მისი ხელი მისწვდა. შველას ჩვენ არსაიდან არ მოველოდით: რუსის ჯარი ჩვენგან წავიდა

[1]) იხ. Ак. Кав. Ар. Ком., გვ. 113.

[2]) ჩვენებანი პიხვინია ბ ა დ ი ლ ი ა ს ი (კიწია) და სიმონ ჩ ქ ო ფ ო ი ა ს ი (მარტვილი), რ-მელნიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდენ აჯანყებაში ლომიკია და ნ-კო. ჯ ღ ა ნ ჯ ღ ა ვ ა ს ი (გაკედილი), ტოტია ჯ ა ნ ა შ ი ა ს ა (ბოჯიხი) და საბა ბ ე ლ ი ა ს ი (კორცხელი).

და ჩვენმა მებატონეებმა კი დახმარების მაგივრად დაიწყეს ბავშვების მოტაცება და ოსმალეთში გაყიდვა; აუარებელი ბავში წაათრიეს უკანასკნელებმა ოსმალეთში.

მოგვშორდენ ოსმალები, მაგრამ ჩვენი მებატონეები თვით ოსმალებზე უფრო სასტიკად მოგვეპყრენ. **ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენი შრომის ყოველგვარი ნაყოფი მათ ხახარგებლოდ მიდის** (კურსივი ყველგან ჩვენია). გლეხს, მათი აზრით, არ უნდა გააჩნდეს არაფერი, ისინი თითოეულ მათგანს ქონებრივ ღირებულებას ართმევენ თუ არა ხერხით, ძალდატანებით მაინც; ჩვენ ამას უკვე შევეჩვიეთ, მაგრამ მათ ჩვენში ადამიანური სულიც არ უნდათ დაინახონ. მათი რწმენით ჩვენ ყოველგვარ პირუტყვზე დაბლა ვდგავართ: მოეწონება ბატონს მეზობლის ქორი და ის სცვლის მასზე გლეხის კომლს, მწევარსა და მეძებარ ძაღლებზე კი რამოდენმე კომლს. **პირუტყვი უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ჩვენ.** იქ კი ცხენიწყლის გაღმა არავითარ მსგავსს მოვლენას არა აქვს ადგილი (ცხენიწყალსა და რიონს გაღმა, ე. ი. იმერეთსა და გურიაში. უკვე დიდი ხანი იყო, რაც რუსის მმართველობა მოქმედებდა). ჩვენ ვიცით, რომ ისინი იქ არ დგანან პირუტყვზე დაბლა რომ იქ არსებობს მათთვის სამართალი და კანონი. რად ვართ ჩვენ ასე მოძულებული ღვთისაგან, რომ ჩვენშიაც არ დამყარდა ისეთივე რამ?...

ბატონებისათვის ბეგრის გადახდაში ჩვენ ვესწრაფოდით პატივისცემას ადათისადმი საერთო დაწესებულს ჩვენი წინაპრების მიერ, მაგრამ ის წმინდა ადათიც დიდიხანია, რაც მათ შებილწეს და ომის შემდეგ კი მათმა მძვინვარებამ ყოველს საზღვარს გადააჭარბა. განსაჩივრება? სად? ვის წინაშე? დედოფალი აქედან შორს იყო. მდივანბეგები კი მებატონის მხარეზე იყვნენ; მათგან, გარდა ძალდატანებისა, ჩვენ არაფერი სიკეთე გვინახავს; თვით დედოფლის მმართველნი იმ სიმხეცემდე მივიდენ, რომ საკუთრივ მათმა გლეხებმა უარყვეს მათდამი მორჩილება და დედოფლის ჩამოსვლამდე კიდეც ფიცი დასდვეს არ გაეცათ ერთმანეთი. ჩვენ მივყევით მათ მაგალითს. ვფიქრობდით, რომ ის მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ განელო თვეებმა, ჩვენ დავხეტიალობდით კუთხიდან კუთხემდე მებატონეებისგან თავის დასაფარავად. მხოლოდ, **როდესაც იმათ ჩვენზე დევნა და ნადირობა დაიწყეს, ჩვენ შევერთდით ამხანაგურად**

და ძალდატანებას ძალდატენებით ვუპასუხეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ ითესებოდა, მებატონეები არ თმობდენ, ჩვენც არ ვთმობდით. ბოლოს, ზაფხულს ჩამობრძანდა დედოფალი და რა? არამცთუ ჩვენ მისგან რამე მფარველობა მივიღეთ, პირიქით, მან ჩვენი გაგონებაც არ მოისურვა. „როგორ თუ გაბედეთო, თქვა მან, მებატონეებთან წინააღმდეგობა-ურჩობა-“ო.? ჩვენი წინააღმდეგობა კი ეხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ **ჩვენ ჩამოვართვით მათ ჯაჯვები და ხაჯალურები, რომლებითაც ჩვენ ისინი მთელი წლობით გვტანჯავდენ; გამოვიყვანეთ მათი სახლებიდან დები, ქალიშვილები, რომლებსაც ისინი ხასებად იყენებდენ მოახლის სახელწოდებით, და ქრისტიანულად დავაქორწინეთ.** მოხუცმა თქვენ მართალი გითხრათ, რომ თუ კი თქვენ ჩვენთან არ მოსულიყავით, ჩვენ მივიდოდით თქვენთან. მე მიმყავდა ყველა ეს ხალხი თქვენთან. და რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენ უკვე ვიქნებოდით ცხენის წყლის გაღმა. **სამშობლო ჩვენი ჩვენთვის მობეზრებულია.** ჩვენ გადავსწყვიტეთ მოვშორდეთ მას სამუდამოდ და ვიაროთ, საითკენაც თვალნი იხედებიან... დეე, ჩვენთვის ექნათ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ, თუ გინდ ყველანი დავეხვრიტეთ, ჩვენ მაინც მივეცით ერთმანეთს ფიცი: არასოდეს არავითარ შემთხვევაში უკან არ დავბრუნებულიყავით. **რალაა ის სამშობლო, სადაც შეუძლებელია თავის შეფარვა, სადაც შენზე, ვით მხეცზე, ნადირობენ.** დედოფალმა ყველაფერი ეს უწყოდა ჩვენგან, მაგრამ მას ჩვენი შველა არ უნდოდა. არასოდეს და არაფრით ჩვენ მას არ ვაშინებდით. საშიში ჩვენგან არა იყო რა. ჩვენ ავაზაკები კი არ ვართ, არამედ დაბეჩავებული, უბედური, მხოლოდ სიმართლის მაძიებელი ხალხი ვართ. მოგვეცით ეს, გენერალო, ჩვენ გადაჭრით დაგემორჩილებით თქვენ. რა უნდა გვექნა ჩვენ, განაგრძო მიქავამ, თუ არა ძალზე ძალით გამკლავება? აი თუნდაც გუშინ, ჩვენ ძალაუნებურად მოგვიხდა გაგვეცა პასუხი აღნიშნული საშუალებით ერთ აქაურ მებატონისთვის(რომლის გვარი იქვე ახსენა), რომელმაც, მოაგროვა რა თავისი მოგვარენი, მოულოდნელად დაეცა გლეხს და მოსტაცა მას ჩვენ მიერ წამოყვანილი და დაქონწინებული ქალი, წინედ მის მსახურად ნამყოფი... არ ჩანს, თუ სად დამალეს ეს ქალი და ამბობენ კი, რომ ის უკვე ახლა აფხაზეთის შარა-გზაზეა, რათა იქ გაყიდულ იქნას. ეს ძალდატანება არ დარ-

ჩა უპასუხოდ ჩვენის მხრივ და თვით მებატონე უკვე შეკრულ-დატყვევებულია ჩვენ მიერ, სანამ არ დააბრუნებს მოტაცებულ ქალს“ (ibidem, 144-146).

ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად უტუმ წარუდგინა გენერალს გლეხთა აჯანყების მთავარი მოთხოვნილებები:

1. კაცის (ბატონის) კაცი არ უნდა არსებობდეს;
2. ნაცვლად ბატონთა უანგარიშო მმართველებისა უნდა იქნას ერთი უფლებიანი კანონიერი მმართველი;
3. უნდა მოისპოს ყმების ყიდვა-გაყიდვა;
4. გადასახადს უნდა დაედვას ნორმალი საზღვარი,
5. ყმა უნდა სარგებლობდეს ადამიანური უფლებებით;
6. საკუთრება არ უნდა იკოს დამოკიდებული ბატონის თვითნებობაზე, არამედ უნდა არსებობდეს სავალდებულო ნორმა;
7. უნდა მოისპოს წინანდელი სატანჯი იარაღები და უნდა დაწესდეს სამართალი ბატონსა და ყმას შორის;
8. განმტკიცებული ადათებისადმი უნდა არსებობდეს პატივისცემა.

ამ მოთხოვნილებასთან ერთად უტუმ მოატანინა და დაყარა გენერლის წინ მთელი გროვა ხუნდებისა, ხაჯალურებისა, ქანჩებისა და ყველა იმ სასჯელი იარაღებისა, რომლებიც ხმარებაში იყვნენ გლეხების მიმართ. ამ იარაღების დათვალიერებამ გენერალზე მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამ დროს სათემო შარა-გზის მახლობლად გამოჩნდა რამოდენიმე ცხენოსანი; ეს იყო ადგილობრივი მდივანბეგი მებატონეებით. გენერალმა მოიხმო ისინიც და უთხრა: „თქვენი ახსნა-განმარტება ჩემთვის არ არის საჭირო, მომიხმო მე აქ თქვენმა დედოფალმა გლეხური აჯანყების ჩასაქრობად და კიდეც ვაქრობ მას.“

შემდეგ კოლუბიაკინი მიუბრუნდა უტუს ლაშქარს, აღუთქვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მებატონეებსა და გლეხებს შორის შუამავლად დანიშნა ორი თავისი მოხელე რ. ერისთავი (ცნობილი ქართველი მგოსანი) და მიქელაძე. გამოართვა ლაშქარს ბუკები და დროშები და მოსთხოვა მას დაშლილიყო. უტუსა

და მის თანაშემწეებს მიეცა წინადადება, რათა მათ ფართე დახმარება გაეწიათ ხსენებული მოხელეებისათვის ხალხის დასაწყნარებლად; თვით კი დაბრუნდა ისევ ქვაშოხორში

არ შეიძლება არ ითქვას, რომ გენერლის ასეთ მოქმედებას უაღრესი გავლენა არ მოეხდინოს უტუს ლაშქარზე, რომელიც მასში მხოლოდდამხოლოდ ხედავდა ეკატირინეს მიერ მუხანათურად მოწვეულ სამხედრო ძალას მათთან გასამკლავებლად. უტუს ლაშქარი, თავის მოლოდინის წინააღმდეგ, დარწმუნდა იმაში, რომ გენერლის მოქმედება არ გამოიხატებოდა მხოლოდ სამხედრო ძალით გლეხთა დამორჩილებასა და დევნაში, არამედ ის იხედებოდა რამოდენიმედ იმ სოციალ გარემოში, რომელიც სარჩულად დაედვა ეაჯანყებას. როდესაც გენერალი უშუალოდ დაარწმუნა ლაშქარმა ამაში, ეს მისთვის უკვე გამარჯვებაც იყო და სიამოვნებით გაჰყვა გენერლის მოთხოვნას. უტუმ მიმართა თავის ლაშქარს და საუკეთესო საშუალებად სცნო გაჰყოლოდა გენერლის რჩევას; რუსეთის ჯართან უტუს სადავო არაფერი ჰქონდა, მით უმეტეს, როდესაც გენერალმა აღუთქვა წარდგენილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ამიტომ უტუმ და თვით ლაშქარმაც თანაბრად გაიზიარეს ეს შეხედულება და ლაშქარი დაიძრა დაშლის მიზნით, დატოვა რა სადარაჯოზე მისი ხელმძღვანელი უტუ.

IV. მდგომარეობის გამწვავება და სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება.

მაისის 22-ს კოლუბიაკინი ხელახლა გამოემგზავრა თეკლათში. გაიარა ქვალონი და უტუ მიქავას თანხლებით მეორე დღეს გადავიდა ზენში, შემდეგ აბასთუმანსა და რამდენისამე დღის განმავლობაში კი ზუგდიდში იყო, სადაც წინასწარ დაბარებული ჰყავდა ეკატერინე. ყველა ამ სამარშრუტო რაიონებში დაბანაკებული იყო მთავარი ლაშქრის ცალკე ნაწილები, სადაც კოლუბიაკინი უტუს საშუალებით აღწევდა იმავე მიზანს. ზოგიერთ მთიან ადგილებში, საქმის ვითარების გამოურკვევლობის ნიადაგზე, ექსცესებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენა იყო. საქმის გამორკვევის შემდეგ ყველგან დამაკმაყოფილებელ შედეგს აღწევდა. გართულებული მდგომარეობის ასეთი ლიკვიდაციით ეკატერინე დარჩა მეტად უკმაყოფილო. თავმოყვარეობა მისი შელახული იყო, პრესტიჟი დაცემული, რადგანაც კოლუბიაკინმა არ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები: ის არა ცეცხლითა და მახვილით შეიქნა შურისმაძიებელი (როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა ეკატერინეს), არამედ არსებული მდგომარეობის გამომძიებელი, როგორც განსაზღვრული ტენდენციით გაჟღენთილი. ეკატერინე წყენილიდა თავის თავს კოლუბიაკინის მოპატიჟების გამო, მაგრამ საქმეს ამით როგორ უშველიდა? საკუთარი ხელებით თავისი სამარე გათხარა. საშინლად აწუხებდა მას აგრეთვე ისიც, რომ საქმის ამ ლიკვიდაციაში თავდადებული მისი მარჯვენა ხელი ჩიქოვანები გარედ დარჩენ. სტანჯავდა მას კოლუბიაკინის მიერ ასე აშკარად გამომჟღავნება იმისა, რომ „ადამიანობა და ჩვეულებრივი ადათი, ეს ის ფარგლებია, რომელსაც ვერ გასცილდება ბატონის უფლება". ამის შემდეგ ხომ უუფლებო იყო სახლთუხუცესის აპარატი, როგორც ჩვეულებრივი ადათის აღმკვეთი; ეკატერინეს ძალაუნებურად უნდა აღეარებია სახლთუხუცესის ისტორია დაფქვის შესახებ, რაც სარჩულად დაედვა აჯანყებას, აშკარა უსამართლობად. მაგრამ ის ამას ხომ ვთელი თავის არსებით უარჰყოფდა და გამო-

ვიდა თითქოს ისე, რომ კოლუბიაკინი არამცთუ აქრობდა გლეხთა მრისხანებას,არამედ ხელს უწყობდა, ამართლებდა მას და რამდენადაც მოუთმენლად მოელოდა ის მას ქუთაისიდან, გაორკეცებული მოუთმენლობითვე ცდილობდა ახლა მის ჩამოშორებას. მაგრამ გვიანღა იყო. ბოლოს მაინც შეპირების თანახმად გაემგზავრა ზუგდიდში, სადაც მას დაუხვდა სოხუმიდან დაბრუნებული გ ა გ ა რ ი ნ ი (კოლუბიაკინი კიდეკ არ იყო ზუგდიდში ჩასული). ეკატერინემ იშოვა შესაფერი დრო და აჯანყების შესახებ გაგარინს უამბო ყველაფერი ისე, როგორც თავდაპირველად ქვაშოხორში კოლუბიაკინს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აშკარა ცილისწამება დასდო უკანასკნელს: „მე ვთხოვდი მას ჩემს განკარგულებაში ყაზახებს, მისი ჩამოსვლა სრულებით არ ეყო საჭირო, ის არამცთუ აქრობს, პირიქით აჯანყებს გლეხებს“-ო (ibidem,151). რასაკვირველია, მსგავსი დასმენის შემდეგ გ ა გ ა რ ი ნ ი დარჩა კოლუბიაკინის მეტად უკმაყოფილო, მიიჩნია უკანასკნელის შემოსვლა სამეგრელოში მის ნებადაურთველად აშკარა თვითნებობად.

ამით მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა კოლუბიაკინი ზუგდიდში ჩასვლისას, როდესაც გაიგო ყველაფერი თვით გაგარინისაგან. განსაკუთრებით აკვირვებდა ის, რომ ეკატერინე უარს ამბობდა წერილის მისდამი გაგზავნის შესახებ. გადაუხადა შესაფერი მადლობა მას და გაემგზავრა ქუთაისს, სადაც „შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. მეორე დღეს კი ვრცელი მოხსენება გაუგზავნა ტფილისში მეფისნაცვალ ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი ს, სადაც ჰკიცხავდა არსებულ წესწყობილებას სამეგრელოში და მებატონე-მემამულეების უხეშ დამოკიდებულებას გლეხებისადმი: „ეგზიკუცია ვერ გამოიღებს არსებითად ნაყოფს, თუ კი პირადი შემადგენლობა სამეგრელოს ადმინისტრაციისა არ იქნება შეცვლილი. რა სამართლიანობაა მდინარე ცხენიწყალი, რომელიც: გეოგრაფიულად შუაზე ყოფს ერთ მხარეს, ერთი თავისი ნაპირით იძლეოდეს კანონიერ იურისდიკციას, მეორით კი სრულ უსამართლობას? შეუძლებელია ამ ფაქტს მუდამ გვერდი ავუხვიოთ“-ო (ibidem, 54).

რამდენისამე დღის შემდეგ ზუგდიდიდან დაბრუნდა თვით გ ა გ ა რ ი ნ ი ც, რომელიც იქ ყოფნის დროს ბევრს ეცადა საქმის მოწესრიგებას. დიდხანს სჯა-ბაასობდა თავად-აზნაურობასთან და არწმუნებდა მათ უფრო მსუბუქი, ლმობიერი ზომების მიღების უპირატესობაში გლეხებთან; ეკატერინეს კი დაჰპირდა რამოდენსამე გამოცდილ მოხელეთა გამოგზავნას.

ასე ფიქრობდა საქმის მოგვარებას გ ა გ ა რ ი ნ ი. მეორე დღეს კიდეც შეიმუშავა პროექტი და თაკის პირადი მდივან ი ზ უ მ ს კ ი ს მეო-

ხებით აცნობა მეფის ნაცვალს: „სამეგრელოში უწესრიგობის მოსასპობად საკმარისია გამოგზავნოთ რამოდენიმე მოხელე, რის საშუალებას არ მაძლევს მე ჩემი სამმართველოს შტატების განსაზღვრული რაოდენობა“-ო (ibid., 155).

მოხსენებანი ერთის მხრივ კოლუბიაკინისა და მეორეს მხრივ გაგარინისა იმდენად ეწინააღმდეგებოდენ ერთმანეთს, რომ ბარიათინსკიმ ვერ გამონახა საერთო შემარიგებელი საშუალება და ფიქრს მიეცა: კოლუბიაკინი, რომელიც პირადად გრძნობდა თავს ეკატირინესაგან შეურაცხყოფილად, სიმშვიდის დასამყარებლად ვერ ხედავდა სხვა საშუალებას, თუ არ სამეგრელოს ადმინისტრაციის, თუნდაც დროებით, მაგრამ მაინც სავსებით, გადადგომას. გაგარინს კი შესაძლებლად მიაჩნდა საქმის შველა უფრო შინაური ხერხით, რომ აღელვებული ცხოვრება ისევ ნორმალ კალაპოტში ჩამდგარიყო.

ადგილობრივ ადმინისტრატორთა ორმა ასეთმა საწინააღმდეგო აზრმა აიძულა ბარიათინსკი, სანამ საკითხს საბოლოოდ გადასჭრიდა, გაეგზავნა ადგილობრივ საქმის ვითარების სრულ გამოსარკვევად მთავარ სასამართლოს ნამდვილი წევრი იპოლიტე დ ი კ რ უ ა ს ი. როდესაც ეს ახალი რწმუნებული 19 ივნისს გამოცხადდა ქუთაისში გაგარინთან და გადასცა თავისი მანდატი, გაგარინი მეტად უკმაყოფილო დარჩა ბარიათინსკის ამგვარი ქცევით, მით უფრო, რომ ახალ სტუმართან გაგარინი სრულებით არ იყო გაცნობილი, რაც მათ შუა თავდაპირველადვე მშრალ დამოკიდებულებას ამყარებდა. დიკრუასს თან ახლდენ ტფილისიდან ადიუტანტი ჩ ე რ ტ კ ო ვ ი და მოხელენი ბ ა რ ა ნ ო ვ ს კ ი, ჟ უ ლ ც ი ნ ს კ ი და შ ე რ ე მ ე ტ ი ე ვ ი. მან უპირველეს ყოვლისა დაჰყო რამოდენიმე დღე დედოფალ ეკატირინესთან და დაჰპირდა საქმის მოგვარებას მის სასარგებლოდ. ბოლოს დაათვალიერა ოდიშის უმთავრესი ნაწილები და გაჩერდა ქვაშოხორში, სადაც კომისიასთან ერთად შეუდგა საქმის ვითარების შესწავლას. კომისიის შუშაობას ჰქონდა პირველად შემარიგებელი ხასიათი, მაგრამ მალე დიკრუასი ფიქრს მიეცა. მართლაცდა სამეგრელოს მაშინდელი აწეწილი და დოინჯალი-ვით ერთმანეთში არეული მდგომარეობა დამაფიქრებელიც იყო: ეკატირინე მისცემოდა საშინელ ნერვულობას, ის ბრალს სდებდა ყველაფერში მაღალ წოდებას. მაღალი წოდება კი, პირიქით, მომხდარ სინამდვილეს ეკატირინეს სუსტ მმართველობას აწერდა; უტუ კი (ე. ი. ხალხი, როგორც ადამიანური უფლებებისთვის მებრძოლი, ორსავეს სდებდა ბრალს. რომელ მათგანისთვის უნდა გაეწია დიკრუასს ანგარიში?..

მართალია, უტუს ლაშქარი დაიშალა, მა რამ თვით უტუ ხოფხიზლად იდგა სადარაჯოზე და საკმარისი იყო ამ პიროვნების უბრალო ხელის გაქნევა, რომ მისი ლაშქარი ფეხზე დამდგარიყო. უტუს ეს უაღრესი აქტიურიტეტი ხალხში იმდენად ცხადი და თვალსაჩინო იყო, რომ ის დიკრუასს არ გამოეპარებოდა მიუხედავად იმისა, რომ ის ახლად ჩამოსული სტუმარი იყო სამეგრელოში. ამიტომ ისიც, მსგავსად კოლუბიაკინისა, ვერ გაჰყვა ბარიათინსკის განკარგულებას უტუს დაპატიმრების შესახებ: „რადგან დაპატიმრება მისი ხელახლად დაჰპადებს ახალ აღელვებებს გლეხთა შორის“. პირიქით, მას საფიქრებლადაც გაუხდა გლეხების საღი დამოკიდებულება შექმნილი მდგომარეობისადმი. „თვით მიქავასა და მისი თანაშემწეების მისწრაფებებში მე არ შემიძლია იქვი არ შევიტანო, რომ არსებობს არალეგალური აზრი გლეხებ შორის ამბოხების ჩანასახის დატოვების შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენ საბოლოოდ არ ვიხილნით იმათ არსებული გაჭირვებიდან“ (ibid., 220-1) სწერდა ის ბარიათინსკის. ბოლოს დარწმუნებულმა გლეხების ჭეშმარიტებაში განაჩენიც გამოიტანა და აცნობა მეფისნაცვალს: „სიმართლე არაფერში არ არის. ადმინისტრაცია ცხოვრობს ბაჟებით. თვით მონაწილეობას ღებულობს ქურდობასა და ცარცვაში. სამართალი აშკარად იყიდება ფულით. სკოლების ხსენებაც არ არის. დედოფალს სურს მხოლოდ იმეფოს, სასახლენი აშენოს და სრულიად არ ფიქრობს მართვა-გამგეობაზე, მიანდო რა ეს უკანასკნელი ჩიქოვანების თავისუფალ ცარცვა-გლეჯას“. ამის შემდეგ ბარიათინსკისათვის საკითხი უკვე საბოლოოდ გადაიჭრა, მან სავსებით გამოიყენა რუსოფილური მიზნით ეს ფრიად მოხერხებული მომენტი და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე 1 აგვისტოს 1857 წელს სამეგრელოში ახალი ჯარების შემოსვლასთან ერთად გამოქვეყნებულ იქნა მისი შემდეგი განცხადება: „სამეგრელოს სამთავროს თავადებისა, აზნაურებისა, სამღვდელოებისა და გლეხებისადმი. თქვენის მთავრის გენ. მ. დავით დადიანის სიკვდილის შემდეგ მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ კეთილ იწება სამეგრელოს მმართველად დაენიშნა თქვენი მთავრის ნიკოლოზ დადიანის სრულ წლოვანებამდე განსვენებული მთავრის ქვრივი ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანი და დასახმარებლად მისა დანიშნულ იქნა საბჭო შემდგარი განსვენებული მთავრის ძმების გრიგოლისა და კონსტანტინესა და სამეგრელოს ეპისკოპოზისაგან. ეცანი რა საჭიროდ ამ საბჭოს შეცვლა, მე უზენაეს ხელმწიფე იმპერატორის მიერ მონიჭებული ძალაუფლებით დავნიშნე სამეგრელოს მმართველად ამ დრომდე არსე-

ბული საბჭოს ნაცვლად ახალი საბჭო ამიერ-კავკასის მთავარ მმართველობის წევრის დიკრუასის თავმჯდომარეობით. ეს ახალი საბჭო შედგებოდეს იქნება ოთხი წევრისაგან: ორი მთავრობიდან და ორი სამეგრელოს საპატიო თავადებისაგან და განაგებდეს იქნება სამეგრელოს მთავარ ნიკოლოზ დადიანის სრულ წლოვანებამდე.

მოვაღწევინებ რა ამ განკარგულებას სამეგრელოს ყველა წოდებათა: თავადთა, აზნაურთა, სამღვდელოებათა და გლეხთა ყურამდე, სრულს რწმენაში ვრჩები, რომ თითოეული თქვენთაგანი შეძლებისდაგვარად ეცდება ხელი შეუწყოს მთავრობის კეთილ განზრახვებს, ურთიერთის წინაშე მთავრობისადმი მორჩილების მაგალითის ჩვენებითა და თითოეულისადმი დაკისრებულ მოვალეობათა მართებულად შესრულებით“ (ibid, 264—265).

ამ ახალი ჯარების შემოსვლამ სამეგრელოში მძიმედ დააფიქრა თავად-აზნაურობა; ის უკვე დარწმუნდა იმაში, რომ ამ ახალი ჯარების შემოსვლას აღარ ჰქონდა დროებითი ხასიათი; მათვის უკვე საეჭვო არ იყო, რომ ეკატერინეს მმათველობა განიცდიდა სამუდამო აღსასრულს და უკანასკნელად ჰღაფავდა სულს; ამიტომ სამეგრელოს თავად-აზნაურობა მოკლებული ყოველგვარ რეალ ძალას, ლმობიერად მიუბრუნდა ბარიათინსკის 27 ივლისს შემდეგი თხოვნით:

„სამეგრელოს მთავრები ლევანი და დავითი რუსეთის ტახტის მაღალი მფარველობის შემდეგ ყოველთვის განუსაზღვრელ გულმოდგინეობას იჩენდენ ამ ყოვლად მოწყალე ტახტისადმი, წინაკვიძღოდენ, ხელმძღვანელობას გვიწევდენ თავიანთ ქვეშევრდომებს, რათა გაგვეწია სამსახური დიდი ხელმწიფის საერთგულოდ. სხვადასხვა დროს გაცემულ ხელმწიფის უხვ წყალობებს, კერძოდ ზოგიერთ ჩვენებზე და თვით მთავრებზე, ჩვენ ყოველთვის ვრაცხდით განსაკუთრებულ ყურადღებად, ნიშნად ჩვენი დამსახურებისა. ასეთი წყალობებით მთავრობის მხრივ, ყოველგვარი საყვედურების გარეშე, მიიცვალნენ ჩვენი ხსენებული მთავრები. ჩვენ ვთვლით აგრეთვე ჩვენ თავს ურცხვად ხელმწიფის ტახტის ერთგულ ქვეშევრდომებად და შეურყეველად თავდაპირველი ჩვენი მთავრის სახლისადმი, რადგანაც ამაზე ყოველთვის იყო უმაღლესი ნებაყოფლობა.

უკანასკნელი მთავარ დავითის გარდაცვალების შემდეგ ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მართლმსაჯულებამ გაიხსენა რა მთავართა ზემოაღნიშნული განუსაზღვრელი გულმოდგინეობა და ხელსადები სამსახური, აიყვანა 7 წლის ობოლი ყმა ნიკოლოზი მი-

სი მშობლების სამთავრო ხარისხზე და განამტკიცა სამთავ-
რო უწყება მისი ყოვლად მოწყალე სიგლით. ჩვენ აქ კვლავ
დავინახეთ რუსეთის ტახტის დიდი ყურადღება ჩვენი სამთავ-
რო სახლისადმი, ვიქნეთ ერთგულნი უკანასკნელ ამოსუნთქვამ-
დე და ამიტომ განვაახლეთ ფიკი ყოვლად მოწყალე რუსეთის
ხელმწიფისა და ჩვენი მცირეწლოვანი მთავრისადმი. ჩვენი მთავ-
რის მცირეწლოვანობამ დააკისრა მის დედას ქვრივ ეკატერი-
ნეს მმართველობის უღელი და ეს მან მიიღო უზენაესის ნე-
ბით.

ამ მმართველობის ჩაბარების დროს მოხდა განხეთქილება
ხელმწიფეებს შორის და ჩვენმა ქვეყანამ სამი წლის განმავლო-
ბაში განიცადა ყველა საშინელებანი და განადგურებანი ომისა.
ჩვენი მთავარი დაუღალავად იღვწოდა რუსეთის ჯარისათვის
ყოველგვარი დახმარების აღმოსაჩენად და ქვეყნის შინაური სი-
მშვიდის დასაცავად. ამ დროის განმავლობაში, თუმცა მას
ხელს უშლიდენ ზოგიერთი ცუდად განწყობილნი პირნი ომისა-
თვის ხალხის სამზადისსა და ხელმწიფისადმი შეურყეველი გულ-
მოდგინეობის განმტკიცებაში, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ის
შეძლებისადაგვარად მაინც იღვწოდა ყველა მცხოვრებისათვის
და, რამდენადაც დრო ნებას აძლევდა, შესაფერისად ეხმარე-
ბოდა მათ გაჭირვებაში. ვიხსენიებთ რა ჩვენს მიერ შე-
სრულებულ არა ერთ შეფიცვას ყოვლად მოწყალე ხელმწი-
ფის საერთგულოდ, ჩვენ ჭეშმარიტად ვიტყვით, რომ ჩვენს ამ
მთავარს იმ საშინელ დროში მიუძღვის იმდენი ამაგი და და-
უფასებელი სამსახური ხელმწიფისათვის, რომ ეს აღემატებოდა
მამაკაცის ძალ-ღონეს. უყურადღებოდ დასტოვა-რა მტრის მაც-
თური დაპირებები, მან შესწირა ყოველგვარი თავისი სარგებ-
ლიანობა შურის-ძიებასა და ხელმწიფისადმი ერთგულებას. ჩვენ
ყოველთვის ვიყავით და ვართ დარწმუნებული, რომ განსვე-
ნებულის ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ნიკოლოზ პირველის
მართლმსაჯულება, აფასებდა რა შრომას და ქალური ბუნების
განწირვას, ღირსყო ის თავისი უზენაესი წერილითა და დაარწ-
მუნა, რომ ის არის დედა თავისი ობლებისა და სამეგრელოს
ხალხის მფარველი.

დღეს კეთილად მსუფევმა ალექსანდრე მეორემ მას უაღრესი
წყალობის ნიშანი ეჩინა, გამოიწვია რა ის თავისი მცირეწლო-
ვანი მთავრით თვით საღვთო ცერემონიალზე და მით განასხვავა

ის განსაკუთრებული წყალობით. ყველაფერ ამას ჩვენი საზოგადოება ღებულობდა თავის საკუთარ წყალობად, ნიშნად მუდმივი ყურადღებისა სამთავრო სახლისა და ჩვენდამი. ამ მადლობის გადახდა ჩვენ ვერაფრით ვერ შეგვიძლია, მაგრამ მოგვაქვს სამსხვერპლოდ ჩვენი მტკიცე და განუსაზღვრელი ერთგულება ჩვენი საკუთარი სისხლის დაღვრით.

მაგრამ ყველაფერ ამასთან, სამწუხაროდ, დედოფლისა და მცირეწლოვანი მთავრის წასვლამ წააქეზა ზოგიერთი უწესო პირები ახლანდელი ამბოხების დაწყებაში. მათი ამისათვის დღე და ღამითი მისწრაფებანი დღეს უკვე გამოაშკარავდენ და ისინი თავიანთი ულაფუძვლო ჭორებით დღესაც არ ცხრებიან, რათა ჩაუნერგონ ხალხს შფოთი; ოცნებობენ: მოსპონ ჩვენი სამთავრო სახლი და საბაბად გამოყავთ ხალხი, რომლის მეთაურად თვით შეიქნენ, არც მალავდენ და კიდეკ ბედავდენ თქმას, რომ ეს არის ვითომდა უმაღლესი მთავრობის ნებაყოფლობა.

ჩვენ აქაური გლეხების არეულობის დასაწყისშივე ვიცოდით, რომ ამბოხება მებატონეებისა და უეჭველად არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ არ იყო გლეხების მიზანი, არ იყო შედეგი მათი შევიწროებისა. ეს მტკიცდება ჯერ ერთი მით, რომ სამეგრელოს გლეხები იმყოფებიან იმ მდგომარეობაში, რომელიც არსებობდა აქ წარსულ საუკუნეში და გარდა ამისა გაუმჯობესებულსა და შორს უპირატეს ყოფა-ცხოვრებაში, რაც შეუძლიათ დაამტკიცონ თითქმის ყველა იმერეთ-გურია-აფხაზეთ-სვანეთთან მოსაზღვრე მცხოვრებლებმა. აქაური მთავრობა დიდი ხანია თვალყურს ადევნებს, რომ მებატონეების წინანდელს განუსაზღვრელ ძალა-უფლებას და მკაცრსა და უწყალო მოპყრობას გლეხებისადმი ადგილი არ ჰქონდეს, რითაც გლეხების მდგომარეობა საგრძნობლად შემსუბუქებულია შედარებით წინდელთან; მეორე, იგივე განუსაზღვრელი ხელისუფლება ეხება თანამდებობის პირებსაც, რომელნიც წინედ სარგებლობდენ ამ უფლებით, მაგრამ ახლა იმათთვისაც ნაჩვენებია ძალა-უფლების საზღვარი და დასჯის შიში; მესამე—აჯანყებაში მონაწილეობას იღებენ ისეთი გლეხები, რომელთაგან ზოგიერთები სრულიად არა, ხოლო ზოგიერთნი ძლიერ ცოტა ხანს მსახურობდენ. აქედან ადვილად ჩანს, რომ გლეხების მიერ წამოყენებული და დასახელებული მიზეზი არ არის ჭეშმარიტება.

დასაბამითგან არ გაგონილა, რომ მებატონის ან მთავრის ძალაუფლება ყოფილიყო გლეხების მიერ შეგინებული, თითქმის

მაშინაც კი, როდესაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გლეხები იმყოფებოდენ სასტიკ შევიწროებაში, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ ყოველთა, ჩინებულად ვხედავთ, რომ გლეხებს წინამძღოლობენ ზოგიერთი მაღალი გვარის პირები, რომელნიც დიდი ხანია, რაც შემჩნეულნი არიან კანონსა და მთავრის განკარგულებათა მოწინააღმდეგედ და საზოგადოების მტრებად. ვხედავთ იმასაც, რომ მათდამი და ამ თანამედროვე ოინებისადმი მიქცეული იყო ფრიად დიდი ყურადღება და ჩვენი სიმართლისადმი და უფლებისადმი კი არავითარი. მთავრობის განკარგულებები მცირდებოდა და ჩვენი ძალაუფლება კი არსად ჩანდა. ამ გავრცელებულმა ვერაგულმა სიტყვამ მიგვიყვანა ჩვენ უკიდურესობამდე, ამისთვის ჩვენ ვკადნიერდებით მოგახსენოთ რამოდენიმე სიტყვა ჩვენი საჭიროების შესახებ:

ა) რის გამოც უნდა იყოს წამომდგარი სამეგრელოს თანამედროვე უწესრიგობანი, მაინცდამაინც ბრალის დადება დედოფალზე და 10 წლის ყრმაზე, ჩვენ ვიკრობთ, არავინ უნდა ჩაიდინოს, რადგანაც ამათში, პირველი, ვიტყვით სიმართლით, იცავს თავის მოვალეობას, როგორც შეჰფერის ხელმწიფისა და ხალხის მზრუნველობისათვის ჭეშმარიტად თავდადებულს. უკანასკნელი კი შეუძლებელია მონაწილე გავხადოთ ამა თუ იმ დანაშაულისა;

ბ) ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ ზოგიერთი ბოროტად განწყობილი პირები, რომლებსაც ჩვენ დავასახელებთ დაკითხვისას, არიან დამნაშავენი ყველა აქაური უწესრიგობისა. ჩვენ ამას დავამტკიცებთ, როგორც ფიცის ქვეშ, ისე შეურყეველი ფაქტებით. მაშასადამე, მხოლოდ მათს დასჯას, როგორც მშვიდობიანობის მტრებისას, შეუძლია დააწყნაროს მხარე. უმართებულოდ გამტყუნება ამაში სამთავრო სახლისა და უკანასკნელის დაცემა გვიჩვენებს ჩვენ უმაღლესი მფარველობის აღკვეთას და აჭეშმარიტებს ბოროტად განწყობილთა ნალაპარაკევს, რომ ეს იყო ვითომდა მთავრობის ნებაყოფლობა;

გ) არ შეგვიძლია დავმალოთ, რომ ამ საგნისათვის გამომძიებლის სახით მოქმედ პირებს არ მიუქცევიათ ჩვენი მცირე ყურადღებაც, არ მოუთხოვიათ საქმის გამოსარკვევად არავითარი საჭირო პასუხები. ჩვენი წერილობითი თუ ზეპირი განცხადებანი მათ არარაობად ჩათვალეს. მოწინააღმდეგენი კი, ეს საზოგადოების მტრები, რომელთაც ჩვენ აშკარად გამოერი-

ცხავთ ჩვენი საზოგადოებიდან, სარგებლობენ მათგან აღმატებული ნდობით, ყურადღებითა და მორჩილებით, რაც ჩვენ იმ ზომამდე შეურაცხყოფას გვაყენებს, რომ სიკვდილამდე ვართ მიყვანილნი;

დ) გვესმის, რომ ჩვენს მოწინააღმდეგე პირებს ჩვენისა და სხვების სახელით შეაქვთ თხოვნები თითონ და მათ მიერ მოსყიდული პირები აწერენ მათზე ხელს ჩვენს მაგივრად. მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვამოწმებთ რომ, გარდა ზემოხსენებულისა, ჩვენ სხვა არავითარი სურვილი არა გვაქვს, რადგანაც ყველაფერი დანარჩენი მოგონილია ღვარძლიანი პირების მიერ. ჩვენი ასეთი შევიწროებისა და მოუთმენელი უბედურების წარმოდგენით თქვენს ბრწყინვალებასა და როგორც ჩვენი მეფის მოადგილეს, ასე ყოვლად მოწყალე ჩვენს ხელმწიფეს, ცრემლიანი შევსთხოვთ ყურად იღოს ჩვენი ასეთი მდგომარეობა და ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მიერ თქვენდამი მონიჭებული ძალაუფლებით გვიხსნათ ჩვენ მსგავსი შედეგებისაგან მშიდობიანობის აღდგენის ბრძანების გაცემით, რომ ყველა ურჩი პირები იქნენ მორჩილებაში მოყვანილნი, საზოგადოების მტრები განდევნილნი და მცირეწლოვანი მთავრის უფლება დაცული ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მფარველობითა და სახლი მისი განმტკიცებული მისი უზენაესი ძალით. თუ კი სამეგრელოში ადგილი აქვს რამე ნაკლს, ასეთ შემთხვევაში ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ეს ენებება უმაღლეს მმართველობას სამთავრო სახლის ხელისუფლების დამახვრევის გარეშე, რომ არ მოგვაშოროთ მცირეწლოვანი მთავარი და უსაყვარლესი დედა-ჩვენი დედოფალი. სამეგრელოს საზოგადოებას 53 წლ. განმავლობაში არ შეხვედრია საჭიროება შეეწუხებინა მმართველობა თავისი თხოვნითა და რადგანაც ეს არის პირველი, ამისათვის ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მაღალი სულითა და განუსაზღვრელი გულკეთილობით, ჩვენ დარწმუნებული ვირთ, რომ რა გინდ ეს ჩვენი თხოვნა არ იმსახურებდეს პატივისცემას, ის მაინც მიღებულ იქნება, ვითარცა პირველი და მოგვანიჭებს ჩვენ ამ გამოსათხოვ წყალობას და მით მოგვაწვდის ჩვენ ახალსა და გამოუთქმელ შ ე ნ დ ო ბ ა ს. თქვენ კი, უბრწყინვალესო თავადო, ვითარცა ხელმწიფის ნაცვალი, იყავით შუამავალი მის საიმპერატორო დიდებულების წინაშე, როგორც ეს შეჰშვენის

კეთილ სათნოიან ჩამომავლობასა და თქვენს კაცთ-მოყვარეობას“ [1].

ეს თხოვნა, ხელმოწერილი 166 თავადისა და 849 აზნაურის მიერ, სულ მცირე წონისა გამოდგა ბარიათინსკის წინაშე. მისთვის ეს საკითხი უკვე სავსებით მომწიფებული და გადაჭრილიც იყო ამ დრომდე შედგენილი და 1 აგვისტოს გამოქვეყნებული განცხადების სახით. მით უმეტეს ბარიათინსკის ამ გარდაწყვეტილობას ბანს აძლევდა დიკრუასისთვის ჩაბარებული 31 ივლისს სამეგრელოს ზოგიერთი თავადების დეპუტატთა განცხადება, მიმართული ზემო მოყვანილი თხოვნის დასარღვევად, სადაც აღნიშნულნი იყვნენ თხოვნაზე ხელისმომწერ ზოგიერთ თავადაზნაურთა საძაგლობანი, მათი „საგმირო საქმენი“, როგორც მაგალითად:

1. გრიგოლმა, ტარიელ დადიანის შვილმა, მოკლა ორი კაცი.
2. არჩილ დადიანმა, არამზადაა, მოკლა კაცი.
3. კონსტანტინე ოტიე დადიანის-ძე არამზადაა.
4. დატო არჩილის-ძე დადიანმა მოკლა კაცი კოლოშვილი.
5. ალექსანდრე მანუჩარის-ძე დადიანი ქურდია.
6. ბატაია კაციას-ძე დადიანი მექრთამეა.
7. თავადებმა ხახუ და დუტუს-ძე ფაღავებმა შეადგინეს ყალბი საბუთები.
8. თავადები ბატა, გრიგოლი, კოსტა, მიხეილ და სამსონი ფაღავები ქურდებია.
9. გიორგი ჩიქოვანმა მოწამლა თავისი მეუღლე.
10. თავადი ბერუკა აფაქიძე ტყვეთა გამყიდველი და ქურდია და სხვა [2].

ასე რომ ამ თხოვნას ბარიათინსკის გადაწყვეტილებაში ოდნავი რყევაც არ გამოუწვევია... დარჩა თავადაზნაურობა ყოველგვარ იმედს მოკლებული. მეტი გზა აღარ იყო, ის უნდა მისცემოდა მშვიდობიან ცხოვრებას და არ უნდა გადაელახა ახალი მმართველობის მიერ მისთვის დადებული საზღვარი, მაგრამ განა მას შეეძლო ხელი აეღო საუკუნოებით არაადამიანურ მოქმედებებზე? რასაკვირველია არა! და სწორედ ძველი უსამართლობის თუნდაც ერთი მაგალითის განმეორებამ უსალ დაბადა და გამოიწვია თავის სადარაჯოზე ფხიზლად მდგარი საიჩუოს გლეხობის მტკიცე ერთეულში შეკავშირებული ამბოხება.

---

[1]) იხ. Акт. Арх. Ком., გვ. 241-247.

[2]) იხ. Ак. Кав. Арх. Ком., გვ. 298-299.

V. საიჩუოსა და ნახუნუს გლეხთა აღელვებანი და მათი ჩაქრობა.

საიჩუოს რაიონის (ზუბი, საიჯა, ხორში, ქვალონი, ბია და ნოჯიხი) გლეხების აღელვებას სარჩულად დაედვა შემდეგი გარემოება: ხორშის საზოგადოების 15-16 წლ. ბავში ივანე სერგია გამოჰყოლოდა თავის რძალს ს. ქვალონში; მეორე დღეს დაბრუნებისას ეს ბავში გზაზე დაუპერია ამავე სოფლის მცხოვრებ აზნ. ვატა ლოლუას და კიდეც გაუყიდია იგი. რამდენისამე დღის შემდეგ ბავშის პირისუფლებმა შეიტყვეს ეს ამბავი, მაგრამ არაფერი გაუვიდათ ბავშის დასაბრუნებლად. მომხდარი სინამდვილე მყისვე მოედვა მთელს ახლო მდებარე საზოგადოებებს. გლეხობამ ეს მაგალითი მიიღო აშკარა დამრღვევ საბუთად ახალი მმართველობისთვის წარდგენილი მოთხოვნილებების განხორციელებაში და ამით იგრძნო ერთგვარი მუხანათობა, ისევ შეკავშირდა და მეორე-მესამე დღეს საიჯა, ხორში, ქვალონი და ბიის საზოგადოების გლეხობა, რიცხვით 300 კაცამდე, ესტუმრა ქვალონს და ხელი მიჰყო თავად-აზნაურობის ნგრევა-აწიოკებას. თავად-აზნაურობამ გლეხებს სთხოვა ერთი კვირის ვადა ბავშის დასაბრუნებლად. გლეხობამ იმ პირობით განაცხადა თანხმობა, თუ მათ მძევლის სახით მიეცემოდათ ერთი ლოლუასა და მეორე ჩიჩუას ასულები, წინაადმდეგ შემთხვევაში დაემუქრენ მთელი სოფლის დაწვა-დაგვით. თავად-აზნაურობა დარწმუნდა, რომ ამ საშუალებით ის ვერას გახდებოდა და მუხანათური დასმენით მიმართა თეკლათის რაიონის მეთვალყურე ლიანცკორანსკის იმ ახსნა-განმარტებით, რომ გლეხთა შეიარაღებული ბრბო მზად არის თავს დაეცეს და საბოლოოდ გაანადგუროს ქვაშოხორში დაბანაკებული რუსის ჯარიო. ლიანცკორანსკიმ ეს გაგებისთანავე აცნობა დიკრუასს, რომელმაც მეორე დღესვე გამოგზავნა ქვალონში ყაზახების საკმაო შეიარაღებული ძალა პოლკ. კულვანოვსკის მეთაურობით. ზემო-ქვალონის იმ ადგილას, რომელიც დღეს „ბეჟანკას ნოხორი-"თ იწოდება, მოხდა შეიარაღებული შეტაკება ერთის მხრივ ყაზახებისა (ადგილობრივ თავად-აზნაურობასთან

შეერთებით) და მეორეს მხრივ მეამბოხე გლეხებს შორის[1]. რამდენისამე კაცის მსხვერპლის შემდეგ მეამბოხეებს უწყალოდ სცემეს ჯერ იქ შეტაკების ადგილზე, შემდეგ კი 215 კაცი დატყვევებული წამოიყვანეს ქვაშოხორში და სასტიკი სასჯელის შემდეგ 15-ს მათგანს მიუსაჯეს ციხეში ჯდომა, დანარჩენი 200 კი გაათავისუფლეს შესაფერი სასჯელის მოხდით[2]. საიჩუოს გლეხების ასეთი თავგადასავალი არ დარჩა „ლაკადის“ საერთო გამოძახილისა და ერთობისათვის უცხო. უკვე 8 სექტემბერს აჯანყდა ჯვარის რაიონის გლეხობა 500 კაცამდე და დაიძრა ზუგდიდისკენ. აჯანყების მიზეზად აყენებდენ იმ უსამართლობას, რომელსაც მიეცენ საიჩუოს გლეხები. ს. ჯვარში აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა ტიმოფეევი, შერემეტიევი და ტრუბაევსკი, მაგრამ ამაოდ: აჯანყებამ მიიღო ფართე ხასიათი და თავის რკალში ჩაითრია ყულ-კარის, ჭაქვინჯის, კირცხის, აბასთუმნის, ხეთის და სხვა საზოგადოებები. მეამბოხეთა რიცხვი გადიდდა 3 ათასამდე და უკვე 9 სექტემბერს შიკრიკიც გამოჩნდა ზუგდიდში შესატყობად იმისა, მიემხრობიან თუ არა ზუგდიდის მცხოვრებნი საერთო შეიარაღებულ ამბოხებას.

მათი აშკარა განზრახვაა შეიარაღებული მოძრაობით ჯერ შური იძიონ ქვალონის თავად-აზნაურობაზე და შემდეგ კი გაათავისუფლონ სენაკში დამწყვდეული ამხანაგები: „იქ, სადაც დაიღვარა ჩვენი ძმების სისხლი, ჩვენც მზადა ვართ ჩვენიც დავღვაროთ[3]“-ო—აი მეამბოხეთა ლოზუნგი. ამბოხება ლამობდა თანდათან მიეღო მტკიცე ხასიათი და ხსენებულ მოხელეთა მცირე რაზმების გაგზავნა მის ჩასაქრობად უბრალო პალიატივი გამოდგა, რაშიაც მალე დარწმუნდა თვით გენ. კოლუბიაკინი.

„ლაკადის“ ამ მღელვარე განწყობილებამ და განსაკუთრებით კი საიჩუოდან ჯვარში გადატყორცნილ გლეხთა ამბოხებამ მძიმედ დააფიქრა რუსეთის მმართველობა. ის ნათლად დარწმუნდა იმაში, რომ „დამშვიდება განისაზღვრებოდა მხოლოდ იმით, რომ ჯვარელებისაგან შეგროვილი პარტია საგრძნობი წინააღმდეგობით თუმცა იშლებოდა, მაგრამ მებატონეებისადმი ურჩი სულიერი განწყობილება რამდენიმედ მაინც არ ირყეოდა“ და რომ აღმოეფხვრა მოსალოდნე-

---

[1]) ჩვენებანი გერასიმე ლოლუასი, ივლიტა ლოლუასა და ალექსი ფაჩულიასი (ს. ქვალონი).

[2]) იხ. Ак. Кав. Арх. Ком., т. XII, გვ. 322-3.

[3]) იხ. Ак. Кав. Ар. Ком., т. XII, გვ. 324.

ლი აღელვების სილუეტები და საბოლოოდ დაეშალათ საიჩუოს უსა-მართლობის ნიადაგზე ხელახლა შეკავშირებული ჯვარელების ლაშქარი, ქუთაისის გენ.-გუბერნატორმა ხელმეორედ გამოითხოვა ახალი ჯარი უკვე „ადმინისტრატიული გალაშქრების“ მიზნით.

22 სექტემბერს ქვაშოხორიდან უკვე დაიძრა კოლუბიაკინი არა როგორც საბხედრო ხელმძღვანელი, არამედ როგორც უკიდურესი ადმინისტრატორი სასტიკი ზომების შემოღებით: გზადაგზა ალაგ-მა მეამბოხეები და დაიმორჩილა ლეიქინე, ქაქვინჯი, ობუჯი და ნაწილი წალენჯიხის საზოგადოებისა, მაგრამ ზოგიერთი მთა-გორიანი ადგილების გლეხობა მაინც არ გამოეხმაურა მის „ადმინისტრატი-ული დამშვიდების“ პროცესს. პირიქით, ჯვარის, ჯგალის, ნაგურუსა და წალენჯიხის საზოგადოებების გლეხობა უკვე მომზადდა იმის-თვის, რომ დაესაჯათ გენერლის ძახილზე გამოხმაურებული თავიანთი ამხანაგები. კოლუბიაკინის მდგომარეობა გართულდა და ახლად მომა-ტებული ჯარით ადგილობრივ თავად-აზნაურობასთან შეერთებული დაბანაკდა ჯვარის საზოგადოებაში ს. ლეშამუგის მახლობლად, სადაც უკვე დაბინავებულიყო ჯვარის რაიონის გლეხთა მთავარი ძალა.

უმაყოფილო თავად-აზნაურობასა და აღელვებულ გლეხებს შუა მომრიგებელი როლი იკისრეს, როგორც ნათლად გამოირკვა[1], ბეჟა და უთუთ ხუბუტიებმა. გლეხებმა წარადგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი, სადაც, ქვალონში გლეხებზე მუხანათურად თავდა-სხმის აღნიშნასთან ერთად, ითხოვდენ ყმის ზოგიერთ მოვალეობათა გაუქმებას, როგორიცაა, მაგ.: ღომის ცეხვის ვალდებულების შემსუბუ-ქება, მინდის შემცირება და სხვა შეღავათები; რასაკვირველია, თა-ვად-აზნაურებმა არ მიიღო წარდგენილი მოთხოვნილებები და კოლუ-ბიაკინის ყურამდე არც კი მიიტანეს წარმოებული მოლაპარაკება. პირიქით, ის საშინელი გესლითა და შურისძიებით აღსავსე დარჩა გლეხების ამ განცხადების გამო და ჯავრის ამოსაყრელად კიდეც წა-აქეზა კოლუბიაკინი და დაარწმუნა იმაში, რომ თითქოს ლეშამუგეში დაბანაკებული ლაშქარი გამზადებულია ამოსწყვიტოს რუსის ჯარი. კოლუბიაკინი დარწმუნებული იყო თავად-აზნაურობის ინფორმაციის სინამდვილეში და გაგზავნა ყაზახები თავად-აზნაურობასთან ერთად, ვითარცა მოწინავე რაზმი და ალყის შემოსარტყმელად კი პირველი ქართული ბათალიონის ერთი გუნდი.

ცხენოსანთა რაზმს მეამბოხეთა ლაშქარი შეხვდა ლეშამუგეს ეკლესიის მახლობლად ტყის ჯაგნარში, ყოველივე მოლოდინის გარე-შე, გართული ისრის სროლის თამაშით.

---

[1]) ჩვენება ქაშტი ფიფიასი ს. ჩქვალერიდან (ჯვარი).

გლეხობამ სროლა დაუწყო რუსის ჯარს, რომელსაც წინამძღოლობდა ადგილობრივი თავად-აზნაურობა, როგორც მცოდნე იმ საიდუმლო ვაკე-ხეობისა, რომელიც უნდა გაეარა შეიარაღებულ ლაშქარს. ორივე მხრივ საკმაო მსხვერპლის გაღების შემდეგ, თუმცა ჯვარელების რაზმი გაფანტულ იქნა კოლეგიაკინი მაინც იძულებული იყო მდგომარეობის სირთულის გამო და განსაკუთრებით კი რომ საშუალება ჰქონოდა ჯარის სიმრავლით ყოველივე ნაბიჯზე სასტიკად ედევნებია თვალ-ყური, რათა სამემრისოდაც უზრუნველეყო ჯვარის რაიონი ახალი აღელვებისაგან, გამოეთხოვა ბარიათინსკისაგან დასახმარებლად ტულის ქვეითა ჯარის ახალი ბათალიონი. ამის შემწეობით კი 8 სექტემბრისათვის ჯვარის რაიონიც, როგორც „ლაკადის“ მოქნილი ნაწილი, განწმენდილ იქნა კვლავ ახალი ამბოხების შესაძლებლობიდანაც, მაგრამ საიჩოს გლეხების ამბოხებას მოჰყვა საგრძნობი აღელვებანი ნახუნუუში (მარტვილის რაიონში).

ნახუნუუს აღელვებანი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის მმართველობის შემოსვლას უკვე შეჰნატროდენ ზოგიერთი გავლენიანი თავადი და ბატონიშვილები გლეხთა აჯანყებამდეც. ასეთ „მაღალ-წოდებათა“ სიაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ფაღავების გვარსაც, რომელთა მფლობელობაში იმყოფებოდა ს. ნახუნუუ. ფაღავები, „რუსეთის პარტია“-დ წოდებულნი, სრულებით არ დაერიდენ ძველებური ჩვეულება-ადათის განახლებას, კვლავ მათს შემოღებას და ამიტომ ნახუნუუს გლეხებზე დაიწყეს თარეში და მათი აწიოკება. ისინი თანდათან იმდენად გათამამდენ, რომ კვლავ აღადგინეს ცნობილი „სურია“ და ხელი მიჰყვეს აშკარად გლეხის სარჩო-საბადებლის განიავებას. გლეხებმა თავდაპირველად თხოვნით მიმართეს ფაღავებს, რათა მათ ხელი აეღოთ ასეთ საქციელზე და არ შეებილწათ მათი მონაპოვარი. ამის გამო ფაღავებმა არამცთუ რამე შეღავათი მისცეს, არამედ კიდეც დაემუქრენ გლეხებს რუსების იმედით. ზოგიერთმა მათგანმა უკმაყოფილებით მიმართა. ოლქის მმართველის თანაშემწეს. ამ გარემოებას ზედ ისიც დაემატა, რომ ერთმა მათგანმა, სახელდობრ გიორგი ფაღავამ, რომელიც ცხოვრობდა ერთ თავის გლეხის ოჯახში, სრულიად დამშვიდებულად გლეხის ორს 9-10 წლის გოგოს აბრეშუმის წითელი ძაფი შეაბა კისერზე, რაც ადათისამებრ იმას ნიშნავდა, რომ ისინი უნდა გამხდარიყვნენ მის „მოახლეებად“ და მას კი ამის შემდეგ უფლება ეძლეოდა წაეყვანა ისინი თავის სახლში. ეს ფაქტი, როგორც დაგმობილი წესწყობილების კვლავ განახლების ნიმუში, უცბად მოედვა მთელ სოფელს. გლეხები შეკავშირ-

დენ მტკიცე ერთეულში და გაჩნდა ხელჩართული ცემა ფაღავებსა და გლეხებს შორის. გლეხები განურჩევლად და დაუზოგველად გაუმჭლავდენ მათ. რამდენისამე დღის განმავლობაში მთელი სოფელი დაცარიელებულ იქნა ფაღავებისაგან. ოლქის მმართველის თანაშემწე კულვანოვსკი ყაზახების შემწეობით ეცადა დაემორჩილებია გლეხები, მაგრამ ვერას გახდა. ყაზახებსაც ფაღავების ბედი ერგო: როდესაც ისინი განიარაღეს და ცხენებიც დაატოვებინეს. კულვანოვსკი იძულებული შეიქნა მიემართა ოლქის მმართველისა და გენერლისათვის, რომლებსაც სწერდა: „თუ ეს მოძრაობა ამ თავითვე არ იქნა ჩაქრობილი, ის შეიძლება მოედვას სხვა სოფლებსაც“-ო. კოლუბიაკინმა (თვით მძიმე ავადმყოფი იყო) ნახუნუუს აღელვების ჩასაქრობად გაგზავნა 100 ყაზახი და მეომარი ბათალიონის ერთი ასეული კრიტსკის მეთაურობით. ხელმძღვანელობა კი დაევალა ოლქის მმართველს, რომელსაც თან ახლდა ორი გენერალური იასაული—ძმები თეიმურაზი და სიკოთოფურიები. დიპლომატიური მოლაპარაკება გლეხებსა და სამხედრო ძალებს შორის დაეკისრათ ძმებს თოფურიებს. გლეხების მეთაურად აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრები, ფაღავების ყოფილი ფარეში, ბასაია ცანავა[1], რომელიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდა გლეხთა აჯანყებაში. გამოირკვა აგრეთვე თვით მიზეზი ამ აღელვებისა, რომელიც განსაკუთრებით ფაღავების მიერ გლეხებისათვის ძველებური ადათისა და ჩვეულების შემოღებით სარჩულდებოდა. ბასაიას დაევალა შეეკრიბა ნახუნუუს გლეხობა ოლქის მმართველთან მოსალაპარაკებლად. ფაღავებთან საუბარში გამოირკვა ისიც, რომ ისინი სრულიად არ იყვნენ თავისუფალნი გლეხებთან დამოკიდებულებაში იმ დრომოჭმული, არაადამიანური შეხედულებიდან, რომელიც მათ გააჩნდათ ეკატერინეს მმართველობის ჟამს. სწუხდენ აგრეთვე უზომოდ იმის გამო, რომ რუსების ადმინისტრაცია მათ ნებას არ აძლევდა უშუალოდ გამკლავებოდენ გლეხობას. განსაკუთრებით საწყენად რჩებოდათ ის, რომ ეგზეკუციის საშუალებით რუსის ჯარისკაცებმა გამოაცალეს გლეხებს სარჩო-საბადებელი, რაც მხოლოდდამხოლოდ მათი საკუთრება შეიქნებოდა და როჟლის ზარალი შეადგენდა დაახლოებით 120 მანეთს. ოლქის მმართველმა მაშინ მიმართა ერთგვარ ხერხს: უმალ უთაკილოდ გაუსწორა ეს ანგარიში იმათ 120 მანეთის მირთმევით, რამაც ძალზე მეტად გამო-

---

[1]) გვარი ნამდვილი უნდა იყოს, როგორც ეს გამოირკვა ადგილობრივ ზაქარია კირტას და სხვათა ჩვენებიდან; თვით სახელი კი გვხვდება ბოროზდინის წიგნში (იხ. გვ. 334—360).

აბრუნა ფალავების შეხუთული სულისკვეთება ოლქის მმართველისადმი. მეორე დღეს კი, როდესაც ბასაიამ შეაგროვა სოფლის გლეხობა, გამოძიებიდან გამოირკვა, რომ 40 გლეხი აშკარად ღებულობდა მონაწილეობას ფალავებთან ხელჩართულ ბრძოლაში, რამდენიმე მათგანი ადგილზერივ დასაჯეს და ზოგიერთი მეთაურთაგანი კი ბასაიასთან ერთად გაგზავნეს სენაკის ციხეში. მხოლოდ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ოლქის მმართველმა საჭიროდ სცნო შეედგინა საკომლო გადასახადის უწყება. ფალავებს, რასაკვირველია, არაფრად მოეწონათ ასეთი საქციელი, მაგრამ 120 მანეთმა რამოდენიმედ გასჭრა და მათაც თანხმობა განაცხადეს.

ფალავების თითოეული გლეხისთვის შედგენილ იქნა განსაკუთრებული უწყება გადასახადების აღნიშვნით ორივე მხარის შეთანხმებით (თუ ვერ შეთანხმდებოდენ, მაშინ ინიშნებოდა ორივე მხარისაგან მედიატორეები).

ამასთანავე ორსავე მხარეს წინდაწინვე გამოეცხადა, რომ ამიერიდან სამუდამოდ აღმოფხვრილია ძველი „სურია“ და „მოახლეობა“, რაც ორივე ნბრით დადასტურებულ იქნა ხელის მოწერით. ამით ბოლო მოეღო ნახუნუუს გლეხთა აღელვების მიზეზებს და საქმე გლეხების სასარგებლოდ გათავდა, თუმცა ამ საქმის მოგვარება მათ შესაფერ ფასად დაუჯდათ.

ნახუნუუს აღელვების ჩაქრობით დეკემბრის თვეში დასრულდა 1857 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ისტორიაც[1].

მთელი სამეგრელო და განსაკუთრებით კი მისი უფრო მოქნილი და მოძრავი ნაწილები წალენჯიხა-ჯვარი, საიჩუო და სალხინო-მარტვილი გავსებული იყო რუსის ჯარებით. თვით ეკატერინე კი ოქტომბრის დამლევს უმაღლესი განკარგულებით პეტროგრადს გაემგზავრა.

ასე რომ ირგვლივ უზრუნველყოფილი, მტკიცედ ფეხ-მოკიდებული, რუსეთის ადმინისტრაცია ყოველგვარ საშიროების გარეშე[2], ჩაუდგა სათავეში და სამეგრელოს სვე-ბედის მესაჭეობა ხელთ იგდო.

---

[1]) როდესაც თავადაზნაურების თხოვნამ ვერ გასჭრა და ლეშამუკეს უკანასკნელი შეტაკებით გლეხთა აღელვებებს საზღვარი ედებოდა და სამეგრელო კი თანდათან ახალი ჯარებით ივსებოდა, თავადაზნაურობას არ ეძინა. განსაკუთრებით ჩიქოვანების ხელმძღვანელობით დიდს მზადებას ჰქონდა ადგილი. ეკატერინე კი მოხდარი სინამდვილით უკიდურესობამდე შეწუხებული საკუთარ ინტერესებზე მაღლა ვერ დამდგარიყო

და ყველაფერს ამას ძალდატანებით ხსნიდა. ის ვერ ურიგდებოდა იმ მდგომარეობას, რომ ადრე თუ გვიან მას უნდა დაეტოვებინა სამეგრელო და გამგზავრებულიყო რუსეთში. გასაგებია ამიტომ, თუ ის ჩიქოვანების ყოველგვარ რჩევას რუსების წინააღმდეგ სიამოვნებით ღებულობდა ხოლმე. ჩიქოვანები კი იგონებდენ სხვადასხვა ხერხს რუსებისათვის სამარცხვინო კომედიის მოსაწყობად. ასეთი კომედიების მოწყობა მათ მართლაც მოახერხეს ორ ადგილას შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევით, სახელდობრ: კინჩხასა და ზანაში(?). უკანასკნელში განსაკუთრებით ოქტომბრის თვეს მწვავე შეტაკებას ჰქონდა ადგილი (ყოფილი სახლთ-უხუცეს დავით ჩიქოვანის ძმის ივანე ჩიქოვანის მეთაურობით), სადაც 300 კაციდან 15 იქნა მოკლული, დაახლოვებით ამდენივე დაჭრილ-დასახიჩრებული, 50 შეპყრობილი. ამ გამოსვლებმა ეკატერინეს მეტად შეუმოკლეს სამეგრელოში დარჩენის დღეები და ის უმაღლესი რესკრიპტის ძალით 25 ოქტომბერს თავისი მცირეწლოვანი ნიკოლოზით და ზოგიერთ თავად-აზნაურების თანხლებით გაემგზავრა პეტროგრადს (ibidem, გვ. 197).

2) 1858 წლის იანვრის თვეში კი დასრულდა საქმის გამოძიება გლეხთა აჯანყების მეთაურთა შესახებ. 38 კაცს ბრალდებოდა მონაწილეობის მიღება ხელმძღვანელობის სახით, რომელნიც სხვადასხვა ვადით გადასახლებულ იქნენ რუსეთის გუბერნიებში. მათგან უტუ მიქავას, უტუ და კოჩა თოდუებს მიესაჯათ ხუთ-ხუთი წელი, როგორც ამას თვით ბოროზდინი გადმოგვცემს (გვ. 361), თუმცა პირველიცა და მეორეც მხოლოდ 9 წლის შემდეგ დაბრუნდენ, მესამე კი გზაში გარდაიცვალა.

VI. უტუ მიქავას პიროვნება.

როგორც გამოირკვა, გლეხური აჯანყების მთავარ ხელმძღვანელებად გვეევლინებიან: საჩილაოდან (სუჯუნის რაიონიდან) – კოჩა თ ო დ უ ა, სალიპარტიანოდან—უტუ თ ო დ უ ა და წალენჯიხა-ჯვარიდან კი—უტუ მ ი ქ ა ვ ა.

პირველი მათგანი, კოჩა თ ო დ უ ა, აზნაური კორძაიას გლეხი საჩილაოს რაიონიდან, უკვე ხანში შესული, 50 წლისა, შესახედავად მეტად ახოვანი, აწარმოებდა წვრილ ვაჭრობას. როდესაც სამეგრელოს მომეტებულ ნაწილში გლეხთა აჯანყებამ მიიღო რეალი ხასიათი, გლეხებმა ის გაიხადეს ხელმძღვანელად, რომელსაც ევალებოდა თავის ჩაგრულ და შეურაცხყოფილ მოძმეთა ინტერესების დაცვა. მის ასეთ პოპულარობას განსაკუთრებით ხელს უწყობდა, როგორც, ერთის მხრივ, ვაჭრობაში შეძენილი ცოდნა-გამოცდილება, ისე, მეორეს მხრივ და უმეტესად, გარეგნული აღნაგობა: მოყვანილი ტანადობა. გახდა რა საჩილაო-სუჯუნის რაიონის გლეხთა მეთაური, კოჩამ გაიჩინა ადჯუტანტები, პირადი მდივანი, შიკრიკები. დადიოდა ის მთელი თავისი მხლებლებით და აწესებდა სამართალს ბატონსა და ყმას შორის. გლეხებს შემოჰქონდათ მასთან წერილობითი საჩივრები. კოჩა უწყებების საშუალებით იბარებდა მებატონეებს და, თუ კი უკანასკნელნი ცხადდებოდენ, ის მორიგებით ათავებდა ხშირად საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰგზავნიდა ადგილობრივ თავის რწმუნებულებს, რომელთაც ევალებოდათ დაეკმაყოფილებიათ გლეხების მოთხოვნილებანი. თავის მოქმედებაში კოჩა იყო მეტად მკაცრი; მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ მას უყვარდა წესრიგიც. მებატონეები განსაკუთრებით ეძებდენ მის მფარველობას და ხშირი იყო კოჩას მიწვევა-დაპატიჟება მებატონეებისაგან მისი გულის მოსაგებად... კოჩა ყოველაფერ ამას სათანადოდ ღებულობდა. ასეთი სახელის მოხვეჭის შემდეგ იშვიათად თუ რომელიმე მებატონე უწევდა მას ურჩობას, მით უმეტეს, რომ ასეთ მებატონესთან გამკლავება კოჩასაგან იყო

სასტიკი და დაუნდობელი. ასეთი მებატონის ვერც სახლკარი, ვერც შინაური საქონელი, ვერ აცდებოდა საბოლოო განადგურებას.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ კოჩას სიბოროტე არ ახასიათებდა, მაგრამ მაინცდამაინც არც მახვილი გონების პატრონი იყო; მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით გარეგნული მოყვანილობა, შესანიშნავი ტანადობა და უფრო კი ერთნაირი სარდლური ვარჯიში წინ სწევდენ ხოლმე...

მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი უტუ თ ო დ უ ა, შეიძლება ითქვას გადაჭრით, პირველის ანტიპოდად გვეხატება. სოფ. წაჩხურუს (სალხინოს რაიონის) მცხოვრები, მებატონის ქეშიკი, ხანში შესული (50 წლისა), ხელობით მეკურჭლე, უტუ, იმდენად პოპულარული იყო თავის რაიონში, რომ ის ყველას უყვარდა, მას ყველა ენდობოდა, მის სიტყვას დიდი წონა ჰქონდა... წინააღმდეგ პირველისა, მას განსაკუთრებით გონება-მახვილობა ახასიათებდა; საზოგადოებაში მან მოიპოვა დიდი ავტორიტეტი როგორც სიმართლის მთქმელმა, ამიტომ ხალხმა მას ზედმეტ სახელად „მ ა რ თ ა ლ ი ა“ უწოდა.

როგორც ზოგიერთი პირების გადმოცემა ამას ააშკარავებს, „მართალია“ ღებულობდა მონაწილეობას იმ არალეგალურ ყრილში, რომელმაც გამოა ჯხადა სალხინოს მეშების გაფიცვა და აღძრა საჩივარი დროებით მმართველ გრიგოლ დადიანთან [1].

მხოლოდ ძაშინ, როდესაც გასჭრა მათმა განზრახვამ და შესაძლებელი შეიქნა პრაქტიკულად განხორციელება იმისა, რაც მარტო გეგმაში ჰქონდათ ასახული ფარული ორგანიზაციის „სხუნუ-“ს წევრებს, როდესაც მიუცილებელ საჭროებად შეიქნა უკვე დაწყებული საქმის გაგრძელება და საბოლოო დაგვირგვინება—მთელი სალიპარტიანოს რაიონის აჯანყება და მტკიცე ერთეულში შეკავშირება, აშკარაა, ხალხი გვერდს ვერ აუხვევდა ამ ფრიად პოპულარულ პიროვნებას, სიმართლით განთქმულ უტუ თ ო დ უ ა ს.

რასაკვირველია, ვერც უტუ ეწინააღმდეგებოდა ამ ერთსულოვან არჩევანს... ის გახდა ამ აბობოქრებული ზღვა ხალხის ჭირისუფალი. მთელი თავის ხელმძღვანელობის სიგრძეზე უტუ თოდუა სცდილობდა უკიდურესობისაგან თავის დაღწევას. მისი გამკლავება მებატონეებთან იყო ზომიერი, მას არ ახლდა ის უკიდურესობის ნიშნები, რაც განსაკუთრებით ახასიათებდა უკანასკნელ მთავარ ხელმძღვანელს უტუ მ ი ქ ა ვ ა ს.

[1], ჩვენება პიხვინია გ ა დ ი ლ ი ა ს ა და გუჩურ ჟ ვ ა ნ ი ა ს ი (ს. კიწია).

ეს მისი უაღრესი ზომიერება იმ ზომამდე ავიდა, რომ, მას შემდეგ, რაც სალიპარტიანოელები ესტუმრენ წალენჯ ხა-ჯვარს და საერთო სარდლად და მეთაურად უტუ მიქავა აირჩიეს და აჯანყებული ლაშქარი გაიყო ორ უმთავრეს ნაწილად ხობი-წყლის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე დაბანაკებულ წყებად, უტუ თოდუამ, როგორც მარცხენა ნაპირზე დაბანაკებული ლაშქრის ხელმძღვანელმა, გამონახა სალხინოში ჩამოსულ ეკატერინესთან საერთო ენა და 15-16 მაისს ზოგიერთ უხუცესს წევრებთან ერთად კიდეც „შეჰფიცა სასწაულთ-მოქმედი ხატით მორჩილება და თავიანთი მდგომარეობის ვაუმჯობესება მიენდო ეკატერინეს სამარადოოოო"[1]...

აშკარაა, ეს ადგილი ყველაზე უფრო სუსტი მხარეა უტუ თოდუას ხელმძღვანელობის სარპიელზე მაგრამ, თუ სახეში მივიღებთ მის ღვთის მოშიშობას, მის მიერ უაღრესად ზომიერი პოლიტიკის წარმოებას მეპატრონეებთან და განსაკუთრებით მის არასარდლურსა და ლხის ფართე მასის სამეთაუროდ არათანდაყოლილ ბუნებრივ თვისებებს, ჩვენთვის გასაგები შეიქნება უტუ თოდუას მიერ ეს დათმობის ნაბიჯები. ის იმდენად ფაქიზი და თავაზიანი პიროვნება იყო, რომ მას არც კი ეგუებოდა ამ დაკისრებული მოვალეობის ასრულება და მხოლოდ იშვიათსა და ფრიად საჭირო შემთხვევებში გამოდიოდა ლაშქრის მეთაურად. მაგრამ, მიუხედავად ამ დათმობისა, მას იმდენად აქტიური მონაწილეობა მიუძღვის აჯანყების დასაწყისში, უკმაყოფილო მასის ურთიერთისადმი მჭიდრო შეკავშირებაში ფიცის შემოღებითა და სხვადასხვა საჭირო ტაქტიკური მოსაზრებათა წამოყენებით, რომ შეუძლებელია დაიჩრდილოს მისი მნიშვნელოვანი როლი ამ აჯანყებაში.

ბოლოს მესამე და ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ხელმძღვანელად ამ აჯანყებაში გვევლინება უ ტ უ მ ი ქ ა ვ ა; გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ უტუ მ ი ქ ა ვ ა ამ აჯანყების ალფა და ომეგაა.

სამწუხაროდ, არავითარი წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება უტუს ბიოგრაფიული ცნობების შესახებ; ძალაუნებურად უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ზოგადი შტრიხებით, რომელთა ასახვა ამ დროამდეც შესაძლებელია მისი შვილისა[2] და ზოგიერთ მის ნათესავთა ჩვენებით.

უტუ იყო წალენჯიხის საზოგადოების სოფ. ფუქიდან (ზუგდიდის მაზრა). მამა მისი, ჯოტო მიქავა, სოფლის მეურნე ყოფილა. რო-

---

[1]) ჩვენებანი ჯოთ ო დ უ ა ს ი (ს. წაჩხურუ).

[2]) უტუს შვილი გლაბუა მ ი ქ ა ვ ა (75 წლის) ს. ქვალონის (ზუგ. მ.) მცხოვრებია.

დესაც უტუ წამოიზარდა, მან შეისწავლა ზეინკლის ხელობა და თავის საკუთარ მამა-პაპეულ ოჯახში (ს. ფუქში) კიდეც გამართა სამჭედლო, რომლის წყალობით უტუმ გაითქვა სახელი მთელს ზემო-სამეგრელოში [1]. ამ სამჭედლოში უტუმ დაყო საკმაო ხანს. როდესაც შვილებმა მამის გარდაცვალების შემდეგ თავთავიანთი ნაწილი მიიჩნიეს, უტუ გადასახლდა საიჩუოში, ს. ნარაზენში. სწორედ აქ ყოფნის დროს მოუსწრო მას სალიპარტიანოში აჯანყებამ; როდესაც ამ რაიონის მეამბოხეები ესტუმრენ წალენჯიხა-ჯვარს, უტუ უმალ იქნა გამოწვეული თავის საზოგადოებაში და სალიპარტიანოსა და ჯვარის მაზრის გლეხთა მოთხოვნით, ის ხდება მეთაურად და მთავარსარდლად მეამბოხე ლაშქრისა; განსაკუთრებით ის ხელმძღვანელობს მდინარე ხობიწყლის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკებულ ლაშქარს რიცხვით ათ ათასამდე.

1858 წლის იანვრის თვეში ის, როგორც აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი, კოჩა და უტუ თოდუებთან ერთად გადასახლებულ იქნა რუსეთში 5 წლით, სადაც დარჩა 8 9 წელს და დაბრუნდა სამეგრელოში დაახლოვებით 1867-8 წლებში, სწორედ მაშინ, როდესაც სამეგრელო თავისუფლდებოდა ბატონ-ყმობის უღლისაგან. ჩამოსვლის მეორე წელს, ე. ი. 1868-9 წ., როდესაც დაწესდა სამეგრელოში პირველად მამასახლისობა, გლეხთა წრიდან წალენჯიხის საზოგადოებამ ერთხმად წამოაყენა უტუს კანდიდატურა. თუმცა მმართველები ამაზე არ დასთანხმდენ, მაგრამ საზოგადოების დაჟინებითმა მოთხოვნამ მაინც გასჭრა და უტუ გახდა პირველი მამასახლისი წალენჯიხის საზოგადოებისა; უტუ ამ თანამდებობას ასრულებდა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგ ის ერთმა დამახასიათებელმა შემთხვევამ [2] აიძულა გადამდგარიყო.

1870 წ. ის ეწევა ხან თავის ხელობას, ხან კი მეურნეობას მისდევს. გარდაიცვალა 1877-8 წლებში.

ასეთია დაახლოებით მთავარი შტრიხები მისი ბიოგრაფიისა; როგორც ირკვევა, უტუს პიროვნების ფართე სახელის მოხვეჭას განსაკუთრებით ხელი შეუწყო მისმა სამჭედლომ, მისმა ხელობამ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით ადგილ-მდებარეობაც მის სამ-

---

[1]) ახლაც გაიგონებთ ხშირად მოხუცებულებისაგან: „უტუშ ნაჭკადა ანჯარს ჯანგი ვემკარაღუდუ“-ა („უტუს ნაჭედ აბჯარს ჟანგი ვერ მიეკარებოდა -ო).

[2]) ეს შემთხვევა ეხება წალენჯიხის მომრიგებელ-მოსამართლე დიმიტრი ბატონიშვილისა და უტუს შუა მოხდარ ფიზიკურ შეურაცხყოფას (ჩვენება იოსებ ჯვარაცხელიასი ს. წალენჯიხიდან).

ჭედლოსი ხელს უწყობდა უკანასკნელის ფართე საზოგადოებრივი საბელის მოპოვებას. ს. ფუქის ის ადგილი, სადაც იდგა უტუს სამჭედლო, რამდენისამე მნიშვნელოვანი შარა-გზების მებოძირია. აღმოსავლეთით მიდის ის მთავარი გზა-ტკეცილი, რომელიც აერთებს ზუგდიდ-წალენჯიხა-ჯგალი-მუხური-თაია-სალხინოს, ჩრდილოეთით საჩინო ჯვარს. აი ამ სამეგრელოს ლაკადისათვის უმთავრეს ორი შარა-გზის საჯვარედინო ადგილზე იდგა უტუს სამჭედლო. ამ გზებზე მიმომავალთ არ შეეძლოთ არ შესულიყვნენ სამჭედლოში, არ გაეცნოთ მისი სიმპატიური პატრონი, არ გაეზიარებიათ თავიანთი შთაბეჭდილებანი. სწორედ ამ ისტორიულ სამჭედლოში გამოკვერდა უტუს შეურიგებელი წადიერებანი, შეურიგებელი ლტოლვილებანი ბატონყმობის დამხობისა.

უტუს პიროვნებაში შესისხორცდა ამ იმ დროისათვის საუკეთესო საინფორმაციო პუნქტის საშუალებით გლეხობის მთელი ის სიდუხჭირე, მთელი ის დაავადებული ყოფა ცხოვრება, რომლითაც იტანჯებოდა უკანასკნელი. არის ზეპირგადმოცემითი ცნობა[1], რომ მან განზრახ გადაიტანა თავისი სამჭედლო სამეგრელოს მეორე კუთხე საიჩუოში, რომ იქაც უშუალოდ გასცნობოდა გლეხთა სულისკვეთებას.

ამრიგად, სამჭედლო, როგორც ასეთი, შეიქნა უტუსთვის საუკეთესო შკოლა ხალხის ფართე მასის გასაცნობად, მათი რეალი მდგომარეობის გასათვალისწინებლად. თუ ახლა სახეში მივიღებთ იმასაც, რომ იმ დროს სამეგრელოში განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდენ მჭედლებს და მათ, როგორც ამას მართებულად აშუქებს ნიჭიერი ეთნოგრაფი ი. ჭობალია, „თითქმის დღემდისაც პატივს სცემდენ და სცემენ სამღვდელოების თანასწორად, როგორც საღვთო პირებს, წმ. სოლომონის თანამიმდევრებს. ვისიმე ანათემაზე გადაცემა მჭედლის მიერ თავის სამჭედლოს სახელით დღემდისაც უაღრეს წყევა-კრულვად ითვლება მეგრელთა შორის",[2] ჩვენთვის ცხადი შეიქნება უტუს პიროვნების ფართე პოპულარიზაციის მიზეზები... ყოველგვარი უბრალო გასაჭირის დროსაც ხალხი მიმართავდა მჭედელს თავის გაჭირვების გამოცნობა-დახსნისათვის; ასე რომ, მჭედელი ძალაუნებურად უნდა გამხდარიყო გულთმისანი და სხვადასხვაგვარი უცნაური საშუალებით უნდა დაეკმაყოფილებინა მრავალი მოთხოვნილება. თავისთავად აშკარაა, ამ ისტორიულ ტრადიციას ვერც

---

[1]) ჩვენება ლევან მიქავანი (სახ. წალენჯიხა, ს. ფუქი).

[2]) იხ. Иосиф Кобалиа, Из миѳической Колхиды, გვ. 23-24.

უტუ ასცდებოდა პირიქით, მასში ამას გაორკეცებულად ექნებოდა ადგილი. ამგვარად, ჯერ წალენჯიხასა და შემდეგ ნარაზენში საკმაო დიდის ხნით სამეჯლოს გაჩენამ უტუს მზამზარეულად მისცა მართებული საშუალება, ნათლად წარმოედგინა ხალხის საშინელი სინამდვილე, მისი ჭირი და ვარამი.—ეს უტუს ობიექტური მხარე გახლავთ.

არა ნაკლებ საინტერესოა მისი სუბიექტური, ინდივიდუალი თვისებებიც: „გამკლავება მისი მებატონეებთან იყო უაღრესად სასტიკი და ენერგიული. ის მათ თავს ესხმოდა, დააფრინდებოდა როგორც ქორი, ართმევდა ყველაფერს, უყოფდა გლეხებს და არაიშვიათად აკავებდა მებატონეებს ტყვეობაში გამოსყიდვის ან დახსნის პირობით. განსაკუთრებით ყველაზე უფრო მისგან ხვდებოდა თავადებსა და აზნაურებს, რომლებიც სხვებზე მეტად განთქმულნი იყვნენ თავიანთი ვერაგობით. წერა-კითხვის მცოდნე და მჭერმეტყველურად მოლაპარაკე, როგორც ჩვენ ეს დავინახეთ პირველად კოლუბიაკინთან ბაასში, ის მთელის არსებით ბატონობის უაღრესი მტერი იყო და ყოველგვარი საშუალებით შურს იძიებდა ‘ათზე თავის თანამოძმეთა საუკუნეებით შეურაცხყოფის გამო“. უნდა ითქვას, რომ რუსის მოხელის მიერ უტუს ასეთი დახასიათება არ ცოდავს გადაჭარბებით. მთელს სამეგრელოში უტუს პიროვნების ხსენება დღესაც დიდად პოპულარულია: ყოველ მოხუცს შეუძლია მათზე რამოდენიმე მაგალითი აღნუსხოს თავად-აზნაურობასთან შეურიგებელი განწყობილებისა. ხალხის მეხსიერებაში ის დღემდისაც ცოცხალია და ბევრი მისი მაგალითი მისაბაძ და საანდაზო ნიმუშადაა ქცეული.

აქ საკმარისად მიმაჩნია ადგილი დავუთმო მხოლოდ ერთ ასეთ ისტორიულ ნიმუშს, რომელიც აშკარად ადასტურებს ზემოაღნიშნულ დებულებას. ჩვენ სახეში გვაქვს უტუ მ ი ქ ა ვ ა ს აუდიენცია დედოფალთან ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი ს ა და რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს თანადასწრებით: ერთს მშვენიერ დღეს, როდესაც დედოფალი მარტვილის ჭონასტერში იმყოფებოდა, შინაყმებმა მოახსენეს მას მახლობლად უტუ მ ი ქ ა ვ ა ს ყოფნა. დედოფალი ძლიერ დაინტერესდა მისი ნახვით და სთხოვა ზუგდიდის ოლქის მმართველ რ. ე რ ი ს თ ა ვ ს მოეხმო ის, როგორც ირონიულად უწოდა მას, „სამეგრელოს რევოლუციის დანტონი“. მოიხმო ერისთავმა და შემოსვლისას მიესალმა იგი დედოფალს. დედოფალმა ის უფრო ახლო მიიწვია და მეტად საამო ტონით დაუწყო საუბარი: „რატომ, შვილო, გლეხებისაგან წინამძღოლად არჩეული შენ არ მოდი პირდაპირ ჩემთან და არ ამიხსენი მათი საჭი-

როება და გაჭირვება; მე ხომ მათ შესახებ არაფერი ვუწყოდი და მოსვლა კი ჩემთან ყველას შეეძლო. შენ შეგიძლია ყოველ წამს გამოცხადებულიყავ და სიმართლე გეთქვა. რატომ არ მოიქეცი შენ ასე ჩემი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ?!“ მიქავა ამ საკითხზე არ უპასუხებდა და იდგა შეშფოთებული, თავჩაღუნული და ხელებში ქმუქნიდა ქუდს. გავიდა სიჩუმეში რამოდენიმე ხანი. „შენ არ გსურს მიპასუხო ჩემს შეკითხვაზე?—დაიწყო ისევ დედოფალმა—მაშასადამე, აღიარებ, რომ ჩემთან მოუსვლელობით ცუდად მოქცეულხარ“. მაშინ უტუმ ასწია თავი და დაიწყო ლაპარაკი მეტად წყნარად:—თქვენო ბრწყინვალებავ, მეშინია, რომ თქვენ ჩემზე არ გაგულისდეთ და მიტომ ვჩუმდები“;—ილაპარაკე, ილაპარაკე, გეთაყვა, ილაპარაკე—ცოცხლად მიუგო დედოფალმა—მე სიმართლისთვის არავის ვკიცხავ.“ უტუმ შეხედა ერისთავს და როდესაც მან თავის მხრით ყაბული ანიშნა, უტუმ დაიწყო:

— ბოდიშს ვიხდი, ხელმწიფეო, რომ მე თქვენთან არ მოვედი; **არ მოვედი, იმიტომ რომ თქვენ ვერაფრით ვერ დამეხმარებოდით, თუნდაც სურვილიც გქონოდათ.** იგი ცოტა ხანს შეჩერდა თითქოს მეტის ლაპარაკს არ აპირებსო, მაგრამ კვლავ ასწია თავი, **თვალები მას როგორღაც განსაკუთრებით გაუბრწყინდენ** (კურსივი ყველგან ჩვენია) და დაიწყო: აი აქ მთის ძირას (მარტვილის მონასტერი მაღლობზეა აშენებული) ცხოვრობს თქვენდამი კუთვნილი გლეხი. ამ საწყალ გლეხს ჰყავდა ერთი საათის წინ ძროხა, მისი ერთადერთი დიდება, რომელიც უკვებავდა მას ბავშებს და ახლა ის ძროხა უკვე აღარ არის. ის დაკლა თქვენმა შინაყმამ, თქვენთან ერთად მოსულმა, და მისგან ახლა წვადებს აკეთებს. არავინ არაფრით არ აუნაზღაურებს იმ საწყალ გლეხს მის ძროხას. **თქვენ თვით ვერ ამჩნევთ, რომ, სადაც თქვენ წახვალთ, ყველგან უბედურება დაგაქვთ? რისთვის უნდა მოვსულიყავი თქვენთან და მესაუბრა მსგავსი საწყლების უბედურებაზე, როგორიც არის ის გლეხი: თქვენ ხომ მათ ვერაფრით დაეხმარებოდით?“** უტუმ გაათავა და გაჩერდა. დედოფალს უფლება რომ ჰქონოდა, მზად იყო იქვე აღეგავა იმდენი პირების წინაშე მსგავსი მხილებელი, მაგრამ თავი შეიკავა და გარეგანი ღიმილით უთხრა: „კეთილი, შვილო, მიბრძანდი“-ო (ibidem,186).

ცალმხრივი იქნებოდა უტუს პიროვნების გაშუქება, თუ აქვე მოკლედ მაინც არ გავიხსენებდით მის მეჭერმეტყველურ ნიჭს. ამ მხრივ მას ბადალი არა ჰყავდა თავის ამხანაგებში. ის ამით ბუნებით იყო დაჯილდოვებული და სხვას რომ თავი ვანებოთ, ისეთი რუსის

მოხელენი, რომელნიც უშუალოდ ისმენდენ მის სიტყვას, მის ლაპარაკის სიძლიერე-სითამამეს, როგორიცაა ბ ო ტ ო ზ ი ნ ი, ე რ ი ს თ ა ვ ი, მ ი ქ ე ლ ა ძ ე — გაკვირებაში ვარდებოდენ... ბოლოს აღსანიშნავია უტუ იმ დროისთვის როგორც სარდალი, როგორც მოთადარიგე იმ მრავალრიცხოვანი ლაშქრისა (რაოდენობით 14,000), რომელიც მუდმივად მის განკარგულებაში იყო.. თუმცა პირდაპირი ისტორიული წყაროები უტუს სარდლობის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ისორიოდე სტრიქონიც, რომელიც გვხვდება ამ წყაროებში და აგვიწერს უტუს ლაშქრის სახეობასა და მისი მოძრაობის ვითარებას, სადაც უტუ ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი, მხარზე ლეკურ-გადაკიდებული, წითელ-არშიანი ქუდით, წინ მიუძღვის თამამად ამ ლაშქარს, ნათელს ჰყოფს იმ მოსახრებას, რომ უტუ არ იყო დაშორებული სარდლობის მთავარ მოთხოვნილებებს, რომ მას შეეძლო დაეცვა ამ ზღვა ხალხში სიმტკიცე, წეს-რიგი და თანამიმდევრობა. სწორედ ეს „წესრიგი, თანამიმდევრობა და ორგანიზაცია“, რომელიც სუფევდა უტუს ლაშქარში და ახასიათებდა საეროოდ აჯანყებას, იმდენად თვალსაჩინო და საგრძნობი იყო, რომ ის ვერ გამორჩა შეუმჩნეველად კოლუბიაკინს, რომელიც მეტად გაკვირვებული რჩებოდა უტუს ლაშქრის ამ თვისებებით და მიაწერდა მას დასავლელების გავლენას.

ასეთი სუბიექტური და ობიექტური თვისებებით აღჭურვილი უტუ მართლაც შეიქნა ხალხის სულისკვეთების ჭეშმარიტი გამომხატველი. ამ აჯანყებაში ის ნამდვილად გვეელინება ჩვენ როგორც **ხახალხო ტრიბუნი**. ეს კიდევ ცოტაა: ხალხმა ის უფრო მეტს სიმაღლეზე აიყვანა, მიანიჭა მას „დადიობა“, „კეისრობა“ [1]. უტუს ასეთ ფართე პოპულარობას, დიდს ავტორიტეტს, ყველა გრძნობდა. მას ანგარიშს უწევდა ოფიციალური ხელისუფლებაც, სწორედ ამიტო-

[1]) სამეგრელოს მკვიდრ მცხოვრებლებში ხშირად შეხვდებით შემდეგ გადმოცემას: საბერძნეთის ან რომის მმართველებად უძველეს დროში ყოფილან კეისრები, რომელნიც ერამთა ვითარებაში განადგურებულან ოსმალთა შემოსევისაგან. კეისრის მმართველობას ხალხში სიმპატია ჩაუნერგავს და ასეთ რწმენასთან დაკავშირებით ხალხი დღესაც მოელის კეისრის მმართველობის აღდგენას. როდესაც გლეხთა აჯანყებით დაინგრა ძველი, არა ადამიანური, დესპოტური მმართველობა და ხალხის წარმომადგენლებმა ხელში ჩიგდეს სამეგრელოს ბედ-იღბალი, ხალხმა ძალაუნებურად, ინსტიქტურად ახსენა გადმოცემით ჩანერგული რწმენა და უტუს ლაშქრის დანახვაზე გაიძახოდა: „კეისრის ჯარს გაუმარჯოს“-ო. აქედან თვით სახელწოდება „კეისარი“, როგორც უზენაეს მმართველს, უტუს მიასაკუთრეს. (ჩვენება სუმო გ ვ ა ს ა ლ ი ა ს ი (ხორში), გიორგი დ გ ე ბ ი ა ს ი (ფოცხო), სიმონ ჩ ქ ო ფ ი ა ს ი (მარტვილი).

მაც ვერც კოლუბიაკინმა და ვერც დიკრუასიმ მიზანშეწონილად ვერ სცნეს ბარიათინსკის ბრძანების სისრულეში მოყვანა უტუს დაპატიმრების შესახებ, სანამ საბოლოოდ ფეხს არ მოიმაგრებდენ, და აშკარად სწერდენ უკანასკნელს: „უტუს დაკავება ხელახლად დაჰბადებს გლეხებში ახალ აღელვებას"-ო[1]

მართლაც, მისი დაკავება აუცილებლად ხიფათში ჩააგდებდა ხელისუფლების მეთაურებს, მაგრამ ამას მათ საღი მოსაზრებით გვერდი აუხვიეს. რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს უტუს თვისებათა ხალხოსნური მნიშვნელობის სფეროში, საკმარისია აღვნუსხოთ ის საგულისხმიერო რეალი ფაქტი, რომ დღესაც მეგრულ ენაზე უტუ ნიშნავს ხალხს, ფართე საზოგადოებრივ კრებულს, რაც უდავოდ წარმოშობილი უნდა იყოს უტუ მიქავას საკუთარი სახელის განზოგადოებით და რაც, უეჭველია, მოწმობს უტუს პიროვნების ფრიად პოპულარობას[2].

---

[1]) იხ. Ак. Кав. Арх. Ком., ტ. 203.

[2]) რაც შეეხება მხოლოდ მცნება უ ტ უ ს, ვითარცა უწესრიგოდ თავმოყრილ კრებულად, უთადარიგო ბანდად გაიგებულს, აშკარაა, ეს თავადაზნაურობის წამოსროლილი ოინია ყოველგვარი გლეხური მასის პრესტიჟის დასაცემად.

VII. აჯანყების ხასიათი და მნიშვნელობა.

საზოგადოდ მასიურ მოძრაობას სამეგრელოს წარსულში არაიშვიათად ჰქონია ხოლმე ადგილი. თავი რომ ვანებოთ წარსულის უძველესსა ან ძველ პერიოდებს, საკმარისია გავითვალისწინოთ უახლოესი საუკუნეები, სადაც სამთავრო ტახტის დაპატრონების მიზნით შეხვდებით გადატრიალებათა მთელ წყებას: დადიანისეული (იგივე სამთავრო) გვარები: ბედია, ჭილაძე, ლიპარტიანი, შელია, გოშუა, ჩიქოვანი, დროთა განმავლობაში ერთმანეთს სცვლიდენ სამთავრო უფლების მოპოვებით, რაც, რასაკვირველია, „მაღალი წოდების“ ხელმძღვანელობა-ინიციატივით წარმოებდა, მაგრამ შეუძლებელია არ ვიფიქროთ, რომ მასში პასიური როლი მაინც სამეგრელოს ხალხს, ფართე მასას, არ ეთამაშა. საერთოდ გამოსვლები, უკმაყოფილებანი და პროტესტები სამეგრელოს მკვიდრთათვის ისტორიულად არ უნდა ყოფილიყო უცხო რამ, პირიქით, არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ხალხის ფსიქოლოგიაში მსგავს მოვლენებს ერთგვარი საფუძველიც ჰქონია დადებული; ამ მხრივ 1857 წლ. სამეგრელოს გლეხების აჯანყება ჩვენ არ უნდა მოგვეჩვენოს unicumად, ერთგვარ გამონაკლისად, სამეგრელოს ისტორიული მსვლელობის სიგრძეზე.

ჩვენის აზრით, სწორედ ამ ისტორიული სარჩულით აიხსნება ამ აჯანყების მომწიფებული სახე და მისი მართებულ ფორმებში ჩამოყალიბება. უწინარეს ყოვლისა ამ აჯანყებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მას წინასწარ ხელმძღვანელობს ფარული ორგანიზაცია „სხუნუ“ (თათბირი), შემდგარი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სქვამაია ნადარაიასა, შუკოჩია კილასონიასა და გვატია გადილიასგან. პირველად ამ წრეში ჩაისახა აზრი სალხინოს სასახლის შესაკეთებლად გამოძახილი მუშების გაფიცვისა, დროებით მოადგილე გრიგოლთან დეპუტაციის გაგზავნისა და სხ.

ეს საგულისხმიერო ფაქტია, როგორც საზოგადოდ საორგანიზაციო საკითხებში, ისე კერძოდ და განსაკუთრებით იმ დროინდელ სამეგრელოსთვის. როდესაც დეპუტაციამ ერთგვარი ლმობიერი დ[illegible] თან გაურკვეველი პასუხი მიიღო დროებითი მმართველისაგან, მა[illegible]

ხელის აღება. წინასწარ გეგმაგათვალისწინებულ მოქმედებათა მეოხებით და უფრო კი დიდი მომზადება-შემჭიდროებით სახლთუხუცესის შეიარაღებული წინააღმდეგობა უშედეგოდ დარჩა, პირიქით, ხელჩართულ ბრძოლაში ის დამარცხდა კიდეც. გაფიცულები დაეპატრონენ სალხინოს სასახლეს და რამდენისამე დღის განმავლობაში უკვე მთელ სალიპარტიანოს დაეუფლენ... მაგრამ საბოლოო გამარჯვებისათვის რომ ფეხზე დააყენონ სამეგრელოს მთელი გლეხობა და ამით ერთობლივად იმოქმედონ, შემოიღებენ ისეთ მოხერხებულ ტაქტიკურ საშუალებას, როგორიცაა ფიცი ლოზუნგით: „ყველა ერთისათვის“.

ეს იყო მართლაც გონივრული საშუალება, რომელსაც იმ დროსთვის ჰქონდა უაღრესი მნიშვნელობა, რადგანაც მაშინ რელიგია-სარწმუნოებას, რომლისამე „სასწაულთ-მოქმედი“ ხატის წინაშე ფიცის მიცემას, ჰქონდა დიდი გავლენა გლეხკაცზე. ფიცის მიცემა წარმოებს სალხინოს გვერდით, „წმიდა გიორგის სახელობაზე აგებული ეკლესიის გალავანში პირველად სალიპარტიანოელთა შორის...

ამგვარად დასაწყისშივე განმტკიცებული, ურთიერთს „ყველა ერთისათვის“ შეფიცული მასა სალიპარტიანოელებისა სავსებით მიზანშეწონილად გადადის „სამანიჩოში“ (თანამედროვე წალენჯიხა-ჯვარის რაიონია), რაც სტრატეგიული მოსაზრებით უთუოდ მართებული ნაბიჯი იყო, ვინაიდან „ლაკადის“ ბუნებრივი სიფხიზლე და ცხოველი ენტუზიაზმი ამას მეტად ხელს უწყობდა. აქედან ეს მრავალრიცხოვანი ხალხი „ურდუმი“ („ულუსკა“), თავის მოქმედებას ავრცელებს ენგურამდე „ლაკადის“ მიმართულებით, შემდეგ საიჩუოში და ნოქალაქევით ბანძა-მარტვილის რაიონებში.

ყველგან, ყოველ საზოგადოებაში, თანამოაზრენი, თანამიმყოლნი, ვალდებულნი არიან მიიღონ ფიცი თავიანთი საკუთარი საგვარეულო ან სამრევლო ხატის წინაშე. როგორც ფიცის მიცემა, ისე აჯანყებაში მონაწილეობის მიღება, ვალად ედვა ოჯახის ერთ-ერთ უფროს წევრს, რომელიც აუცილებლად ფიცის შემდეგ შეიარაღებული რითაც შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში შუბით, წალდით, უნდა გაჰყოლოდა ლაშქარს და მიეღო მასში მონაწილეობა[1].

თითოეული კუთხის ან ხატის, ეკლესიის, საყვირი ან ბუკები აუცილებლად საერთო ლაშქარში უნდა ყოფილიყო და რაც დამახა-

[1]) თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ მაშინდელი კამერალური აღწერილობის მიხედვით მთელ სამეგრელოში „დაბალ“ ან გლეხთა ოჯახში სულ რიცხებოდა 113,280 სული და თუ გავიხსენებთ ამ ბოლო ამასაც, რომ უტუ მიქავას ლაშქარში 10,000. ხალხი უტუ თოდუას 4,000 კაცი იყო, ირკვევა, რომ საერთოდ გლეხთა ლაშქარში უშუალო მონაწილეობას იღებდა 14,000 კაცი, ე. ი. გლეხთა მთელი რიცხოვნობის მე-8 ნაწილი.

სიათებელი და საგულისხმიეროა, ლაშქარს გააჩნია ბაირაღები, წითელი ფერის დროშები „შილა“[1].

ამ სახით შემდგარი უტუს ლაშქარი მიმოიელის აღნიშნული მარშრუტით მთელ სამეგრელოს: არ არის შეუმჩნეველად დარჩენილი სამეგრელოში უბრალო სოფელიც კი, სადაც ეს ლაშქარი არ ყოფილიყო. გარდა იმისა, რომ ეს ლაშქარი ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას და საზოგადოების შემოერთების შემდეგ უკანასკნელს გაათავისუფლებს ძველი მმართველობის წარმომადგენლებისაგან ან დაკავება-დაჭერით, ან ქონებრივად განადგურებით, ან დასჯით, პარალელად ის აკეთებს აგრეთვე არა მეორეხარისხოვან საქმესაც: მას გამოყავს მებატონის სახლებიდან ყველა მოჯალაბენი, მსახურნი, მოახლენი და მომეტებულად დედათა სქესს აქორწინებენ სურვილისამებრ.

თავისი მიზნის მისაღწევად ეს ლაშქარი არ განიცდის შიშს და ის ყოველგვარი ძრწუნების გარეშე თამამად ასრულებს თავის ზრახვებს, იქნება ის სამღვდელო პირთა[2], მაღალ წოდებათა[3], თუ თავიანთ ურჩ გლეხთა მიმართ.

ქვემო აღნიშნული საბუთი ნათლად მოწმობს იმას, თუ როგორ ექცეოდენ, როგორც ურჩ მოაზნაურე პირებს, ისე თავის მხრივ მოწინააღმდეგე გლეხებსაც:

---

[1]) ეს სიტყვა შეიძლება წარმომდგარი იყოს ძველურ „შოალა“ ზმნისაგან (ქსოვა) (შილი, ჩილა), მით ეტყვის, რომ იმ დროს სამეგრელოში ქსოვა განსაკუთრებულად განვითარებულ იყო. აქიტომ ადვილად დასაშვებია, რომ დროშა— ზელით ნაქსოვი და შემდეგ შეღებ ლი ყოფილიყო.

[2]) საკმარისია ორიოდე მაგალითი გავიხსენოთ: ა) როდესაც კ ო რ ც ხ ე ლ ი ს ეკლესიის მღვდელმა დიმიტრი თ ო ლ ო რ ა ი ა მ ეკლესია არ გაუღო და ხატი არ მისცა, ლაშქარმა ძალით ,ასტეხა ეკლესიის კარები და ხატი გამოასვენა; მღვდელმა კი გაქცევით უშ ელა თავს; ბ) მარტვილის საკრებულოს არქიანდრიტ ტარასი ე ლ ი ა ვ ა ს ლაშქარმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საკრებულო ტაძრიდან გათრევით, რიდ საც უკანასკნელმა ნება არ მისცა ლაშქრის წარმომადგენლებს ეკლესიაში დაცული საბუთების გადათვლიერებისა; გ) ობუჯის ქიჩის ხატის სახელობაზე ,გებული ეკლესიის მღვდელი დავ ით შ ე ნ გ ე ლ ა ი ა განადგურებულ იქმნა სახლ-კარით მსხვერთა არ დათხოვნის გამო.

[3]) მაგალითები იხ. გვ. 37.

„უფალს კზ ერისთავს.

ჯვარის მაზრის და სოფელ ობუჯის მცხოვრებთა ბულათია ფიფიას და სხვათა ერთობით მოგვარეთა მისთა ფიფიებისაგან.

მოხსენება.

როდესაც სოფელი ესე მიასაკუთრა მთავარმა ტარიელ დადიანს, მაშინ იმ დროიდან ჩემი გვაროვნობა მხნეობისანი ქიაჩის ხატითა დაფიცებულვართ ერთგულობისათვის. ხოლო როდესაც ტარიელ დადიანი გარდაიცვალა, მე ძემან მისმან ფარნაოზ და პლატონმან ახალგაზრდა რაოდენიც ვიყავით, კვალად გვაფიცეს საერთგულოდ და კიდევაც მუნიდან მოკიდებული ერთგულიცა ვართ და არც არს ჩვენზედ მომდურავი მებატონე, რომლისათვისაც ვართ კომლად ათი თუ თორმეტი კომლნი, მოსურნე ვიყავით და ეხლაც ვართ, სასიამოვნოდ ჩვენის შეძლებით მსახურებისა მებატონეზედ; **და ეხლა ამა მდგომარე წელსა ჩუნზ [1857] მაისის თვესა მოხთა ცოდვის კითხვა ხაზოგადოება მეგრელიისა და ატუდა ხალხი ბუნტად და მთიხაკენ ჯვარალები და სხვებნი შეურილნი ყოფილან წალენჯიხას** (კურსივი ყველგან ჩვენია) და იქიდან მოციქული გამოგზავნეს ობუჯის მცხოვრებ ხალხთან: თანახმა ხართ თუ არაო? შენგელაიას ყმებმა შეუთვალათ რომ: ჩვენ თანახმანი ვართ თქვენის ბუნტოვშიკობისა და კიდევაც შეგფიციებთო, მაგრამ პირველად ფიფიები თუმცა არ აფიცეთ არ იქნებაო. შეუთვალეს შენგელაიას ყმებმა ჯარს, ჩვენ მოციქულების პირით შეუთვალეთ ბუნტის თავებსა: ჩვენ თქვენი თანახმა არა ვართო და ორ გზის დაფიცებული ვართ ბატონისაგან ერთგულობაზედ და ანუ ვერ უღალატებთ ხატს ან ბატონსაო **შეუთვალეთ. ვიცით, ყმებს ჩამოართმებთ ყოველს კაცებს** და ჩვენ ვერ შევალთ ამგვარ საქმეშიო განუცხადეთ, გარნა 8 მაისის თვესსა მე ბულათია და ხუხუ ფიფიები წავედით ყულისკარის სოფელსა ამბის შესატყობად და ჩვენ, რომ იქ დავრჩით, ჩვენი [sic] ოჯახში მოსულან ჯარისკაცები **სამის ბაირაღისა,** ურას ძახილით და **ბუკების დაკვრით, ე. ი.** ხუთას სამოცდათექვსმეტი კაცები ორის მხრიდან **ცუნოდათ** [sic] **ჩვენს ოჯახსა რამოდენიმე ჭიშკრით და სხვანი მესერი შემოუმტვრევიათ და პირველს მოსვლისას დაეტეხათ სამეედური, დაეტეხათ ერთი მხარე ხახლისა, შემდ-**

გომ დაეტეხათ მარანი; 70 კოკა ღვინო იყო მარანში, რამ-
დენიც უნდოდათ დალიეს და სხვა მიწით გაევსოთ ჭურები.
აქ დაამტვრიეს ყოველივე და ხორაგი რაც ნახეს წაიღეს. აქე-
დან რომ წავიდენ, მიუხდენ დათიკა ფ ი ფ ი ა ს, ოცდაათი მხა-
რი მესერი დაამტვრიეს, ერთი მხარე სახლისა დაამტვრიეს
და ღვინო რაც ნახეს დალიეს და მარანი სრულიად დაამტვ-
რიეს; რადგანაც გამოგვიმეტეს, რომელსაც შეგვეძლო გაიქცენ;
დაიჭირეს ისლამი ფ ი ფ ი ა და გალახეს; დაიჭირეს, მაქვა ფ ი-
ფ ი ა და გალახეს; დაიჭირეს კუჭურუა ფ ი ფ ი ა და გალახეს;
დაიჭირეს ჰეპუ ფ ი ფ ი ა და გალახეს; დაჭერილებიც წაეყვა-
ნათ და საყდრისაკენ წასულიყენენ **და საყდარზე დაჭერილე-**
ბი, როგორც იმათ უნდოდათ, ისე დაეფიცებიათ. იმა დროს
ჩვენ ამბის შესატყობად წასული ბ ლ ა თ ი ა და ხუხუ ფ ი ფ ი-
ე ბ ი მოვედით და ჯარისკაცებმან დაგვიჭირეს, ყოველისაგან გა-
გვცარცეს, დაგვიჭირეს და ხატით დაიფიცეთო; ჩვენ უარი
უყავით, მაგრამ სიკვდილი არად მივიჩნიეთ და სიკვდილის შე-
მდგომ სული ღმერთს არ დაეკარგოს და ფიცს სიკვდილი გვი-
რჩევნია—განუცხადეთ და ამის შემდგომ ხელი ამაღეს სასიკვდი-
ლოდ და რაოდენ რიგად შემაწუხეს და მაწვალეს, ამის ანგარიში
მე თვით არ უწყი და სრულიად საზოგადოება დაამტკიცებს,
რაოდენი სასჯელი სასიკვდილო მომაყენეს და ღვთის სა-
სწაული დაილოცა, თორემ ჩემს შერჩენასა არავინ არ იტყოდა
და ვინაიდან სასიკვდილოდ გალახული ვიყავით, სიკვდილად
მიწევნილს კაცს მეტს რას უზამდათ და ხატზე გარდაცემული
დაგვტოვეს და რომელიც ხელად ყავდათ დაჭერილი, იქიდან
წაიტანეს უიარაღოთ, რომ თავთავის ოჯახში ტანისამოსის
ჩაცმაც არ აცალეს უმეტნაკლოდ. გარემოება ჩვენი ეს არის, რო-
მელსაც ემოწმება თვით ჩვენი ბატონი და ემოწმებიან ერთობით
აზნაურნი **შ ე ნ გ ე ლ ა ი ე ბ ი**—ვემოწმებით ამ ქაღალდს ბატონი-
შვილი ნიკო, აზნაური ბ ე ჟ ან შენგელაია ვემოწმები ამ წერილსა მე
პეტრე შენგელაია, ვემოწმ ბი მე დათა შენგელაია" [პირი სტუ
დ ენ ტ დ ა ნ ე ფ ი ფ ი ა ს მიერ ნაპოვნი და შენახული ორიგი-
ნალიდან. ს. ობუჯი, წალენჯიხის საზოგადოება].

მართალია, ამ აჯანყებას არ ახასიათებს ისეთი მკაცრი და სას-
ტიკი ზომები, რომლებსაც ხშირად ვხვდებით ხოლმე მსგავს ისტორიულ
მოვლენებში სხვადასხვა ხალხთა მოძრაობაში უამრავ მსხვერპლთა
ბ ა ღ ლ ებ ი თ, მაგრამ, ქვემოთ აღნიშნული საბუთების აღნუსხვის შემდეგ,

ისიც არ შეიძლება ითქვას, რომ ვითომ ამ მოძრაობას ქონდეს მეტად მსუბუქი და ლმობიერი ხასიათი; ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ პირობებსა და ვითარებაში, რომელშიაც ხდებოდა ამ მოძრაობის გაშლა, სავსებით მიზანშეწონილი იყო მისი არა სიმკაცრე და ზრდილობა. რაც შეეხება ამ აჯანყებას, როგორც ასეთს, აუცილებლად ის საზოგადოებრივ სიდუხჭირეში წარმოშობილი, სოციალური სახისაა ..

ამავე მიმართულებით ხდებოდა სწორეთ მისი თანდათანობითი გალრმავება-გაფართოება.

მაგრამ არ შეიძლება ამ აჯანყებაში გვერდი აეხვიოს პოლიტიკურ მხარესაც, რომელიც ასე მკაფიოდ გაჟღერებულია უტუს მიერ წარმოთქმულ სიტყვაში (ბ ო ტ ო ზ დ ი ნ ი ს რედაქციით) და რამოდენიმედ გამოსჭვივის აგრეთვე გლეხთა მოთხოვნილებების მეორე მუხლიდანაც (იხ. გვ 47.) შეიძლება მართლა უტუმ კიდეც აღნიშნა, როგორც წარდგენილ მოთხოვნილებებში, აგრეთვე თავის სიტყვაში, პოლიტიკური მუხლები[1] რუსის მმართველობის შემოღების წადილის აღნიშვნით, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეული იყო ალბათ იმ განსაკუთრებული მომენტით, რომელშიაც ის მაშინ იმყოფებოდა. ალბა რა უნდა ეთქვა მას, რით უნდა ემართლებინა თავი და თავისი ლაშქარი მის დასამორჩილებლად ჩამოსული გენერლის წინაშე?. შემცთარი აზრი იქნება ვიფიქროთ, თითქოს ამ აჯანყებას თავიდანვე ფარული რუსოფილური მიზნები ჰქონდა და დასაწყისშივე მას პოლიტიკური მოსაზრება ამოქმედებდა მხოლოდ; პირიქით, რომ აჯანყებას თავიდანვე არ ედვა არავითარი პოლიტიკური სურჩული და ანგარიშები, ეს უდავო დებულებად უნდა ჩაითვალოს. ამას მოწმობს არამცთუ მარტო უტუს მოთხოვნილებების მუხლები და განსაკუთრებით კი მისი ლაშქრის მოქმედების სახელმძღვანელო გეგმა და მის სინანდვილეში განაღდება, არამცთუ მარტო რუსეთის მოხელე

---

[1]) ს. ა. ა ვ ა ლ ი ა ნ ი ვერ პოულობს მოძრაობაში პოლიტიკურ სარჩულს: „მეამბოხენი დიდის ნდობით ეპყრობოდენ რუსის ხელისუფლებას, მათი დაპირებებით წყნარდებოდნენ არა, რასაკვირველია, იმისთვის, რომ რუსები მეამბოხეებთან ერთად იღვნენ, არამედ იმიტომ, რომ სამეგრელოს გლეხებს საბოლოოდ დაეკარგათ იმედი თავიანთ დედოფალზე, რომელმაც ისინი ჩააგდო მებატონეების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უკ ნტროლო განკარგულებაში, რომელნიც იმავე მებატონის გარეშოდან გროვდებოდ ნ... მოძრაობა ზმინდა გლეხურია, გამოწვეული ბატონყმობის სპეციფიკური პირობებით (იხ. მისი Крестьянский вопрос в Закавказьи. გვ 171).

და გენერლების (ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი ს, კ ო ლ უ ბ ი ა კ ი ნ ი ს, დ ი კ რ უ ა ს ი-ს ა და გ ა ბ ა რ ი ნ ი ს) ერთობლივი ტონი, საერთო დასკვნები და ახსნა-განმარტებანი, რომლებსაც შეიძლება ამ შემთხვევაში ტენდენციური მი-სწრაფება ახასიათებდეს განსაზღვრული რუსოფილური მიზნის მისა-ღწევად, არამედ ამასთან ერთად ამასვე ამბობს თვით ზოგიერთი ადგილობრივი ოფიციალი და არაოფიციალი წყაროებიც, რომლებიც მოშორებულია ყოველგვარ რუსოფილურ მიმართულებას. მე სახეში მაქვს სამეგრელოს დროებითი საბჭოს ერთ-ერთი წევრის თეოფანე ეპისკოპოსის პასუხი ეკატირინეს მიმართ უკანასკნელის „საიდუმლო შეკითხვაზე 7 მუხლსა შინა“ გლეხების აჯანყების შესახებ.

რადგანაც ამ საბუთში სხვა საყურადღებო ცნობებსაც აქვს ად-გილი, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მისი აქ სრულად მოყვანა:

თქვენო უგანათლებულესობავ, უმოწყალესო ხელმწიფავ! 21-ის ამ თვიდან № 3239-თა თქვენის უგანათლებულესობის **ჩემდამო მოწერილობით საიდუმლო კითხვასა ზედა** (კურსივი ყველგან ჩვენია), შემცველსა შვიდთა კითხვისთვის მუხლთა შესა-ხებ ლახორის შემოხვევისა, უმორჩილესად პატივი მაქვს მოხსე-ნებად თითოეულსა მუხლსა ზედა შემდგომით.

ად, ამა წლის იანვრის თვეში სალიპარტიანოში იწყეს ხალხთა ლახორობა და ბუკს კვრა, და როგორც მესმოდა **იგინი იტყვიან თანამდებობის კაცთაგან უსამართლებასა და შევიწროებასა თვისსა, ხოლო თუ ვისგან სახელდობრ, ჰეშ-მარიტებით არა უწყი.**

ბდ, სალიპარტიანოსა შინა რა აღიძრენო ხალხნი ვითომც შევიწროებისა გამო მათისა, მუნითგან გარდაეთხრაო უწესო-ებანი ესე პირველად მახლობელს საბატონო კურუს სოფელ-ში და შიდ **სოფლითი-სოფლად მთელს მენგრელიაში არა ხო-ლო ოდენ შევიწროებულთა, არამედ თავისუფალთა ყმათაცა.**

გდ, მიზეზნი მეამბოხეთანი, ვითარცა იგინიეე იტყვიანო, **განსხვავებულის ახლის შეძენილის ხარკის გარდახდით და სამ-სახურით და ორის ბატონის უზომო სამსახურით არიან შეიწრე-ბულნიო, გარნა ამას ზედა ვიდრე აღმოცნობამდე ჰეშმარი-ტებისა ჯერ არს დუმილი:**

დდ, როგორც მე გავიგონე, თხოვნასა ზედა სალიპარტია-ნოებთასა პირველმან წევრმან საგანმზრახოისაგან წარუწერაო ორთა უზენაესის სასამართლოს მდივანბეგთ თავადთ გიგო ფალა-ვასა და ანტონ ჩიქოვანს აღმოცნობისათვის მათ მიერ სინამდვილი-

სა თხოვნისა იმა სალიპარტიანოებთასა, რომელთა მიერ წარმოებანი უნდა იყოს წარმოდგენილ სამთავრო კანცელარიაში; ხოლო მე ჩემის მხრითაც ვჰქმენ მღვდელ-მთავრული განკარგულებაჲ ზოგად ადგილობრივ ბლაღოჩინთადმი სადაცა იყვნენ აღძრულნი ხალხნი ქადაგებისათვის დამშვიდებისადმი მათისა და სადაცა არ იყვნენ ჯერეთ აღძრულნი მუნცა, რათა არა მიბაძონ ესრეოთისა უწესოებისადმი, რომელი ფრიად მავნებელი იქნების მათთვის... ხოლო უკეთუ რამე აქვსთ შევიწროება ვისმესაგან, ითხოვონ ქაღალდით შემდგომ დამყუდრებისა მათისა როდესაც მობრძანდება მისი უგანათლებულესობა მმართველი მენგრელიისა და უთუოდ მიიღებენ სამართალს, თორემ იგინი შთავარდებიან უბედურებაში, გარნა ესრეთ მანცა ზომამან ვერ მიიღო წარმატებაჲ მათ უგუნურთა ხალხთა შორის, მხოლოდ უგუნურებისა მათისა ანუ სხვათა ბოროტმოაზრეთა კაცთა შერევნისა გამო ესე ნამდვილ მე არა უწყი.

ედ, ᲙᲓ ᲕᲓ, დამკუდრებისათვის აღტეხილთა ხალხთა იქმნეს სამართლიანი განკარგულებაჲ დამორჩილებისადმი ჯეროანთა მსახურებაოა ქვეშე თვისთა ᲫᲔᲑᲐᲢᲝᲜᲔᲔᲗᲗᲐᲡᲐ, და შემდგომ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲗ აღმოიცნას ნამდვილ მეტის -სამსახურისაგან ანუ უსამართლობისაგან აღტყინდა ესოდენი ხალხი, ანუ უგუნურებისა, გინა ბოროტ მოაზრეთა კაცთა მიერ, და უკეთუ აღმოჩნდება შეკვიწროებისა გამო, ვითარცა იტყვიანო მდაბალნი ერნი, დიდ რამე საკვირველ არს, რომელი ეწინააღმდეგების საღმრთოსა სჯულსა და კაცობრივსა ბუნებასა: მთავრობას თან აძს მიფინოს სამართალი ერთა, ყოველთა მებატონეთა და ყოველთა ყმათა შორის დადვას საზღვარი მორჩილებისა, სამსახურისა, ხარკისა, უმძლავრობისა, შემთხვევასა შინა წინააღმდეგთათვის დასჯისა—თანამდებობის კაცნი რაოდენ შეიძლება უმჯობეს და უმჯობეს მსჯელნი და სამართლიანნი, უქრთამონი, და საპირეებასა შინა მტკიცენი; ᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲮᲐᲛᲡ ᲔᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ მიქცევა, ვითარცა შეწყნარებასა შინა, ეგრეთვე დასჯასაცა შინა, ვითარცა მოციქულნი ქრისტესი იტყვის საშიშსა შიში, პატივსა პატივით და ესე ვითარითა ანუ უკეთილესითაცა მსაჯულებით გინა მმართველობითა მაინც სამარადისოდ უნდა დამყუდროვდეს ერნი.

ᲖᲓ, მე უკვე დროითგან წინეთ სიცოცხლესა შინა განსვენებულის მთავრის დადიანისაგან მსმენია მდაბიო ხალ-

ხთაგან მომეტებულისა მუშად გამოწვევისა და სამსახურისათვის მწუხარებაჲ და ამაზე მებატონეებთაგანაც დრტვინვაჲ რომელცა უკვე მე კიდეც მოვიხსენებიეს თქვენის უგანათლებულესობისადმი თვისსა დროსა შინა საჲდუმლოდ თვისის ჰაზრით. ხოლო აწინდელსა შემთხვევასა შინა მებატონეებისაგან გამიგონია ესე მხოლოდ, რომ ისინი სწუხან და ჰკვირობენ საზოგადოდ აბუნტებასა ყმებთასა ერთად შერევნით, რომელთაც არავითარი მძიმე მსახურება არა თანა აძსთო... თქვენო უგანათლებულესობავ! თუმცაღა ესე ვითარნი გარემოებანი არა საკუთვნელ იყო ჩემდამი კითხვად, გარნა აღსასრულებლად თქვენის უგანათლებულესობისა ბრძანებისა მოვახსენებ რა ამა გარემოებასა თქვენსა უგანათლებულესობასა:— მიიღეთ დარწმუნებაჲ ჩემსა თქუენდაცი ერთგულებასა შინა თქვენის უგანათლებულესობის უმოწყალესის ხელმწიფაჲსა უმორჩილესი მოსამსახურე და ღვთისადმი მლოცველი მენგრელიის ეპისკოპოსი თეოფანე". (იხ. სამეგრელოს მუზეუმის საარქივო განყოფილება № 1269. 1857 წ. 25-VI)[1].

როგორც ამ საბუთი დან ირკვევა: „თანამდებობის კაცთაგან უსამართლობა და შევიწროება" „განსაკუთრებულის ახლად შეძენილის ხარკის გადახდით და სამსახურით და ორის ბატონის უზომო სამსახურით შევიწროება,—აი სარჩული და მიზეზები აჯანყებისა.

თეოფანე ეპისკოპოსი ეკატერინეს შეკითხვით მეტად უხერხულ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, რადგანაც წინდაწინვე იცოდა მისი ამ საქმისადმი განწყობილება. მაგრამ ამისდა მიუხედავად ის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პირობით კილოთი („როგორც მესმოდა," „ვითარცა იგინივე იტყვიანო") მაინც ააშკარავებს საზოგადო სოციალური ხასიათის მიზეზებს.

მეტიც რომ ნდომებოდა, ის მაინც ვერ დაწერდა იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელშიაც იმყოფებოდა ეკატერინესთან დამოკიდებულებით.

აჯანყების მსგავს მიზეზებს ვხვდებით აგრეთვე ჩვენ თედორე ხოშტარიას მოგონებებში, რომელიც პირველსავით თვითმხილველი იყო ამ მოძრაობისა. „მაგრამ ვინემ ის დაწყნარდებოდა (ლაპარაკია 1856 წ. დეკემბერში თამაკოელი გლეხების აჯანყების შესახებ ჩიქოვანების წინააღმდეგ), თავი იჩინა მეორე ახალმა ამბო-

[1]) სტამბაში სათანადო ნიშნების უქონლობის გამო საბუთის ორთოგრაფია ვერ არის დაცული. პუნქტუაცია საბუთის მიხვ დ:ر د:ت ر:ه ه

ხებამ თვით მთავრინას სადედოფლო მამულში; სალიპარტიანოს და იქვე სალხინოს მთელი ხალხი შეგროვდა ათასობით და მიზეზად ის იხელმძღვანელეს, რომ ეუსამართლოებიან მათ მთავრინას მოხელეები სხვადასხვა რიგი სალხინოს სასახლეში აუტანელის მუშაობით ტანჯავენ და სხვა აურაცხელის შევიწროებით და განუსაზღვრელის გადასახადით მათ აწუხებენ (კურსივი ყველგან ჩვენია). ამას კიდევ მიემატა და შეუერთდა ჯერ მთის პირის მთელი ხალხი.

როგორც სამთავრო და სადედოფლო, აგრეთვე სხვადასხვა მებატონეების თავადი დადიანებისა და მრავალგვარი თავადების ყმები, ერთი ბუნა [1] მთავრინას და მის მოხელეების უსამართლოებას ყვირიან და სხვანი კი ხაბატონეები თავიანთი მებატონეების უსამართლოებას. ამ გვარი საშინელი აჯანყებული ხალხი ახლა აღდგა ყოველგან და ყოველ მენგრელიის კუთხეში [2].

სიმარტივის გამო ახსნა ზედმეტია... უნდა აღინიშნოს მხოლოდ. რომ ამ შინაურ საშინელ მეწყერს, ამ დრტვინვას, უსამართლობას. გარდასახადის სახით მომეტებული მუშაობის შემოღებას, რომელთა წიაღში იშვა ეს აჯანყება, დაემატა, წაახალისა, ნიადაგი მოუსუფთავა და მოუმზადა, როგორც ეს თავის ადგილას უკვე გავიშუქეთ, იმ სოციალ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელიც წინ უძღოდა ამ აჯანყებას: ყირიმის ომმა და მასთან დაკავშირებით დასავლეთის შუქმა და გავლენამ სამეგრელოზე—როგორც გარეშე მიზეზებმა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ უკანასკნელ მმართველთა დავით-ეკატირინეს საშინაო პოლიტიკამ, მიმართულმა მხოლოდდამხოლოდ თავისი პირადი მდგომარეობის განდიდებისაკენ, ჩიქოვანების წყალობით უკანასკნელ პერიოდშიაც თავისი პირვანდელი ფორმით შენარჩუნებულმა ბატონ-ყმობის ზოგიერთმა მძაფრ მხარეებმა. და წინააღმდეგ ძველი ადათისა ყოვლად უკანტროლო სამსახურისა და მუშაობის დაწესებამ—როგორც შინაურმა მიზეზებმა, წარმოშვეს გლეხების მჭიდრო ერთეულში ეს შეჯულებული აჯანყება.

ამ შინაურ მიზეზებში არ უნდა დაიჩრდილოს, რასაკვირველია, დავით-ეკატირინეს მიერ წარმოებული პოლიტიკის მეოხებით „რუსული პარტიის“ წარმოშობა, ზოგიერთი თავადიშვილების განდგომილი, ფარული, უკმაყოფილება და განსაკუთრებით კი ყველაზე უფრო საგულისხმიერო გრიგოლის ქიშპობა: და ბრძოლა ეკატირინესთან ტახტის დაუფლების მიზნით; რომელმაც თავის ირგვლივ შექმნა ძლიე-

1) სიტყვა მეგრულია, ქართულად: ჯგუფი, ჯუნდი.
2) იხ. დეკ. თედორე ხოშტარიას მოგონება, გვ 59.

რი და საგრძნობი ოპოზიციონერთა კრებული...[რასაკვირველია, ყველა ესენი რამდენადაც გლეხთა აჯანყება მათ საკუთარ მდგომარეობას ზიანს აყენებდა, იმდენად მას არ თანაუგრძნობდენ, მაგრამ რამდენადაც ის ეკატერინეს მდგომარეობას ამწვავებდა და საშიშროებას უმზადებდა, იმდენად ეს ხალხი ამ აჯანყებას პასიურად შეჰყურებდა... ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს განდგომილთა ჯგუფი თავის უმოქმედობით ერთგვარად ხელს უწყობდა ამ მოძრაობას, მაგრამ, რადგანაც ამ ჯგუფის მოქმედება პასიური ხასიათისა იყო და თან ეს ალმაცერად განწყობილი მხოლოდ რამდენისამე პირისაგან შედგებოდა, ამიტომ მათი ვითომდა ხელის შეწყობა უაღრესად უფერული და არამნიშვნელოვანი იყო აჯანყებისათვის. ამ რიგად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ზემოაღნუსხულ გარეშე და შინაურ მიზეზთა ურთიერთობაში იშვა ეს ხალხოსნური, სოციალური ამოცანებით დატვირთული აჯანყება.

რაც შეეხება მხოლოდ ამ მოძრაობის პოლიტიკურ მხარეს, როგორც ეს ნათლად ირკვევა მთელი ამ პროცესის მართებული გათვალისწინებიდან, მას ეს მოძრაობა მხოლოდ თავის დასკვნაში იძლევა, რაც მოხდა ეკატერინეს ინიციატივით.

ეკატერინე შეცთა თავის განზრახვაში: რუსეთის ჯარის შემოყვანით მან თუმცა ჩააქრო ეს აჯანყება, მაგრამ სამაგიეროდ თავისი მმართველობა გააქარწყლა: რუსებმა გამოიყენეს ეს მოხერხებული მომენტი, მოსპეს ავტონომია, ეკატერინე პეტროგრადში გადააგზავნეს და დააწესეს საკუთარი მმართველობა... ამნაირად ამ სოციალურ მოძრაობას შედეგად მოყვა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა დ ა ტ რ ი ა ლ ე ბ ა... რამდენადაც ეს პოლიტიკური გადატრიალება უმჯობესი იყო გლეხებისთვის, იმდენად ისინი თანაუგრძნობდენ მას და სულ უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, უნდა ითქვას, რომ გლეხთა მასა ერთსულოვნად შეხვდა ამ გადატრიალებას, რადგანაც დედოფლის დახავსებულ სამართალთან შედარებით გლეხი უკეთ ჰგრძნობდა თავს „რუსის კანონის“ ქვეშ. ცხოვრების ეს ახალი ჩარჩო მისთვის პირველ ხანებში ნამდვილი სალბუნი იყო... და ეს გარჩევა მართლაც რომ სწორი გახლდათ. მაგრამ შემცთარი აზრი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ გლეხთა მასა გონიერების გარეშე ბრმად შეხვდა ამ პოლიტიკურ გადატრიალებას; პირიქით ის გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ამ ახალი სტუმრის პოლიტიკას, მის წესწყობილების სახეობას და ყოველივე ძველის, დაგმობილი სიდუხჭირის განმეორება-განახლებისთანავე ის ფეხზე იდგა წინანდებურად შეკავშირებულ-შედუღებული. საკმა-

რისია გავიხსენოთ საიჩუოს და ნახუნუუს (დეკემბერში) აჯანყებანი, ძველი დაგმობილი უსამართლოების აღდგენის ცდაზე აღმოცენებული. ჩავუკვირდეთ ამ აჯანყების მთლიან ვითარებას და მის თანდათანობით განვითარებას, განსაკუთრებით კი ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ გლეხმა ახლა უკვე რუსის ადმინისტრაციას დაუშინა იარაღი თავად-აზნაურობის ქომაგობის გამო, რომ ჩვენთვის აშკარა შეიქნეს ეს ჰეშმარიტი დებულება. სამეგრელოს 1857 წ. გლეხების აჯანყების ისტორიაში არა ნაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ამ აჯანყებამ თავის სარბიელზე გაიარა რამოდენიმე ეტაპი: დაიწყო ის, როგორც აღვნიშნეთ, სალიჰარტიანოში იანვრის თვეს 1857 წ. და თებერვალ-მარტში აჯანყებამ დაიპყრო მთელი სამეგრელო: მოძრაობის მთავარ ძალას, უტუს ლაშქარს, არ დაუტოვებია არცერთი სოფელი, არცერთი უბრალო კუთხეც კი, სადაც ურჩი ძალების გაწმენდის შემდეგ მას იქ „არ დაენიშნოს თავისი რწმუნებული“ (ხელოსანი). როდესაც ამ რიგად დაწყებული მოძრაობა მოედვა მთელ სამეგრელოს და შექმნა თავისი „დროებითი მმართველობა“ (ibidem. 107), ხალხმა უტუ აღჭურვა „დადია“ ან „კეისრის“ უფლებით, აჯანყებამ მიაღწია უმაღლეს დონეს და ძველი მმართველობის გადაყენებით, მთელი სამეგრელოს დაუფლებითა და „დროებითი მმართველობის“ შექმნით, მან მოახდინა ერთგვარი გადატრიალება...

წარმოუდგენელია, რომ ეს მოძრაობა უდიდესი მნიშვნელობის არ ყოფილიყო: მართალია, უცხო ჯარით დამორჩილების გამო ამ უაღრესად განვითარებულმა პროტესტმა ვერ შესძლო წარდგენილ მოთხოვნილებებში maximum-ის განხორციელება („კაცის კაცი არ უნდა არსებობდესო“), მაგრამ minimum-ის განაღდებას კი საგრძნობლად მიაღწია:

ა) გაათავისუფლა რამოდენიმე ათასი მოახლე-მოსამსახურე მებატონეთა უღლისაგან და მისცა მათ დაქორწინების საშუალება, რაც რუსების შემოსვლის შემდეგ იურიდიულად უნდა დარღვეულიყო ხელახლა და ჩამდგარიყო ძველს კალაპოტში, მაგრამ ფაქტურად ის მაინც შეურყეველი დარჩა მომეტებულ შემთხვევაში ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო;

ბ) აჯანყებამ მოსპო სამუდამოდ ყმის ყიდვა-გაყიდვა და მით ვაჭრობა;

გ) მოჯალაბეებს მიეცა საშუალება დასახლებულიყო, სადაც მოისურვებდა, ოღონდ მებატონის ბეგარა უნდა ეკისრა;

დ) ორი ბატონის ნაცვლად გლეხს სამსახური ერთი ბატონისთვის უნდა გაეწია;

ე) გაუქმებულ იქნა წინანდელი სატანჯი იარაღები (ხუნდები, ქანჩები, ხაჯალურები) და გლეხს მიეცა საშუალება საჩივრის აღძვრისა ყოველივე უსამართლოების თავიდან ასაცილებლად.

ასეთია დაახლოებით ამ აჯანყების მნიშვნელოვანი მთავარი მუხლები. მაგრამ არ შეიძლება დუმილით გვერდი აეხვიოს ერთ ღირშესანიშნავ საკითხს: სამეგრელოს გლეხურმა აჯანყებამ ფრიად მწვავედ დააყენა საკითხი ბატონყმობის რეფორმათა საჭიროების შესახებ [1].

მართლაც ამ აჯანყების შემდეგ რეფორმათა აუცილებლობა ისეთ საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა, რომ მას თვით მოწინააღმდეგე კლასებიც ჰგრძნობდენ და გლეხი კი მით გათამამებული ბატონ-ყმობის სრულ გაუქმებამდე თანდათან ფართე უფლებებსა და შეღავათებს იძენდა. [2]

რომ ნათლად წარმოსადგენი შეიქნეს ჩვენი მონოგრაფიის პოზიტიური ნაწილის შინაარსი, საჭიროდ ვთვლი ცალკე დებულებებში მის გამოხატვას.

1857 წლ. გლეხების აჯანყების პრაგმატიული ხაზი სამეგრელოში უნდა განისაზღვროს ორის შინაურისა და გარეშე მიზეზების ურთიერთობით:

ა) შინაურ მიზეზებად უნდა მივიჩნიოთ: ბატონ ყმობის ზოგიერთი მძაფრი მხარეები მე-XIX სკ. მეორე ნახევარში; უკანასკნელ მმართველთა (დავით-ეკატერინეს) ხაშინაო უვარგისი პოლიტიკა.

ბ) გარეშე მიზეზად კი: ყირიმის ომის გავლენა სამეგრელოს სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე და მასთან დაკავშირებით დასავლელების შუქის შემოჭრა სამეგრელოში.

გ) გლეხების აჯანყების გამოსავალი წერტილი უნდა ვეძიოთ ამ ორ მიზეზთა ურთიერთობაში, ხოლო დასაბამი ამ აჯანყებისა წარმოშვა სალხინოს სასახლის ირგვლივ მომხდარმა გაფიცვამ.

---

[1]) სამეგრელოში ბატონ ყმობის გაუქმების მანიფესტი გამოცხადდა დეკემბერს 1866 წელს.გლეხსა და მემამულეს შორის დაიდვა გარიგების მთავარ-სიგელი (уставныя грамоты), სადაც აღნიშნული იყო მიწის ზომა და აგრეთვე უფლება 9 წლის განმავლობაში აღეძრა საჩივრები სადავო საკითხების შესახებ. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მებატონეებმა ისე დაიჭირეს თავი, რომ გლეხს არ დასჭირებია საჩივრის წარმოება; ხოლო როდესაც (9 წლის გასვლის შემდეგ) გლეხს გასაჩივრების უფლება დაეკარგა, თავად-აზნაურობა ისევ ძველებურად დააწვა გლეხებს, რამაც დაახლოებით 1875-6 წლ. ახლო „ლაკადის“ მასშტაბით გამოიწვია ცნობილი „ლეწურწუმეს ბუნტი“ ხუფე ჯალაღანიასა და ქვაშტი ფიფიას მეთაურობით.

[2]) იხ. С. А. Авалиани, Крестьян. вопрос в Закавказии, Одесса 1912, стр. 175.

დ) აჯანყების მიზანი და საერთოდ მისი ლოზუნგები სოციალური ხასიათისაა, იგი მიმართული იყო ბატონ-ყმობის საწინააღმდეგოდ (თუმცა განვითარების პროცესში მას პოლიტიკური მხარეც დაერთო).

ე) აჯანყებას აქვს ორგანიზაციული სახე და საკმაოდ მომწიფებული დისციპლინური აქტივობა ახასიათებს.

ვ) უტუ მიქავა ხდება გლეხთა ლაშქრის მთავარსარდალი და საერთოდ უზენაესი დიქტატორი („დადია“ ან „კეისარი“), რასაც ხელს უწყობდა მისი პიროვნების ობიექტური და სუბიექტური მხარეები.

ზ) აჯანყების ლიკვიდაცია წარმოებს მხოლოდ გარეშე, რუსეთის ჯარის, მოწვევა-ჩარევით, რითაც ბოლო ეღება სამეგრელოს ავტონომიასაც.

თ) აჯანყებამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი, როგორც საერთოდ ბატონ-ყმობის რეფორმათა შემოღების შესახებ საკითხის მწვავე დაყენებაში, ისე კერძოდ სამეგრელოში გლეხების მიერ მრავალგვარი შელავათების მოპოვებაში.

წყაროები

ამ მონოგრაფიის შედგენის დროს უმთავრესად ვსარგებლობდი:

ა) ს ა ა რ ქ ი ვ ო მ ა ს ა ლ ე ბ ი თ, რომელშიაც დაცულია ოფიციალი მიწერ-მოწერა ამ აჯანყების შესახებ. მაგრამ ოფიციალი მიწერ-მოწერა, რომელიც მუდამ ეყრდნობა გამოძიების პროცესს, სადაც დამნაშავე მხარე ყოველთვის ცდილობს თავის გამართლებას, ერთია და ისტორიული სინამდვილე—მეორე... ამიტომ საარქივო მასალების ყოველგვარი ასეთი საეჭვო ღირსების ადგილები შეეუფარდე სხვა ასეთ შემთხვევაში უფრო სანდო წყაროებს. ამ საარქივო მასალების მომეტებული ნაწილი უკვე გამოცემულია კავკასის არქეოგრაფიული კომისიის მიერ, ტომი XII, მეორე ნაწილი, 1856-1862 წლ., ტფილისი 1893 წელი. ამ წყაროს სათაურს ჩვენ შემოკლებულად ასე ვხმარობთ: Ак. Кав. Арх. Ком.

ბ) მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი თ. სწორედ მოგონებანი ღირსებით უფრო სუფთა და სანდო მასალის შემცველნი არიან, ვიდრე ოფიციალი მიწერ- მოწერანი. ამ მხრივ ყურადღების ღირსია სენაკის ყოფილი ოლქის მმართველ კ. ა. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი ს მოგონებანი: Закавказские воспоминания, Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 года К. А Б о р о з д и н а, СПб. 1885 г., სადაც მოცემულია ამ აჯანყების ზოგადი შტრიხები. ეს წიგნი შეიცავს ორს ნაწილს ავტორის მოგონებებისას სამეგრელოს შესახებ: პირველი იბეჭდებოდა რუსულად. სამხედრო კრებულში 1873 წელს „ომერ-ფაშა სამეგრელოში“-ს სათაურით; მეორე კი 1885 წლის „ისტორიულ მოამბეში“: „ორი სამთავროს (სამეგრელო-სვანეთის) გაუქმების“ სახელწოდებით. ერთი ნაწილი ამ წერილებისა ითარგმნა ქართულად „დროების“ 1885 წლ. №№№-ებში, დანარჩენი ნაწილი კი „მოამბის“ 1898-1899 წლ. №№-ში. თარგმნა ბ. თ. ს ა ხ ო კ ი ა მ (მასვე აქვს თარგმნილი ამავე ავტორის წიგნაკი „Крепостное состояние в Мингрелии. დაბეჭდილია იმავე „მოამბე“-ში).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი გულახდილად გვპირდება „ამ საინტერესო ეპიზოდის ყველა გარემოების თხრობას sine ira et stu-

pio", მაინც მისი ზერელე გადაკითხვითაც შეიძლება ეს პირობა დარღვეულად ჩაითვალოს. ავტორს არ შეეძლო სავსებით გაეთავისუფლებია თავი რუსული ტენდენციისაგან, რუსული მმართველობისა და სამხედრო ძლიერების გადაჭარბებული წარმოდგენისაგან, თუმცა ამასთან ერთად არ შეიძლება არ ითქვას, რომ მის კალამს არ ეტყობოდეს მომწიფებული ტონი და დიპლომატიური სული.

გ) დეკ. თედორე ხოშტარიას ხელთნაწერით, რომელიც განსვენებულ ისტორიკოს თედო ჟორდანიას გადაუცია თედო სახოკიასთვის. ამ მოგონების 3-4 ფურცელი ამ აჯანყებას აშუქებს და მოცემულია მეტად სხარტული და მკრთალი სურათი.

დ) საკუთრად მოპოებული საბუთებით, როგორც სამეგრელოს სხვადასხვა ადგილებში, ისე სამეგრელოს მუზეუმში (ქ. ზუგდიდში).

ე) სიტყვიერი გადმოცემით იმ მოხუცებულებისაგან, რომელთაც, როგორც აჯანყების თვითმხილველთ და მონაწილეთ, მახვილი მეხსიერების წყალობით ჯერ კიდევ ნათლად აქვთ შერჩენილი მოგონებანი მოძრაობის დასაწყისისა და მისი თანდათანობითი მსვლელობის შესახებ. მაგრამ შეცთომაში რომ არ ყოფილვიყავ შეყვანილი, საჭირო იყო ამ მოხუცებულებთან სჯა-ბაასში დიდი სიფრთხილე და განსაკუთრებით კი გადმოცემათა შედარება ერთმანეთთან და წყაროებით მოღწეულ ისტორიულ ფაქტთან, რომ ამით გამორკვეულიყო ისტორიული სინამდვილე საერთო ენის მიხედვით. ამ თვალსაზრისით მე ადგილი დავუთმე მხოლოდ ისეთ გადმოცემათა ცნობებს, რომლებიც აკმაყოფილებდენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებას. ამ მიზნით მე დავყავ 1920-1923 წლ. ყველა იმ მთავარ ადგილებში, რომლებიც განსაკუთრებით იღებდენ მონაწილეობას ამ აჯანყებაში.

ვ) სხვადასხვა გამოცემებით, რომელთაც აქვთ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, მაგ:

1. Утверждение Русскаго владычества на Кавказе с 1801-1901 года под. ред. ген.-м. Потто, Тифлис 1900 г.

2. С. А. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказии, Одесса 1912 г.

3. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგ. ალ. ჰყონიასი, ტფილისი 1901 წ.

4. S. Mourier, La Mingrelie, Odessa 1883.

5. Из прошлого Мингрелии К. А. Бороздина, 1897 г.

6. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка со словарем и хрестоматией, Спб. 1914 г.

7. Moritz Wagner, Reise nach Kolchis, Leipzig 1850.

8. მოჯალაბე, ისტორიული მოთხრობა კირილე წ.უთისოფლელისა: „სახალხო საქმის“ დამატებები, 1914 წელი, №№ 7-21.

9. Хр. Гроздов, Сборник мингрельских народных песен, Кутаис 1890 г.

10. Иосиф Кобалиа, Из миѳической Колхиды და სხვა...

სარჩევი:

წინასიტყვაობა . . . . . გვ.

I. აჯანყების სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები . . 5-33

II. გლეხური მმართველობის დამყარება. . . . 34-41

III. რუსეთის ჯარის შემოსვლა და გლეხთა მმართველობის ლიკვიდაცია 42-48

IV. მდგომარეობის გამწვავება და სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება 49-58

V. საიჩუოსა და ნახუნუუს გლეხთა აღელვებანი და მათი ჩაქრობა 59-65

VI. უტუ მიქავას პიროვნება 66-74

VII. აჯანყების ხასიათი და მნიშვნელობა . . . 75-88

წყაროები 89-91

მთავარ შეცდომათა გასწორება

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
10	16	სამათლიანი	სამართლიანი
11	28	chef le cuisine	chef de cuisine
13	34	სტაეროპოლის	სტავროპოლის
13	38	ბაარქივო	საარქივო
24	16	ბატოობდა	ბატონობდა
29	12	ზუდიდიდან	ზუგდიდიდან
31	38	Peise nach Kolchis	Reise nach Kolchis
37	3	სამეგრელოშა	სამეგრელოში
37	14	მოზადებულმა	მომზადებულმა
43	34	საჩუმე	სიჩუმე
46	34	დაქონწინებული	დაქორწილებული
53	16	მმათეელობა	მმართველობა